ალია

N6 /3322/ 14 იანვარი 2016 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

## ელიზბარ ჯაველიძე: „ბატონო ბიძინა... მერწმუნეთ, რომ ამ ქვეყანაში რევოლუცია გარდაუვალი იქნება“ 5

# „მოსალოდნელია ახალი დაკავებების სერია“ 4

„მართალია, ხელისუფლებას არ მოეწონება, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა“



## „მაესტროს“ სარეკლამო დროს 4 მილიონად ბიძინა ივანიშვილი ყიდულობს? 6

რა განუცხადეს „ალიას“ „მაესტროში“

## ვინ არის ბერი ნიკოლოზი, რომლის შესახებაც საპატრიარქო მრევლს აფრთხილებს?



13

შეიწირავს თუ არა „გაზპრომი“ კალაძეს — ვიცე-პრემიერი მიდის?



3

„გაცილებით დიდი ნაძირალაა საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც ასეთი ნაძირალა, იმამად აქცია!“



3

აზერბაიჯანელი ბანკირების სოლიდარობა მოსახლეობისადმი — ის, რაც ქართველი ბანკირებისთვის უცხოა




12

„კარგი პონტია, მინისტრი რომ გეღადავება, ნუ ყაყანებთ?!“ — ინგა გრიგოლია „სიამოვნებისგან გადაბჟირებულ“ ჟურნალისტებ



4

რა არის ძველით ახალი წელი?



3

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

მისტიკა ცნობილი ადამიანების ცხოვრებაში



14

როგორ ვატაროთ ადამიანები ჩვენს ჭკუაზე? 10 ფსიქოლოგიური ხერხი, რომელიც სასურველია, იცოდე! 14

მამაკაცებმა ცხელი აბაზანები არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთო



16

ორსულობის დადგენა უკვე სმარტფონ-ტესტის საშუალებით შეიძლება



15

## გიორგი მარგველაშვილის კითხვები პროკურატურას — ადმინისტრაცია წერილს ასაჯაროებს



პრეზიდენტის ადმინისტრაცია იმ წერილს ასაჯაროებს, რომელიც გიორგი მარგველაშვილმა მთავარ პროკურატურას გაუგზავნა. წერილში ის კითხვებია მოყვანილი, რაც პრეზიდენტს სისტემურ დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებზე აქვს.

– საქართველოს პრეზიდენტის საჯარო განცხადებებში არაერთხელ გაკეთდა მოწოდება, სამართალდამცავი ორგანოების და მათ შორის, საქართველოს მთავარი პროკურატურის მისამართით, რათა, არსებული მაღალი ინტერესის გათვალისწინებით, მომხდარიყო საზოგადოების სრულად ინფორმირება სისტემური დანაშაულის – წამების, არაადამიანური მოპყრობისა და სხვა ძალადობრივი ქმედებების გამოძიების შედეგების შესახებ. პრეზიდენტის მიერ საჯაროდ დასმულ კითხვებზე პასუხები არ გაცემულა. 2016 წლის 13 იანვარს, გაკეთებული განცხადებით, თქვენ გამოთქვით მზადყოფნა, რომ აღნიშნულ კითხვებს გასცეთ პასუხები, იმ შემთხვევაში, თუ ოფიციალურად მოგმართავთ განცხადებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წერილობით განგიმარტავთ პრეზიდენტის მიერ დასმული კითხვების შინაარსს და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გთხოვთ, საზოგადოებას საჯაროდ აცნობოთ 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე:

1. წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მუხლებით რამდენი პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი?

2. აღნიშნული გამამტყუნებელი განაჩენებიდან რამდენ პირს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება? თითოეულ შემთხვევაში რა სასჯელზე მოხდა შეთანხმება?

3. აღნიშნული მუხლებით რამდენი პირის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლოში?

4. იმავე მუხლებით რამდენი პირია ბრალდებულად ცნობილი (ვგულისხმობთ საქმეებს, სადაც პირი ცნობილია ბრალდებულად, მაგრამ სასამართლოში არ არის საქმე გადაგზავნილი, ასეთის არსებობის შემთხვევაში)?

5. იმავე მუხლებით რამდენ საქმეზე მიმდინარეობს და რა ეტაპზეა გამოძიება?

6. რამდენი პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი ათასობით აღმოჩენილ უკანონო, ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით? რამდენი პირის მიმართ არის დაწყებული დევნა? – ნათქვამია წერილში. (ნიუპოსტი)

## რა შეზღუდვები მოქმედებს საქართველოს გზებზე — საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადება



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, კალა-უშგულის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების რეჟიმი მოიხსნა, რის შემდეგაც ჩატარდა გზის გაწმენდითი სამუშაოები და ამ დროისთვის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აღდგენილია.

ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზაზე თოვლისა და ლიპყინულის გამო, დაწესებულია გარკვეული სახის მოძრაობის რეჟიმი: აღნიშნული გზის კმ100-კმ188 (ლახამურა-უშგული) მონაკვეთზე ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო კმ1-კმ99 (ზუგდიდი-ლახამურა) მონაკვეთზე ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

მგზავრთა უსაფრთხოების მიზნით, მოძრაობის სპეციალური რეჟიმები მოქმედებს საავტომობილო გზების კიდევ ორ მონაკვეთზე:

თოვლისა და ლიპყინულის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ცნობით, გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება გაუჩერებლად გავლის რეჟიმში, მხოლოდ ზვავდამცავი გვირაბების გავლით. მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა გვირაბებში განხორციელდება ცალმხრივად.

რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო (ძლიერი ქარბუქის და დაბალი ხილვადობის გამო), კოდა-ფარცხისი-მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის საუღელტეხილო მონაკვეთზე (ნარდევანი-როდიონოვკა (ფარავანი) მონაკვეთზე კმ94-კმ110), ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. (ნიუპოსტი)

## 20 დღეა აფხაზეთის ომის ვეტერანი გმირთა მოედანზე შიმშილობს — ხიზანიშვილი შიხიაშვილის უწყებას ტყუილში ადანაშაულებს



გმირთა მოედანზე მემორიალთან უკვე 20 დღეა აფხაზეთის ომის ვეტერანი გიორგი ხიზანიშვილი შიმშილობს.

ის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურს ტყუილში ადანაშაულებს. როგორც ხიზანიშვილი ამბობს, შიხიაშვილის უწყება მას მკურნალობის დაფინანსებას დაჰპირდა, მაგრამ პირობა არ შეასრულა.

– მკურნალობა-რეაბილიტაცია არ ჩაგვტარებია. შიხიაშვილმა მომატყუა. მხოლოდ სამუშაოზე დასაქმებით გადამატარა, ეს ჩემთვის უარესი იყო და ამიტომ მივატოვე. ინვალიდი თუ დავრჩი, მერე აღარც მაგათი კომპენსაცია მინდა და აღარც არაფერი. მე დღეს მჭირდება ის თანხა, რაც შემპირდნენ და მომატყუეს, – განაცხადა ხიზანიშვილმა „რუსთავი 2“-თან საუბრისას.

ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურში განმარტავენ, რომ ხიზანიშვილი უწყებაში დასაქმებული იყო, მაგრამ მან სამსახური საკუთარი ნებით დატოვა. რაც შეეხება მკურნალობის დაფინანსებას, როგორც შიხიაშვილის უწყებაში აცხადებენ, ომის ვეტერანმა მათ შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს და დაფინანსება სწორედ ამის შემდეგ მოხდება. (ნიუპოსტი)

## 8 წლის ბავშვს სასიცოცხლოდ ესაჭიროება პირველი ჯგუფის რეზუს უარყოფითი სისხლი



იაშვილის კლინიკაში T ლიმფობლასტური ლიმფომის დიაგნოზით, 8 წლის ბადრი გაბლაია იმყოფება, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროება პირველი ჯგუფის რეზუს უარყოფითი სისხლი. გთხოვთ აღნიშნული ჯგუფის სისხლის დონორობის შემთხვევაში მიბრძანდეთ იაშვილის ბავშვთა კლინიკის, სისხლის ბანკში ან დაგვიკავშირდეთ ნომერზე: 551111999. (mpress.ge)

## აღიარების გამოძალვის მიზნით კაცების გაუპატიურება — ქართული, მამაპაპური ადათი - სახეზე მინდა გნახოთ ასე ღრმად მოაზროვნენი



– შობის დღესასწაულის აღნიშვნა – რუსეთის მხრიდან თავსმოხვეული ანტიეროვნული, პრორუსული აქცია!!!!

რუსული გაზის ტრანზიტისთვის საფასურის დაწესება - საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული, ანტისახელმწიფოებრივი დანაშაული!!!!

ალეგროვას სიმღერების მოსმენა – რუსული იდეოლოგიის პროპაგანდა!!!!!

აღიარების გამოძალვის მიზნით კაცების გაუპატიურება – ქართული, მამაპაპური ადათი!!!!

P.S. აქციებს მოვაწყობთო, ქუჩაში გამოვალთო – ნაცასკოლკებო, გამოდით რააა, სახეზე მინდა გნახოთ ასე ღრმად მოაზროვნენი, – წერს ხათუნა ხოფერია სოციალურ ქსელში. (marshalpress.ge)

## კვალიფიციური კადრების ნაცვლად მერიაში „ქართუ ჯგუფის“ თანამშრომლების დანიშვნა გრძელდება — აბესაძე

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა – თბილისის“ თავმჯდომარე ირაკლი აბესაძე თბილისის მთავრობაში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს გამოეხმაურა და დედაქალაქის მერიაში მიმდინარე მოვლენები შეაფასა.

ირაკლი აბესაძის თქმით, გამოცდილი და კვალიფიციური კადრების შერჩევის ნაცვლად, მერიაში გრძელდება „ქართუ ჯგუფის“ თანამშრომლების დანიშვნა, რომლებიც არა თბილისელების პრობლემების მოგვარებას, არამედ კონკრეტული პროექტების, მათ შორის „პანორამა თბილისის“, კრწანისი-შინდისის გზისა და პუშკინის ესტაკადის განხორციელებას უწყობენ ხელს.

თბილისის მერიაში მიმდინარე საკადრო ცვლილებები უარყოფითად შეაფასა თემურ გრიგალაშვილმა. დეპუტატმა 2016 წლის ბიუჯეტის თაობაზეც ისაუბრა და თანხების არამიზნობრივად ხარჯვის თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან მონიტორინგის განხორციელება მოითხოვა. (ნიუპოსტი)

## ონლაინკაზინოების მიმართ რეგულაციების გამკაცრება კარგია, მაგრამ ონლაინსესხების გამცემ ყაჩაღებსაც თუ მიხედავს „ოცნება“, კიდევ უფრო უკეთესი იქნება!




საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივით, ონლაინკაზინოების მიმართ შესაძლოა, მკაცრი რეგულაციები ამოქმედდეს. მთავრობა საკითხის საფუძვლიანად შესწავლას გეგმავს. კვირიკაშვილის თქმით, მიიღებენ ზომებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ის ზიანი, რომელიც მოქალაქეებისთვის სათამაშო ბიზნესს მოაქვს.

საქართველოში ინტერნეტკაზინოების ბიზნესი დღეს ერთ-ერთი ყველაზე რთულად გასაკონტროლებელი და პრობლემური სფეროა.

არსებული პრაქტიკით, ონლაინკაზინოებში დარეგისტრირება ინფორმაციის გადამოწმების გარეშე ხდება, რაც საშუალებას იძლევა, რეგისტრაცია ყალბი და ცრუ მონაცემების საფუძველზე მოხდეს. ხშირია შემთხვევები, როდესაც არასრულწლოვნები სათამაშოდ სხვა ადამიანის პირადობის დამადასტურებელ მოწმობას იყენებენ. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს შესაბამისი რეგულაციები, რომლებიც არეგულირებენ საიდენტიფიკაციო წესების შექმნას. ზოგი ინტერნეტკაზინო კლიენტის შესახებ ინფორმაციას იღებს მისი რეგისტრაციის დროს სახელითა და პირადი ნომრით, თუმცა არანაირი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი არ არის მოთხოვნილი იმისთვის, რომ დადგინდეს, შეესაბამება თუ არა ერთმანეთს სახელი და რეგისტრირებული პირადობის ნომერი.

ასევე, არ არსებობს პრევენციული კონტროლის მექანიზმები იმისთვის, რომ არ მოხდეს ფიქციური მონაცემების გამოყენება.

ამ ეტაპზე უცნობია, რა ტიპის რეგულაციები ამოქმედდება ინტერნეტკაზინოების წინააღმდეგ და როგორი იქნება მთავრობის შემდგომი ქმედებები.

თავად ონლაინკაზინოები რაიმე კონკრეტული განცხადების გაკეთებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. ექსპერტები კი რეგულაციების ამოქმედების საჭიროებაზე თანხმდებიან.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია აღნიშნავს, რომ რეგულაციები, რომლითაც სათამაშო ბიზნესის მოწესრიგება მოხდება, აუცილებელია.

– ეს არ ნიშნავს, რომ ბიზნესს ხელი შეეშლება რეალური საქმის კეთებაში. სიმართლე გითხრათ, ონლაინკაზინოები მთელ მსოფლიოში არის საკმაოდ ცუდი ბიზნესი და არცთუ ისე გამართულად მუშაობს.

ექსპერტისთვის ამ ეტაპზე უცნობია, როგორ მოხდება მკაცრი რეგულაციების აღსრულება და მისი ადმინისტრირება, თუმცა მიაჩნია, რომ ასაკობრივი თუ სხვა შეზღუდვების დაწესება საჭიროა.

– აქ საუბარია სოციალურ პასუხისმგებლობაზე. მთელი ბავშვთა სამყარო ამით დაავადებულია, მშობლები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან. თუმცა მე არ მჯერა, რომ მიზანი ბოლომდე იქნება მიღწეული, იმიტომ, რომ რაც უფრო მეტი აკრძალვა დაწესდება, გამონახავენ ამ აკრძალვების გვერდის ავლის მეთოდებს. დარეგისტრირდებიან სხვა ქვეყანაში, სხვა სიმბოლოებით და შემდეგ შემოვლენ საქართველოში.

ემზარ ჯგერენაიას აზრით, რეგულაციების შემოღებას პოზიტიური შედეგი ექნება კრიმინალური სიტუაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა ექსპერტი მიიჩნევს, რომ ყველა შეზღუდვა თავისთავად ნეგატიურია და ამ შემთხვევაში შესაძლოა, რთული აღმოჩნდეს ოქროს შუალედის პოვნა.

– უნდა გაირკვეს, სად იწყება კრიმინალი და სადაა ნორმალური მოთამაშის ინტერესები, – აღნიშნავს ემზარ ჯგერენაია.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი მერაბ ჯანიაშვილი ეთანხმება რეგულაციების საჭიროებას.

მისი თქმით, ამჟამად არსებული რეგულაცია მხოლოდ ფორმალობაა და რეალურად, ნებისმიერი ასაკის ადამიანს მიუწვდება ხელი ონლაინკაზინოებში სათამაშოდ.

– იმედი მაქვს, მთავრობა ისეთ ქმედით ნაბიჯებს გადადგამს, რომელიც რეალურად ჩარჩოებში მოაქცევს ამ სფეროს, – აღნიშნავს ჯანიაშვილი.

მისი აზრით, მთავრობის პოლიტიკური ნება საკმარისია იმისთვის, რომ ეს სფერო გარკვეულწილად მოწესრიგდეს.

– ყველა განვითარებულ ქვეყანაში ამ მიმართულებით რეგულაციები არსებობს და მინიმუმ ხდება იმის გადამოწმება, რეალურად ვინ დაფიქსირდა ონლაინმოთამაშედ. ჩვენთან კი არანაირი იდენტიფიცირება არ მიმდინარეობს, ნებისმიერი ონლაინკაზინოს ვებგვერდზე რეგისტრაციისთვის საკმარისია მხოლოდ პირადი ნომრის მითითება, – აცხადებს აფბა-ს ვიცე-პრეზიდენტი.

მერაბ ჯანიაშვილისთვის უცნობია, რა მიმართულებით აპირებს პრემიერ-მინისტრი რეგულაციების შემოღებას, თუმცა მიიჩნევს, რომ ქმედითი ნაბიჯების გადადგმის დროა.

– ონლაინკაზინოების ბიზნესს, რა თქმა უნდა, დიდად არ აინტერესებს, ვინ რეგისტრირდება მოთამაშედ. ისინი მოგებაზე არიან ორიენტირებულნი, ამიტომ მათ დიდად არ გაუხარდებათ რაიმე რეგულაციები და პოტენციური კლიენტების რაოდენობის შემცირება. თუმცა რაც უფრო მკაცრი რეგულაციები იქნება ამ კუთხით, საზოგადოებისთვის უმჯობესია, – აღნიშნავს აფბა-ს ვიცე-პრეზიდენტი. (bpn.ge)

## საცხოვრებელი კორპუსის მე-13 სართულიდან 15 წლის გოგონა გადმოხტა



თბილისში, საბურთალოს რაიონში, სპორტის სასახლის მიმდებარედ, ბერბუკის ქუჩაზე მდებარე კორპუსის მე-13 სართულიდან 15 წლის გოგონა გადმოხტა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გადმოხტომამდე გოგონას ოჯახში კამათი მოსვლია.

მომხდარ ფაქზე საქმე აღძრულია 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## საქართველოში ამინდის გაუარესებაა მოსალოდნელი



14-15 იანვარს საქართველოში ამინდი გაუარესდება. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის უფროსმა სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა, 14-15 იანვარს საქართველოს უმეტეს რაიონში იწვიმებს, მთაში მოსალოდნელია თოვა, ხოლო მაღალმთაში ქარბუქი. ქვეყნის დაბლობსა და ბარში ქარი გაძლიერდება, რომლის სიჩქარე წამში 10-15 მეტრი, ზოგან კი 17-22 მეტრი იქნება.

– დასავლეთ საქართველოს დაბლობში 14 იანვარს დღისით ტემპერატურა 7-12 გრადუსის ფარგლებშია მოსალოდნელი, ხოლო 15 იანვარს – 5-10 გრადუსის ფარგლებში. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში 14 იანვარს დღისით 9-14 გრადუსი დაფიქსირდება, 15 იანვარს – 5-10 გრადუსი; 16 იანვარს – 6 გრადუსი. მაღალმთიან რაიონებში კი 15 იანვარს ყინვა იქნება – -9 გრადუსი; 16 იანვარს კი -16 გრადუსი.

თბილისში 14 იანვარს დღისით 10 გრადუსია მოსალოდნელი, 15 იანვარს – 9 გრადუსი, 16 იანვარს კი – 6 გრადუსი, – განაცხადა სვეტლანა ნიორაძემ.

მისივე განმარტებით, 16 იანვარს საქართველოში ნალექი შეწყდება, თუმცა ბარში ღამით ყინვაა მოსალოდნელი. კერძოდ, -3+2 გრადუსის ფარგლებში, ზოგან – 6 გრადუსამდე;

თბილისში -1 გრადუსი ყინვა იქნება.

17-18 იანვარს დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა მკვეთრად მოიმატებს და უნალექო ამინდი იქნება.

ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში დღისით 20 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოში კი 14 გრადუსამდე გათბება. (ინტერპრესნიუსი)

## დიმიტრი მედვედევი — რუსეთის ეკონომიკას ასეთ ძლიერ გამოწვევებთან საქმე ჯერ არ ჰქონია

რუსეთის ეკონომიკას ასეთ ძლიერ გამოწვევებთან საქმე ჯერ არ ჰქონია. როგორც „რია ნოვოსტი" წერს, განცხადება რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა გააკეთა.

– გასული წელი მართლა მძიმე იყო, შეიძლება ყველაზე მძიმე ბოლო ათწლეულში. ჩვენს ეკონომიკას ერთდროულად ასეთ ძლიერ გამოწვევებთან საქმე ჯერ არ ჰქონია. ესენია ნავთობის ფასის მკვეთრი დაცემა, სასანქციო ზეწოლა და მსოფლიო ეკონომიკის მთელი პარადიგმის შეცვლა, – განაცხადა დიმიტრი მედვედევმა.

გამოცემა „ვედომოსტის" ინფორმაციით, რუსეთის პირველმა ვიცე-პრემიერმა იგორ შუვალოვმა სამინისტროებს დავალება მისცა, მოამზადონ სიტუაციის განვითარების სხვადასხვა სცენარი იმ შემთხვევისთვის, თუ რუსული ნავთობის Urals-ის ფასი 25 აშშ დოლარამდე შემცირდება. (ინტერპრესნიუსი)

## რა არის ძველით ახალი წელი?



ზოგიერთ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში 13 იანვრის ღამეს (14 იანვარს) არაოფიციალურად აღინიშნება ძველით ახალი წელი, დღესასწაული, რომელიც გამოწვეულია ქრონოლოგიის ცვლილებით.

ძველით ახალი წლის აღნიშვნის ტრადიცია დაკავშირებულია ორ კალენდარულ სისტემას შორის განსხვავებასთან. ერთია იულიუსის „ძველი სტილის" კალენდარი, მეორე კი გრიგორიანული „ახალი სტილის" — რომლითაც ცხოვრობენ თანამედროვე ადამიანები.

ამ განსხვავებამ შეადგინა 13 დღე-ღამე, ამიტომაც ახალი წელი ძველი სტილით აღინიშნება 13 დან 14 იანვრის ღამეს იმ ქვეყნებში, სადაც მართმადიდებლური ეკლესია კვლავ იულიუსის კალენდრით სარგებლობს. პრაქტიკულად ყველა ევროპული სახელმწიფო გრიგორიანულ კალენდარზე გადავიდა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. რუსეთში ცვლილება მოხდა 1918 წლიდან. ვინაიდან თანამედროვე ახალი წელი ემთხვევა მარხვის პერიოდს, იმ ქვეყნებში სადაც მართმადიდებლური ეკლესია იყენებს იულიუსის კალენდარს, მორწმუნე ადამიანებს ძველით ახალი წელი აძლევს საშუალებას იზეიმონ ახალი წლის დადგომა, როდესაც მარხვა უკვე დასრულებულია.

ძველით ახალი წლის შეხვედრის ტრადიცია შემონახულია ბელორუსიასა და უკრაინაში, სადაც 14 იანვრის წინა საღამოს „უხვს"" უწოდებენ, რამდენადაც მიღებულია მარხვის შემდეგ მდიდრული სუფრის გაშლა. ყოფილ იუგოსლავიაში (სერბია, ჩერნიგორია, მაკედონია) ასევე ზეიმობენ ამ თარიღს. სერბები მას „სერბულ ახალ წელს" უწოდებენ. ჩერნიგორიაში კი ძველით ახალ წელს „ნამდვილ ახალ წელს" უწოდებენ.

ახალ წელს ხვდებიან ამ დღეს საბერძნეთშიც და მას წმინდა ვასილის დღეს უწოდებენ. შვეიცარიის ზოგიერთ გერმანულენოვან კანტონში 13 იანვრის საღამოდან იწყებენ საზეიმო სვლას ქუჩებში და წმინდა სილვესტერის დღის აღნიშვნას. ამას გარდა ახალ წელს ძველი სტილით აღნიშნავენ უელსში. 2100 წლის 1 მარტიდან იულიუსისა და გრიგორიანულ კალენდრებს შორის განსხვავება გახდება 14 დღე-ღამე. 2101 წლიდან ძველით ახალი წლის აღნიშვნა მოხდება ერთი დღით გვიან. (newpost.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სადღობელაშვილი უსუფაშვილს: საქართველოს სირცხვილია, შენ რომ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა გიჭირავს



„თავისუფალი თაობის" ლიდერი ლადო სადღობელაშვილის თქმით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს არ აქვს მორალური უფლება ლიტვის თავისუფლების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღოს მონაწილეობა, რადგან ის მეოცე საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს კომუნისტური პარტიის რიგებს შეუერთდა.

„ლიტვის თავისუფლების დაცვის 25 წლისთვისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც პარლამენტის წინ 9 აპრილის მემორიალთან გაიმართა. ბნ დავით უსუფაშვილმა მიიღო მონაწილეობა, სადაც მან მეტად პატრიოტული და ეროვნული სიტყვაც კი წარმოთქვა, ლიტვაში 1991 წელს დაღუპულები 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულებს შეადარა და თქვა „მაშინ ჩვენც ვიყავით სოლიდარულები იმ პროცესების"... კი, ბნ დავით ჩვენ, ქართველები, მათ შორის ყველა ოჯახის ჩემი წევრი მართლაც სოლიდარულები და მეფლაგმანეებიც კი ვიყავით ყველა იმ პროცესებისა, რომელზედაც თქვენ საუბრობდით, მაგარამ აქ კითხვა სხვა რამეში მდომარებს: შენ, დავით ბატონო მაშინ სად იყავი, სად? მაშინ როდესაც ჩვენი მოქალაქეები კომუნისტურ პარტიას ტოვებდნენ, შენ როგორც გულანთებული კომკავშირელი, კომუნისტურ პარტიაში ხომ არ გაწევრიანებულხარ? შენ რა მორალური უფლება გაქვს იმისა რომ ასეთი ტიპის განცხადებებს აკეთებ, ან ასეთი ტიპის ღონისძიებებში იღებ მონაწილეობას?!

უკეთესს გეტყვი, შენ ისევ იმ აზრზე და იმ პოზიციაზე დგახარ, როგორზედაც 28 წლის წინ იდექი 9 აპრილს და ამას მოწმობს 2011 წლის 26 მაისს დატრიალებული ტრაგედიის დროს შენი მიდგომა ყველა იმ ადამიანისადმი, რომელიც რუსთაველზე როდიონოვის ნიჩბების ნაცვლად სააკაშილის ხელკეტებით ილუპებოდნენ!

საქართველოს სირცხვილია, შენ რომ პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა გიჭირავს, საქართველოს სირცხვილია „რესპუბლიკური" პარტია ასეთ რესურსს რომ ფლობს, თუმცა დარწმუნებით იცოდე, რომ ამას ერთი ადამიანის პატივისცემით ითმენს მოსახლეობა, იმიტომ, რომ გვჯერა მისი და არა შენი, ან რომელიმე შენი ბინძური თანაპარტიელის!" – წერს სადღობელაშვილი. (sazogadoeba.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გაცილებით დიდი ნაძირალაა საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც ასეთი ნაძირალა, იმამად აქცია!



„მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრის" თავმჯდომარე, საფრანგეთის ქალაქ ბერჟერაკის მერიის მრჩეველი ნუგზარ სულაშვილი სოციალურ ქსელში ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის შესახებ წერს:

„უკანასკნელი ნაძირალაა კაცი, რომელიც სიკეთეს დივიდენდების მისაღებად გასცემს.

ნაძირალაა კაცი, რომელიც სამების აშენებას იბრალებს და საყდრისს გიფეთქებს;

უკანასკნელი ნაძირალაა კაცი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი აგრესორის წინაშე, საკუთარ ქვეყანას აგრესიაში ადანაშაულებს და ამ კაცზე გაცილებით დიდი ნაძირალაა საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც ასეთი ნაძირალა, იმამად აქცია!", – წერს სულაშვილი. (news.ge)

## რუსთავში თურქი ეროვნების მამაკაცი ბინაში ჩამომხრჩვალი ნახეს

თოდრიას I ჩიხის №5 კორპუსში საპატრულო პოლიციის, სამაშველოს და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ეკიპაჟები დაახლოებით 20 საათიდან იყვნენ მობილიზებულნი. არსებობდა ინფორმაცია რომ ერთ-ერთ ბინაში თურქეთის მოქალაქე 36 წლის მამაკაცი იმყოფებოდა, რომელიც არც ტელეფონს პასუხობდა და არც კარს აღებდა. მისი ქართველი ახლობლების ინფორმაციით, მამაკაცს თვითმკვლელობა ჰქონდა გადაწყვეტილი.

ძალოვანი უწყების თანამშრომლები კარს იმ მიზნით ვერ ანგრევდნენ რომ ბინის მესაკუთრის ნებართვა არ ჰქონდათ. დაახლოებით 22 საათისთვის ადგილზე ბინის მესაკუთრეც გამოჩნდა, თუმცა იმის გამო, რომ კარები შიგნიდან იყო ჩაკეტილი მაშველებს ფანჯრიდან გადასვლა მოუწიათ. ოთახში შესულებს მამაკაცი ჩამომხვრჩვალი დახვდათ. თოდრიას ქუჩაზე იმყოფებოდნენ გარდაცვლილის ნათესავებიც, რომლებიც გუშინ თურქეთიდან სწორედ მის მოსანახულებლად ჩამოვიდნენ. თვითმკვლელობის ოფიციალური ვერსია არ არსებობს, თუმცა გარდაცვლილის ქართველი მეგობრები პირად საუბრებში აცხადებდნენ, რომ მან რუსთავში გოგონა გაიცნო, თავი კი სავარაუდოდ მასთან უთანხმოების გამო მოიკლა. (marshalpresi. ge)

## შეიწირავს თუ არა „გაზპრომი" კალაძეს — ვიცე-პრემიერი მიდის?



„პირველი რადიოსთვის" ცნობილი ხდება, რომ „გაზპრომთან" საიდუმლო მოლაპარაკებების გამო „ქართულ ოცნებაში" ვიცე-პრემიერის მიმართ უკმაყოფილება იზრდება. სახელისუფლებო კულუარებში, პირად საუბრებში აცხადებენ, რომ ისინი დაიღალნენ კალაძის მაგივრად „გაზპრომთან" მიმდინარე მოლაპარაკებებზე პასუხების გაცემით და ე.წ. „გაპრავებით". როგორც უმრავლესობის წევრები აცხადებენ, ხშირ შემთხვევაში მათი, ვიცე-პრემიერის და სხვა მინისტრების კომენტარები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც უხერხულობას ქმნის და ხშირად ისინი საქმის კურსშიც არ არიან მოვლენებთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ კახა კალაძესთან შეკითხვები აქვთ „რესპუბლიკური პარტიის" წევრებს, გარდა ამისა ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ პროცესით უკმაყოფილოა თავად ბიძინა ივანიშვილიც და არ არის გამორიცხული „გაზპრომთან" მიმდინარე მოლაპარაკებების დროში გაწელვის და უპასუხოდ დარჩენილი კითხვების გამო, კალაძის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. შეგახსენებთ, რომ ინფორმაცია კახა კალაძის თანამდებობიდან შესაძლო წასვლის შესახებ, არაოფიციალურია. (პირველი რადიო)

## 2015 წელს მსოფლიოში ლტოლვილთა რიცხვმა 244 მილიონი შეადგინა



2015 წელს მსოფლიოში ლტოლვილთა რიცხვმა 244 მილიონი შეადგინა, რაც 2 000 წელთან შედარებით 41 პროცენტით მეტია.

როგორც გამოცემა „დოიჩე ველე" წერს, აღნიშნულ მონაცემებს გაეროს ახალი ანგარიში შეიცავს.

დოკუმენტში, რომელსაც მსოფლიო ორგანიზაცია ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აქვეყნებს, ნათქვამია, რომ 2000 წლიდან 71 მილიონით გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებმაც სამშობლო იძულებით ან ნებაყოფლობით დატოვეს. მიგრანტების 1/3 (78 მილიონი ადამიანი) ევროპაში ცხოვრობს, აქედან 12 მილიონი – გერმანიაში, 9 მილიონი კი დიდ ბრიტანეთში. აშშ-ში 47 მილიონი მიგრანტი, რუსეთში – 12, საუდის არაბეთში კი 10 მილიონი მიგრანტი ცხოვრობს.

გაეროში აცხადებენ, რომ სირიაში მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული დახმარებით უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა 8 მილიარდი აშშ დოლარი, კიდევ 500 მილიონი კი თურქეთში, იორდანიასა და ლიბანში მცხოვრები სირიელი ბავშვების განათლებისთვის არის საჭირო. (bpn.ge)

## თურქეთში შემავალ ქართულ სოფლებს, ქართული სახელები დაუბრუნდება



თურქეთში ისტორიული ჭანეთის მხარეში არსებულ დასახლებებს ძველი სახელები უბრუნდება. პირველი სოფელი, რომელმაც ისტორიული სახელი დაიბრუნა, რიზეს მხარეში არსებული სოფელია, რომელსაც ისტორიული სახელი ქომილო დაუბრუნდა.

ისტორიული სახელების დასაბრუნებლად თურქეთში ლაზური კულტურის ცენტრის დამაარსებელმა ადემ ქუიუმჯუმ ჯერ კიდევ 3 წლის წინათ ოფიციალურად მისწერა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და მოითხოვა, რომ ლაზურ დასახლებებს ისტორიული სახელები დაბრუნებოდა.

ჯერჯერობით საუბარია ჭანებით ყველაზე მეტად დასახლებულ რამდენიმე რაიონზე: არდაშენი (ართაშანი), ფაზარი (ათინა), ჯამლიჰემშინი (ვიჯა), ფინდიკლი (ვიწე) და ართვინის რეგიონში მდებარე არჰავი (არქაბე).

ლაზური კულტურის ცენტრმა უკვე მოამზადა და გამოსცა ლაზური ტოპონიმების ლექსიკონი „სვაჯოხო", რომლისთვისაც მდიდარი საკადასტრო არქივის მასალები გამოიყენეს. (marshalpress.ge)

## „კარგი პონტია, მინისტრი რომ გელადავება, ნუ ყაყანებო?!“ — ინგა გრიგოლია სიამოვნებისგან გადაბჟირებულ“ ჟურნალისტებს



ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია ენერგეტიკის მინისტრის მხრიდან ჟურნალისტებისადმი გამოთქმულ ფრაზას – „ნუ ყაყანებთ“, სოციალურ ქსელში ეხმაურება და ჟურნალისტებს მიმართავს:

– არაფერი მინახავს და ფბ-ზეც მხოლოდ ამ საღამოს შემოვედი და ამიტომ შეიძლება ერთობ არაადეკვატურიც აღმოჩნდეს ჩემი პოსტი დაგვიანებული რეაქციის გამო, მაგრამ მაინც დავწერ... უკაცრავად და... მინისტრი (თუნდაც წარსულში ვარსკვლავი და თუნდაც ზომაზე მეტად სიმპათიური) ჟურნალისტებს რომ ვითომ ეხუმრებოდა და ეუბნებოდა, ნუ ყაყანებთო, ამ დროს ჟურნალისტები რატომ კრიახებდნენ სიცილისგან და რატომ გადაბჟირდნენ სიამოვნებისგან??? კარგი პონტია, მინისტრი რომ გელადავება და გეუბნება, ნუ ყაყანებო???!!! – წერს გრიგოლია. (ნიუპოსტი)

## დიდი წმენდა პოლიციაში? — მღებრიშვილისა და სიძე-სიმამრის კადრები მიდიან?

შინაგან საქმეთა მინისტრის ორი მოადგილის – დავით ხუციშვილისა და თეიმურაზ მღებრიშვილის გადადგომის შემდეგ პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა მოსაზრება, რომ თანამდებობა შესაძლოა, უახლოეს პერიოდში თავად მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმაც დატოვოს.

გავრცელებული ინფორმაციით, მღებრიშვილი და ახლა უკვე ორივე ყოფილი მოადგილე, ისევე, როგორც თავად, ყოფილი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის კადრები არიან.

ინფორმაციას, მღებრიშვილის სამინისტროდან შესაძლო წასვლის შესახებ პირად საუბრებში „ოცნების“ დეპუტატები ადასტურებენ. თუმცა, ოფიციალურად ამ თემაზე არავინ საუბრობს.

როგორც უკვე ცნობილია, მღებრიშვილის წასვლის შემთხვევაში შესაძლოა, მისი ადგილი სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსმა ანზორ ჩუბინიძემ დაიკავოს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილი უფროსი და მისი ნდობით აღჭურვილი პირია.

ჩუბინიძეს შს მინისტრად დანიშვნა ჯერ კიდევ ჭიკაიძის პოსტიდან წასვლის შემდეგ განიხილებოდა. თუმცა, როგორც მაშინ კულუარებში ითქვა, ჩუბინიძემ ღარიბაშვილთან მუშაობა არ ისურვა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ის მაღალჩინოსნები დატოვებენ, რომლებიც ღარიბაშვილისა და მისი სიმამრის თამაზ თამაზაშვილის კადრებად მოიაზრებიან.

არსებული ინფორმაციით, პოსტებს ის სამხარეო პოლიციის უფროსები დატოვებენ, ვინც ე.წ. კახური კლანის პერიოდში დაწინაურდა. (პირველი რადიო)

**დიანა ლიპარტელიანი**
571 80-40-80



მთავარი პროკურორის, ირაკლი შოთაძის განცხადებით, ის გახმაურებული საქმეების გამოძიების შესახებ თებერვალში დეტალურად ისაუბრებს და წლის შეჯამება დეტალური და ამომწურავი იქნება:

*„მე მინდა ყველას მოთმინებისკენ მოგიწოდოთ. ჩვენ ჩვენს დანაპირებს შევასრულებთ და თითოეულ საქმეზე საზოგადოებას მივაწვდით დეტალურ ინფორმაციას... მოგახსენებთ 2015 წლის პროკურატურის დეტალური ანალიზის და იმ შედეგების შესახებ, რასაც ჩვენ მივაღწიეთ“.*

**სინამდვილეში რას იზამს მთავარი პროკურორი? რომელ საქმეებს წამოწევს და რა მიზნით დაიწყება დაკავებების სერია?**

**„ალიას“ ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე ესაუბრა:**

– მართალია, ხელისუფლებას არ მოეწონება, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: ის, რაც მთავარი პროკურორისგან მოვისმინეთ სისტემურ და გახმაურებულ საქმეებზე, ეს არის პოლიტიკური ტრიუკის შემადგენელი ნაწილი.

**— რატომ არის პოლიტიკური ტრიუკის შემადგენელი ნაწილი?**

– პირველ რიგში იმიტომ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი იყო სისტემური დანაშაულები და ამ სისტემის მონაწილე ადამიანების დასჯა. ხელისუფლებამ ყველაზე კარგად იცის, რომ სამართლიანობის აღდგენა შეუძლებელია.

**— თუ პროკურატურა ბოლომდე მიიყვანს საქმეებს, გამოიძიებს და დამნაშავეებს დასჯის, ეს სამართლიანობის აღდგენა არ იქნება?**

– ეს არ იქნება სამართლიანობის აღდგენა და განგიმარტავთ – რატომ. მე, როგორც სწავლული, პრაქტიკოსი იურისტი, მართლმსაჯულებას ვუყურებ წმინდა იურიდიული კუთხით, რაც იმას ნიშნავს, რომ სამართალი და მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს იმ დროს, როცა მისი განხორციელება შესაძლებელია. ეს ყველაფერი იმიტომ არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ტრიუკი, რომ ხელისუფლებამ იცის, კარს მოადგა საპარლამენტო არჩევნები, იციან, რომ არჩევნებზე, „ნაციონალურ მოძრაობასავით“ ვერ გამოიყენებენ ძალას. შესაბამისად, გაზაფხულიდან მოსალოდნელია ახალი დაკავებების სერია. მოკლედ, წინაა პიარდაჭერები, საქმეების ვითომ გახსნები, ვილაცების თავების გაგორებები და ა.შ.

**— ვის გულისხმობთ, ვის დაიჭერენ?**

– ეს დამოკიდებულია იმაზე, იმ კონკრეტულ მომენტში ვინ დასჭირდებათ, ვისი დაჭერა გახდება ყველაზე უფრო მომგებიანი პოლიტიკურად.

**— საქმეების ვითომ გახსნებში რას გულისხმობთ?**

– იმას, რომ გადმოიღებენ თაროებიდან უკვე გახსნილ საქმეებს და უბრალოდ გააქტიურებენ. წლების წინათ გამოძიებულ საქმეებზეა საუბარი, რომელთა გასაჯაროებასაც კონკრეტული დრო სჭირდებოდა. თავის დროზე, მაღალი თანამდებობის პირების მიერ მოხდა ამ საქმეების გამოძიება და თაროზე შემოდება. ახლა, ამოარჩევენ ამ საქმეებიდან ისეთებს, რომელიც მათვე ნაკლებად დააზარალებს, ვისთანაც არ არიან რაიმე ტიპის გარიგებაში, ვალში, იპოვიან განტევების ვაცებს და ეს იქნება სანახაობრივი სამართალი. იურისპრუდენციაში ერთი ასეთი ცნებაა – ობიექტური ჭეშმარიტება, რაც იმას ნიშნავს, რომ სიმართლესთან მიახლოებული ჭეშმარიტების დადგენაა მართლმსაჯულების მთავარი მოვალეობა. შესაბამისად, ასეთი ტიპის სპექტაკლების დადგმა ნამდვილად შესაძლებელია და შესაბამისად, ვერ ვიხილავთ რეალურ შედეგს, ეს იქნება სანახაობრივი შედეგი.

**— იქნებ რეალური შედეგი ვიხილოთ, ამას რატომ გამორიცხავთ?**

– ყველა გახმაურებული საქმის უკან დგას პროკურორი, მოსამართლე, კონკრეტული გამომძიებელი, რომელიც შეკვეთას ასრულებდა – რომლებიც დღეს კვლავ მუშაობენ საგამოძიებო უწყებებსა და სასამართლოებში. თუ უნდა ვნახოთ გახმაურებული საქმეების შედეგები, მაშინ, პირველ რიგში, ეს უნდა დაიწყოს პროკურორების, გამომძიებლებისა და მოსამართლეების დაჭერით.

სისხლის სამართლის თანახმად, შეგნებულად ასეთი ბრალდებების შეთითხნა, ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, რომლებიც პირის დადანაშაულებას გამოიწვევს, ეს ყველაფერი სისხლის სამართლის დანაშაულებია.

**მარტივად შევხედოთ საკითხს – როდესაც სახელმწიფო აღიარებს, რომ მას ჰყავს 197 პოლიტპატიმარი, მაშინ, რატომ არ გყავს პასუხისგებაში მიცემული 197 პროკურორი ან იმდენი, რამდენიც ამ საქმეებში მონაწილეობდა? პრეზიდენტი ეკითხება მტავარ პროკურორს, რა უშლის ხელს ფოტოგრაფების საქმის გამოძიებასო და ამ დროს შენ, მთავარ პროკურორს, ამ საქმის პროკურორი და მოსამართლე თანამდებობაზე რომ გყავს, ამის მერე რაზე მელაპარაკები? რა გიშლიდა ხელს ამდენ ხანს, რომ პასუხისგებაში მიგეცა ეს ხალხი?**

ყველაფერს მივყავართ იმ დასკვნამდე, ამ საქმეს პროკურატურა არ ასაჯაროებს და ეს ყველაფერი იმ ადამიანების ინტერესში შედის, რომლებიც ამ საქმეებს ამდენი ხანი მალავდნენ. ყველაფერი რომ გამოაშკარავდეს, აუცილებლად მივა კვალი მიშა სააკაშვილამდე და ადეიშვილამდე და ამ ორ ვიგინდარას უფრთხილდებიან. გადაფსკვნილები არიან არსებული პროკურორები. შოთაძე მიბმულია ამ ადამიანებზე თავისი წარსულით. ეს და მსგავსი პოლიტიკური ტრიუკები გაგრძელდება და რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო გააქტიურდება და მეტი ტრიუკის მომსწრე გავხდებით.

რაც შეეხება სისტემურ დანაშაულს – ეს სისტემა ხომ შექმნეს ადამიანებმა რეჟიმის განსახორციელებლად, ეს სისტემა ყოველდღიურად აუარებელ დანაშაულს სჩადიოდა. მოვიდა ახალი ხელისუფლება – უცვლელი დატოვა სისტემა, პროკურატურის მოწყობა, იგივე დატოვა სასამართლო სისტემა, იუსტიციის საბჭო – ანუ სამართლებრივი რეჟიმი შეინარჩუნა იგივე და ამის მერე რა სისტემურ დანაშაულს გამოიძიებენ? რას გაასაჯაროებენ? დანაშაულებრივი სისტემა გვაქვს და რა ხეირს ელოდებით?

**ერთ მარტივ რამეს ვთავაზობ შოთაძეს – ამოიღოს პროკურატურაში შესული ის განცხადებები, რომლებიც თვითონ შოთაძის, ბადაშვილისა და მისი მეგობრების დანაშაულებზეა შეტანილი იქ და არ არის გამოძიებული, თუ მართალი იქნები არავინ არ გერჩის. თუ სამართლიანობის აღდგენას იწყებ, მაშინ ჯერ დამნაშავე პროკურორები და გამომძიებლები უნდა დაიჭირო. მაგრამ შოთაძე ხელისუფლების კერძო პროკურორია ისევე, როგორც ლევან მურუსიძეა კერძო მოსამართლე.**

რეალობა არის ასეთი – მთელი მართლმსაჯულება მოვარგეთ ახალ ხელისუფლებას, ანუ რაც კი რამ რეფორმა ჩატარდა ამ ხელისუფლებაზეა მორგებული, დაიჭერენ ვინც აწყობთ, სასამართლო და პროკურატურა ისე იმუშავებს, როგორც მათ აწყობთ და ასე, კიდევ რამდენი ხანი უნდა ველოდოთ რამეს შეცვლას? ამ დროში კიდევ, ზოგი მოკვდება, ზოგი ხელს ჩაიქნევს, ზოგი ქვეყანას დატოვებს, ზოგს ისევ დაიჭერენ და ვიცხოვრებთ ასე...

# „მოსალოდნელია ახალი დაკავებების სერია“

## „მართალია, ხელისუფლებას არ მოეწონება, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა“



**ეს სისტემა ხომ შექმნეს ადამიანებმა რეჟიმის განსახორციელებლად, ეს სისტემა ყოველდღიურად აუარებელ დანაშაულს სჩადიოდა. მოვიდა ახალი ხელისუფლება — უცვლელი დატოვა სისტემა, პროკურატურის მოწყობა, იგივე დატოვა სასამართლო სისტემა, იუსტიციის საბჭო — ანუ სამართლებრივი რეჟიმი შეინარჩუნა იგივე და ამის მერე რა სისტემურ დანაშაულს გამოიძიებენ? რას გაასაჯაროებენ? დანაშაულებრივი სისტემა გვაქვს და რა ხეირს ელოდებით?**

## მანანა კობახიძე — ხალხი ვისაც ენდობა, მეეზოვეც რომ იყოს, უფლება აქვს, წარმოდგენილი იყოს საარჩევნო ორგანოში




– ადამიანები პროფესიული ნიშნით ან განათლებით არ იყოფა და ხალხი ვისაც ენდობა, მეეზოვეც რომ იყოს, მას უფლება აქვს, იყოს წარმოდგენილი საარჩევნო ორგანოში, – ასე შეაფასა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ვიცე-პრემიერმა მანანა კობახიძემ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის ირაკლი კობახიძის განცხადება იმის შესახებ, რომ პარტიის სიაში მსახიობები და სპორტსმენები არსებული რაოდენობით აღარ იქნებიან წარმოდგენილი.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ ირაკლი კობახიძის განცხადებას ზედმეტი აჟიოტაჟი მოჰყვა და მან, უბრალოდ, თავისი მოსაზრება გამოთქვა.

– რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ორგანოში იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც იურისპრუდენციასთან, კანონშემოქმედებით საქმიანობასთან, კანონის წერასთან საქმე აქვს, მაგრამ არ შეიძლება რომელიმე პროფესიის ადამიანების როლი დავაკნინოთ ზოგადად ქვეყანაში, ქვეყნის მშენებლობაში, პარლამენტში იქნება თუ მის გარეთ. საზოგადოება წყვეტს, ვინ იქნება მისი რჩეული. მით უმეტეს, რომ ჩვენ გვაქვს მაჟორიტარული სისტემა და ნამდვილად ამომრჩევლის გადასაწყვეტია, ვის ანდობს პარლამენტში თავის წარმომადგენლობას. ეს შეიძლება იყოს სპორტსმენი, ექიმი, პედაგოგი, უმაღლესი განათლების არმქონე ადამიანი, თუკი ასეთს ანდობენ თავის წარმომადგენლობას. არ მგონია, ქვეყანაში რომელიმე იურისტმა, ეკონომისტმა, ან ფინანსისტმა უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე შეიძლება რომელიმე სპორტსმენმა ან მსახიობმა. არ შეიძლება პროფესიებს შორის ასეთი დაპირისპირება, – განაცხადა მანანა კობახიძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ანტიტერორისტული ოპერაცია თურქეთში — პოლიციამ რუსეთის მოქალაქეები დააკავა

თურქული და უცხოური მედიის ინფორმაციით, სტამბულში ტერორიზმთან კავშირში ეჭვმიტანილი სამი პირი დააკავეს. სამივე მათგანი რუსეთის მოქალაქეა და, სავარაუდოდ, ყველას აქვს კავშირი „ისლამურ სახელმწიფოსთან“.

ამასთანავე, არ არის გამორიცხული, დაკავებულებს 12 იანვარს, სტამბულის ცენტრში მომხდარ აფეთქებასთანაც ჰქონდეთ კავშირი. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, რუსები მასშტაბური ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში დააკავეს, რომელიც თურქეთში რამდენიმე დღეა მიმდინარეობს. რეიდების შედეგად დაკავებულია სულ 60-მდე ადამიანი. (პირველი რადიო)

## უკრაინა საქართველოს გავლითა და რუსეთის გვერდის ავლით პირველ მატარებელს უშვებს



15 იანვარს, უკრაინა რუსეთის გვერდის ავლით, საქართველოს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის გავლით პირველ სატესტო მატარებელს გაუშვებს.

როგორც „ბიბისი" წერს, ამის შესახებ არსენი იაცენიუკმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

სატვირთო მატარებელი უკრაინულ საქონელს რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით შუა აზიის ქვეყნებში ჩაიტანს.

იაცენიუკის თქმით, მატარებელი 20 ვაგონისგან შედგება, მარშრუტის საზღვაო ნაწილი კი შავ და კასპიის ზღვებზე გადის.

სხდომაზე, უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრმა ანდრეი პივოვარსკიმ განაცხადა, რომ მატარებელი ოდესის ოლქის ქალაქ ილიჩევსკიდან დაიძვრება. (ნიუპოსტი)

## „რუსეთისგან გაზს სულ ვიღებდით, მაგრამ არავის უთქვამს, რომ ეს საფრთხეს ქმნიდა"



– წინა ხელისუფლების დროს რუსული გაზი არ ჩაუკეტავს არავის და არ უთქვამს, რომ ის საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობას, – ეს განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა „გაზპრომთან" არსებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გააკეთა.

– დღეს ძალიან ბევრი ისე ხატავს სიტუაციას, თითქოს ჩვენ გამოვძებნეთ „გაზპრომი" და გავმართეთ მათთან მოლაპარაკებები. ამ წლების განმავლობაში საქართველო „გაზპრომთან" მუდმივად იყო ხელშეკრულებით ურთიერთობაში. ამ ხელშეკრულებებს აქვს პირობები და ვადები. „გაზპრომთან" ხელშეკრულების გაგრძელება იმისთვის, რომ საქართველოს საკუთრებაში არსებული მილსადენი, რომელიც თავის დროზე არ გაიყიდა და არ მიეყიდა რუსეთს, იმ გაზსადენში გადის გაზი, რომელიც მიეწოდება სომხეთს. ამ ყველაფრის პირობები აუცილებლად მოსალაპარაკებელია. ამიტომ თავისთავად ამ ფაქტში რა პრობლემაა, არ მესმის.

მე შეგახსენებთ, რომ რუსეთიდან ამ გაზსადენით საქართველო დღემდე ყოველთვის იღებდა გაზს. რუსეთისგან გაზს ჩვენ ყოველთვის ვიღებდით. წინა ხელისუფლების დროს რუსული გაზი არ ჩაუკეტავს არავის და არ უთქვამს, რომ ის საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობას, – განაცხადა უსუფაშვილმა. (იპრესს.გე)

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



# ელიზბარ ჯაველიძე: „ბატონო ბიძინა... მერწმუნეთ, რომ ამ ქვეყანაში რევოლუცია გარდაუვალი იქნება"



**აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე „ალიასთან" საუბარში პოლიტიკური მოვლენების დინამიკას აფასებს და პროცესების განხილვას ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომით იწყებს:**

– ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის ძირითად მიზეზად პირადად იმას ვთვლი, რომ მთლიანად დაუპირისპირდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, რომელიც ცდილობს, მოსპოს ყოველგვარი ქართული, ეროვნული და ტრადიციული ღირებულება. აშშ ჩვენ გვაიძულებდა, „ნაცმოძრაობა" და მათი ქმედებები დაგვევიწყებინა, გვეპატიებინა და მეორე ძალად გვეღიარებინა, ამიტომაც მოგვახვიეს თავს კოჰაბიტაცია. პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა უმაღლესი ტრიბუნიდან ეს კოჰაბიტაცია გააფორმა და განაცხადა, რომ მათი მთავარი მიზანია, გადაარჩინონ „ნაციონალები", რასაც ირაკლი ღარიბაშვილი ეწინააღმდეგებოდა. ის იყო მომხრე, დასჯილიყო ყველა დამნაშავე და აღმდგარიყო სამართლიანობა. როცა დასავლეთში მას კონკრეტულ კითხვებს უსვამდნენ „ნაცმოძრაობის" წევრებთან დაკავშირებით, იყო თუ არა მათზე პოლიტიკური დევნა, ღარიბაშვილი კონკრეტული ფაქტებით უსაბუთებდა დანაშაულს და ეუბნებოდა, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორია და მე რომ ხვალ გადაცდომა ჩავიდინო, ვფიქრობ, თქვენ არ მოგეწონებათ, თუკი არ გამასამართლებენო.

**— რას ფიქრობთ ახალ პრემიერ-მინისტრზე, რამდენად სწორად იყო შერჩეული კვირიკაშვილის კანდიდატურა?**

– გიორგი კვირიკაშვილზე ამბობენ, რომ წესიერი, ძალიან მორწმუნე კაციაო. ეს მახარებს, მაგრამ მისი პირველი განცხადებები ჩემთვის, როგორც ერთი ქართველისთვის, მიუღებელი იყო, მისი შეთავაზება გივი თარგამაძისთვის, უნდა დავსხდეთ და ვისაუბროთო. ახლა მე კითხვას ვუსვამ გიორგი კვირიკაშვილს, ვისთან უნდა ისაუბროს, „ნაციონალებთან"? ეს არის ჩაკუკებული ხალხის პოზიცია, როგორ, ამათ სისხლისმსმელ „ნაცებთან" იმიტომ უნდა ილაპარაკონ, რომ დემოკრატიული ქვეყანა ვართ?!. გერმანია იმიტომ გახდა დემოკრატიული ქვეყანა, რომ „ნაციზმი" გაასამართლა და მთელი ეს ფაშისტური ბირთვი ჩამოახრჩო, ზოგს თვითონ მოაკვლევინა თავი, ჩვენ კიდევ, ამათ ვეფერებით?!. ჩემთვის მიუღებელია პრანჭიკელობა და კეკლუცობა, დემოკრატიის სახელით, ეს დაუშვებელია. დემოკრატია, ეს არის ხალხის მმართველობა და ხალხის ნების გამოხატვა, ამ უწიგნურმა პოლიტიკოსებმა საერთოდ იციან, რა არის დემოკრატია? პოლიტიკოსებში აზროვნების დეფიციტია.

**— ამბობენ, ახალმა პრემიერმა სამთავრობო ცვლილებები იმიტომ ვერ განახორციელა, რომ „რესპუბლიკელები" ძალიან ბევრი მინისტრის პორტფელს ითხოვდნენო. ცვლილებები გარდაუვალია და ჟონავს ინფორმაცია, რომ „რესპუბლიკელებს" სურთ შს მინისტრის პორტფელი მათ ხელში აღმოჩნდეს და მინისტრად გიგლა აგულაშვილი დაინიშნოს, განათლების მინისტრად კი — ლევან ბერძენიშვილი.**

– ოოჰ, ლევან ბერძენიშვილი, ეს ჟურნალისტებმა შექმნეს, თითქოს ძალიან განათლებული კაცია, ის არის მატყუარა ადამიანი, არაფერი განსაკუთრებული არ დაუწერია. როცა თავის დროზე პარლამენტში განათლებას კურირებდა მაშინ რა გააკეთა, რომ ახლა გააკეთოს?!. აგულაშვილები და „რესპუბლიკელები" საერთოდ დაღუპავენ საქართველოს. თუ არჩევნები ობიექტურად ჩატარდება, თუ „რესპუბლიკელები" დამოუკიდებლად გავლენ, ორ პროცენტსაც კი ვერ აიღებენ. ერთხელ მივწერე ღია წერილი ბიძინა ივანიშვილს და ვუთხარი, რომ არ შეიძლება პრეზიდენტად წარადგინო მარგველაშვილი, კაცი, რომელსაც ქართველი ერი ავადმყოფად მიაჩნია, კაცი, რომელიც „თავისუფლების ინსტიტუტიდანაა" ამოზრდილი. გახსოვთ, რომ განაცხადა, – თუ მარგველაშვილს არ აირჩევთ, საქართველოს დავტოვებო. ახლა მივმართავ, – ბატონო ბიძინა, ხომ ხართ ჭარბი ავტორიტეტის, როგორც კი „ქართული ოცნება" „რესპუბლიკელებთან" ერთად გამოვა არჩევნებზე, ეს ჭარბი ავტორიტეტიც გაქრება და ისედაც აუსრულებელი ქართული ოცნება, დაენარცხება მიწაზე და თუკი არჩევნები ისე ჩატარდება, როგორც ეს საგარეჯოში მოხდა, როცა თავდაცვის მინისტრმა ხიდაშელმა სპეცუბნებზე ჯარისკაცების რაოდენობა გაზარდა, რასაც ახლა გარდაბანში აკეთებს, ვაზიანის ბაზაზე 700 ჯარისკაცია მიწერილი, მერწმუნეთ, რომ ამ ქვეყანაში რევოლუცია გარდაუვალი იქნება. რევოლუციას კი იცით, რა მოჰყვება? კუდების ძირფესვიანად მოკვეთა. სააკაშვილსაც ეგონა, ვერ მოერეოდნენ. კაცს, რომელმაც ქვეყანაში სისხლის გუბეები დააყენა, ამერიკელები დემოკრატიის შუქურას ეძახდნენ, მაგრამ როცა ხალხის ძალა დაინახეს, უკან დაიხიეს. მერწმუნეთ, ახლაც ხალხის აზრი იქნება უპირველესი. ვაფრთხილებ ამ ხელისუფლებას, ჭკუაზე მოეგოს, არ გაბედოს არჩევნების გაყალბება.

**„ახლა მე კითხვას ვუსვამ გიორგი კვირიკაშვილს, ვისთან უნდა ისაუბროს, „ნაციონალებთან"? ეს არის ჩაკუკებული ხალხის პოზიცია, როგორ, ამათ სისხლისმსმელ „ნაცებთან" იმიტომ უნდა ილაპარაკონ, რომ დემოკრატიული ქვეყანა ვართ?!. გერმანია იმიტომ გახდა დემოკრატიული ქვეყანა, რომ „ნაციზმი" გაასამართლა და მთელი ეს ფაშისტური ბირთვი ჩამოახრჩო, ზოგს თვითონ მოაკვლევინა თავი, ჩვენ კიდევ, ამათ ვეფერებით?!. ჩემთვის მიუღებელია პრანჭიკელობა და კეკლუცობა, დემოკრატიის სახელით, ეს დაუშვებელია"**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გაყალბებულ დოკუმენტებზე ამნისტია გამოცხადდა



დღეს იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი ამნისტიის კანონზე გააკეთებს განცხადებას, რომელიც გაყალბებულ დოკუმენტებს ეხება.

კანონი 2015 წლის 30 დეკემბრიდან ამოქმედდა. მისი მიზანია საქართველოს მოქალაქეთა მონაცემების დაზუსტება, მონაცემთა ბაზების გაწმენდა და საარჩევნო სიის სრულყოფა. ამნისტია ვრცელდება იმ პირებზე, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო გააყალბეს პირადობის მოწმობა, პასპორტი, სხვა სამგზავრო დოკუმენტი, დაბადების მოწმობა, დევნილის მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, სამოქალაქო აქტის ჩანაწერი, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობა. ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდებიან იმ შემთხვევაში, თუ მიმართავენ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებს, იუსტიციის სახლებს, საზოგადოებრივ ცენტრებს და თავად განაცხადებენ დოკუმენტის გაყალბების თაობაზე. ამნისტია ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ყალბი დოკუმენტი ან დოკუმენტში არსებული მონაცემი გამოიყენეს კანონის ამოქმედებამდე; იმ პირებზე, რომელთაც გააყალბეს პირადი მონაცემები 2009 წლის 1 იანვრამდე, აგრეთვე, მათზე, ვინც გაყალბებული დოკუმენტებით ან მათი მონაცემებით ისარგებლა.

პირადი მონაცემების თვითნებურად გადასწორება საქართველოს კანონმდებლობით დასჯადი ქმედებაა ითვალისწინებს ფულად ჯარიმას ან 3-წლამდე თავისუფლების აღკვეთას. მოქალაქეებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ამნისტიით და ყოველგვარი სასჯელის ან ჯარიმის გარეშე შეასწორონ გაყალბებული მონაცემები.

თუ პირი უკვე ცნობილია ბრალდებულად, ის თავისუფლდება შესაბამისი ორგანოებისათვის განცხადებით მიმართვის ვალდებულებისაგან და მას ამნისტია პროკურორისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე შეეხება. (iverioni.ge)

## „ბიძინა ივანიშვილმა ხიდაშელ-უსუფაშვილის შანტაჟისგან თავის დაღწევის გზა გამოძებნა!" - ლევან მამალაძე





ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე სოციალურ ქსელში წერს:

– პარლამენტარმა თამაზ მეჭიაურმა ამას წინათ ბიძინა ივანიშვილის წინადადება გააჟღერა! კოალიციის წევრ პოლიტიკურ ჯგუფებს შესთავაზეს, დამოუკიდებლად იყარონ კენჭი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში და ვინც 4-პროცენტიან ბარიერს გადალახავს, ახალ პარლამენტში ჩამოაყალიბონ კოალიცია. ეს რეალური გამოსავალია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ხიდაშელ-უსუფაშვილის შანტაჟს თავი დააღწიოს. პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი კოალიციიდან გასვლით იმუქრებიან, თუ არ დაუკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს, რომ საპარლამენტო სიაში და მთავრობაში მათი ხალხი უმრავლესობას წარმოადგენდნენ. ეს ვითარება მუშაობის მოტივაციას უკარგავს „ოცნების" იმ წევრებს, რომლებიც ყოველდღიურად შრომობენ და ივანიშვილის ერთგულნი არიან.

2012 წელს ბიძინა ივანიშვილმა, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის საწინააღმდეგო დროშა აღმართა. ხალხმა სააკაშვილის მოშორებას მისცა ხმა და არა სააკაშვილის თანამოაზრე ხიდაშელ-უსუფაშვილს. წლევანდელი არჩევნები სხვა ვითარებაში ჩაივლის. მმართველ გუნდს ხალხის წინაშე ანგარიშის ჩაბარება მოუწევს, იმ დანაპირებთა შესრულებაზე, რის საფუძველზეც ხელისუფლებაში მოვიდნენ. სააკაშვილი კი მორიგ პროვოკაციას დაგეგმავს.

უკვე დაიწყეს გავრცელება, რომ „ნაცმოძრაობა" ხელისუფლებას იბრუნებს და ივანიშვილი არჩევნებს გააყალბებსო. ასე რომ, ჯერ კიდევ წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნება" თუ არ გაიწმინდა ურეიტინგო ჯგუფებისგან, გაუჭირდება NDI-ს მიერ პროგნოზირებულ 17 პროცენტზე მეტის აღება. უსუფა-ხიდაშელებს მარტო ის რჩებათ, რომ საჩივრებით გაავსონ ვაშინგტონი, დახმარებისთვის მიმართავენ სააკაშვილს და განაახლებენ ოდესისკენ ვოიაჟებს. წინასაარჩევნოდ კოალიციის გაწმენდა და ყველა სუბიექტის ცალკე გასვლა არჩევნებში, უპირატესობას ბიძინა ივანიშვილს მისცემს.

რამდენად გამოუვა მას დასავლეთის ზეწოლის მოგერიება, ამას დრო გვიჩვენებს. ახალ პარლამენტში, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ძალების გაერთიანება რეალური გახდება, რაც წაადგება ქვეყნის მომავალ განვითარებას, – წერს ლევან მამალაძე. (marshalpress.ge)

## „ეს ნახატი ვან დეიკს არ ეკუთვნის“ — საგამოძიებო უწყებაში ხელოვნებათმცოდნეები დაკითხეს



ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო უწყებაში ხელოვნებათმცოდნე დალი ლებანიძე დაკითხეს, რომელიც 2016 წელს იმ კომისიაში იყო, რომელმაც ვან დეიკის ტილოს ქვეყნიდან გაცემის ნებართვა გასცა.

იგი ჩვენებას დაახლოებით 4 საათის განმავლობაში აძლევდა. როგორც ლებანიძემ დაკითხვის დასრულების შემდეგ განაცხადა, ტილო, რომელსაც საკმაოდ ბევრი ხმაური მოჰყვა, ვან დეიკს არ ეკუთვნის.

– ეს ნამუშევარი არაფრით გამორჩეული არ იყო. დღესაც ამას ვამტკიცებ და გულით მინდა დაგარწმუნოთ ამაში. ეს არის ძალიან მდარე გემოვნებით შესრულებული ასლი, რაღაც მითოლოგიური სიუჟეტის, რომელიც, ალბათ, რაღაც მეათეხარისხოვანი სურათია ევროპული სკოლის და იმისგან არის გადმოხატული. თურქული მხარის, რომელიც სურათში 14 მილიონს იხდის, ანალიზი არ არის გადამწყვეტი. ეს უნდა გადამოწმდეს ევროპულ ქვეყანაში ლაბორატორიულად, – ამბობს ლებანიძე.

ფინანსთა სამინისტრომ ასევე დაკითხა ეკა აბაშიძე, რომლის მტკიცებითაც, ვან დეიკის ტილო მის ოჯახს ეკუთვნოდა.

საგამოძიებო სამსახურმა ვან დეიკის ნახატთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-3 ნაწილით დაიწყო. აღნიშნული მუხლი კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ნივთის საზღვარზე უკანონოდ გადატანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## ეს არის პიკასოს ბიჭი, ასე აპირებს „ოცნება“ არჩევნების მოგებას?!




28 იანვარს გარდაბანში დაგეგმილი რიგგარეშე არჩევნების დროს 700 სამხედრო მოსამსახურისთვის სპეცუბანი გაიხსნება. გადაწყვეტილება ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე გახდა ცნობილი.

ცესკომ გარდაბნის საოლქო კომისიის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლის საჩივარი თავდაცვის სამინისტროს მიერ შედგენილ ამომრჩეველთა 700-კაციან სიას ეხებოდა. საჩივარში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ სამინისტრომ სიები კანონის დარღვევით შეადგინა და ვაზიანის ბაზაზე ხმის მიცემის უფლების მქონე 700 სამხედრო მოსამსახურის არსებობა არ დაადასტურა. (ნიუპოსტი)

# „მაესტროს“ სარეკლამო დროს 4 მილიონად ბიძინა ივანიშვილი ყიდულობს?

### რა განუცხადეს „ალიას“ „მაესტროში“



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, იზრდება მედიის როლი არჩევნებში. შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ მედიამ არჩევნებში გადამწყვეტი როლიც ითამაშოს და ეს უკვე მომხდარა ჩვენს რეალობაში.

როდესაც ტელეკომპანია „იმედზე“ ინგა გრიგოლიას პოლიტიკური ტოქშოუ დაიხურა, მაშინ გავრცელდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ „იმედის“ მფლობელებმა, ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებმა, ბიძინა ივანიშვილის თხოვნით გააკეთეს ეს, რადგან ივანიშვილს არ მოსწონდა მის და მისი პოლიტიკური გუნდის მიმართ არცთუ სიმპათიურად განწყობილი ინგა გრიგოლია და მისი გადაცემა. ამ ვერსიის საფუძვლიანობა ის გახლავთ, რომ პატარკაციშვილის მემკვიდრეები პოლიტიკურ ასპარეზზე დიდად კი არ აქტიურობენ, თუმცა „იმედი“ მკვეთრად არასდროს წასულა ბიძინა ივანიშვილისა და მისი პოლიტიკური გუნდის, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. თუ ინგა გრიგოლიას გადაცემას არ ჩავთვლით, მუდამ მოზომილი კრიტიკით გამოირჩეოდა. ასევე, აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ ივანიშვილმა დაუბრუნა „ნაციონალების“ მიერ წართმეული „იმედი“ პატარკაციშვილებს, ასევე, სხვა წართმეული ქონებაც. აქედან გამომდინარე, პატარკაციშვილებს ბიძინა ივანიშვილის წინაშე, შესაძლოა, გარკვეულწილად, ვალდებულების გრძნობა ჰქონდეთ და მის თხოვნას ითვალისწინებდნენ, თუნდაც მისთვის არასასურველი პოლიტიკური ტოქშოუს დახურვის თაობაზე. გარდა ამისა, ბადრი პატარკაციშვილის დისშვილი, ხათუნა თოთლაძე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეა, შესაბამისად, გარკვეული პოლიტიკური ინტერესები და ამბიციები პატარკაციშვილის ოჯახსაც აქვს, მაგრამ ახსნა არ ეძებნება, რაში უნდა სჭირდებოდეს პატარკაციშვილების ოჯახს „მაესტროს“ სარეკლამე ბადე?

ამიტომ, სავარაუდოდ, ტელეკომპანია „იმედი“, შესაძლოა, კიდევ ერთხელ გახდეს ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი არჩევნებში და არამხოლოდ თავად „იმედის“ ეთერის მეშვეობით. „პირველი რადიოს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, „იმედმა“ ერთი წლით ტელეკომპანია „მაესტროს“ საეთერო დროის 100%-იანი წილი შეიძინა და ამ გარიგებაში 4 მილიონი დოლარი გადაიხადა. ეს ინფორმაცია ნაწილობრივ დაგვიდასტურა „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა ბაია გადაბაძემ. მან ჩვენთან სასაუბროდ ვერ მოიცალა, მაგრამ სმს-ის საშუალებით უპასუხა ჩვენს შეკითხვას, „მართალია თუ არა გავრცელებული ინფორმაცია?“ „მიმდინარეობს მილაპარაკება, რომლის დასრულებისთანავე ვიტყვით შედეგს. 100%-ზე არ არის საუბარი“, – გვიპასუხა გადაბაძემ. ტელეკომპანია „იმედის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბახტაძემ ჩემს ზარებს არ უპასუხა, მას სმს-ი მივწერე, რომელშიც ავუხსენი, რომ გაზეთ „ალიას“ ჟურნალისტი ვიყავი და მისთვის „იმედის“ „მაესტროს“ სარეკლამო დროის შეძენასთან დაკავშირებით მსურდა რამდენიმე კითხვის დასმა, მაგრამ არც ამის შემდეგ უპასუხა ჩემს ზარებს. მოკლედ, „იმედმა“ კომენტარი საერთოდ არ გააკეთა ამ საკითხზე. ფაქტია, რომ „იმედი“ „მაესტროს“ სარეკლამო დროის რაღაც წილს ყიდულობს, ეს ბაია გადაბაძემ დაგვიდასტურა, მაგრამ რამდენს და რა ფასად, ჯერჯერობით უცნობია.

რაში შეიძლება სჭირდებოდეს „იმედს“ „მაესტროს“ სარეკლამო დროის წილი, რომელშიც, სავარაუდოდ, 4 მილიონ დოლარს იხდის? ხომ ყველამ ვიცით, რომ სარეკლამო მოგება „იმედის“ მფლობელი ბადრი პატარკაციშვილის ოჯახისთვის შეიძლება დიდი არაფერი თანხა არ იყოს. ჩვენ იმ კაცის მემკვიდრეებზე ვლაპარაკობთ, რომელზეც მის სიცოცხლეშივე ითქვა, რომ 12 მილიარდამდე დოლარის ქონების მფლობელი იყო. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პატარკაციშვილებს ფინანსური ინტერესები არ უნდა ამოძრავებდეთ ამ გარიგებით. სავარაუდოდ, მათ პოლიტიკური მოტივი უნდა ამოძრავებდეთ. თუ „იმედმა“ „მაესტროს“ სარეკლამო დროის წილი იყიდა, ლოგიკურად, ეს საპარლამენტო არჩევნებს უნდა უკავშირდებოდეს. „იმედის“ მფლობელებს, ალბათ, ნაკლებად დააინტერესებთ მათ საკუთრებაში არსებულ სარეკლამო დროში გასული „კოკა-კოლას“ რეკლამის შემოსავალი, მათთვის უფრო ღირებული უნდა იყოს, ამ ნაყიდ სარეკლამო დროში გაშვებული პოლიტიკური რეკლამა.

ამიტომაც გაჩნდა ეჭვები, რომ ეს სავარაუდო გარიგება ორ ტელეკომპანიას შორის ბიძინა ივანიშვილის თხოვნით ხდება. ეტყობა მას სურს, რომ „ქართული ოცნების“ კონკურენტი პოლიტიკური ძალების რეკლამა მაქსიმალურად შეიზღუდოს „მაესტროზე“ წინასაარჩევნოდ, შესაბამისად, უნდა დაიტვირთოს „ქართული ოცნების“ რეკლამით. სხვა ვერსიით, თავად ბიძინა ივანიშვილი იხდის ამ გარიგების საფასურს და „იმედი“ მხოლოდ ფორმალურად არის მყიდველი. ეს ვერსიაც დასაშვებია, თუ გავიხსენებთ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ ის არჩევნებში მის ხელთ არსებული ყველა რესურსით ჩაერთვება. აქ, ცხადია, ფულიც იგულისხმება, ივანიშვილი არჩევნების მოსაგებად ბლომად ფულს რომ დახარჯავდა, ეს ისედაც ცნობილი იყო. შესაბამისად, სრულიად რეალური ვერსიაა, რომ მან პოლიტიკური მიზნებისთვის, პოლიტიკური ოპონენტების წინასაარჩევნო სარეკლამო შეზღუდვებისთვის, პატარკაციშვილების ოჯახის ხელით, „მაესტროს“ საეთერო დრო იყიდა.

აქ ერთი კითხვა ჩნდება. კი, მაგრამ, თუ „იმედს“ პოლიტიკური მოტივით, წინასაარჩევნოდ სურს „მაესტროს“ სარეკლამო დროის შეძენა, რატომ არ ყიდულობს ამ დროის 100%-ს, რაც იმის გარანტიაა, რომ სხვა პოლიტიკური პარტიების რეკლამის ნასახი არ იქნება „მაესტროზე“, რა ხეირია მხოლოდ ნაწილის ყუდვაში? ბაია გადაბაძე ჯერ ვერ ამბობს, კონკრეტულად რამდენ პროცენტს მიჰყიდიან „იმედს“, მაგრამ 100% რომ არ იქნება, ეს გვითხრა. თუმცა, აქვე უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს წილი საკმაოდ სოლიდური იქნება, ალბათ, მინიმუმ, ნახევარზე მეტი. სატელევიზიო სფეროში ჩახედულმა, კომპეტენტურმა ადამიანმა დაგვიდასტურა ეჭვი, რომ „იმედი“ „ქართული ოცნების“ ოპონენტების რეკლამის „მაესტროზე“ შეზღუდვის მიზნით ყიდულობს სარეკლამო დროის წილს და აქვე განგვიმარტა, რატომ არ ყიდულობს მთლიან სარეკლამო დროს. მისი თქმით, ეს შეგნებულად კეთდება, რადგან „იმედს“ 100% რომ ეყიდა და საერთოდ არ გაეჭაჭანებინა სხვა ოპოზიციური პარტიები „მაესტროზე“, თეთრი ძაფით ნაკერი პოლიტიკური გარიგება გამოვიდოდა და ატყდებოდა ერთი ამბავი, „იმედი“ ცალსახად და ეჭვმიუტანლად „ქართული ოცნების“ მხარდამჭერად დაფიქსირდებოდა, რაც მის მფლობელებს არ აწყობთ. მისი თქმით, თუ „იმედმა“, სავარაუდოდ, „მაესტროს“ სარეკლამო დროის წილის 70% მაინც იყიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს დრო „ქართული ოცნების“ რეკლამას მოხმარდება, დანარჩენი 30% კი ბევრ ვერაფერს შეცვლის, ეს 30% რამდენიმე პოლიტიკურ პარტიაზე რომ გადავანაწილოთ, „ქართული ოცნების“ უზარმაზარ სარეკლამო დოზას ვერაფერს დააკლებს, არაეფექტური იქნება. მოკლედ, ისე გამოდის, წინასაარჩევნოდ „ქართულ ოცნებას“ სარეკლამო მონოპოლია „მაესტროზე“ გარანტირებული ექნება.

დავუშვათ და ბიძინა ივანიშვილმა მართლა ხელში ჩაიგდო „მაესტროს“ სარეკლამო დროის დიდი ნაწილი და ამით, ამ არხზე, ოპონენტებს უმცირესი დრო დაუტოვა. ხომ არსებობს კანონი „რეკლამის შესახებ“, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდისას, ტელეკომპანიებს ავალდებულებს პოლიტიკური რეკლამის უფასოდ გაშვებას? ეს არ შეუქმნის საფრთხეს იმ დისბალანსს, რომლის განხორციელებასაც, სავარაუდოდ, ივანიშვილი აპირებს „მაესტროზე“? არა, და მოგახსენებთ, რატომ. ეს უფასო სარეკლამო დრო არც ისე დიდია. ყველას გვინახავს, როგორ იყენებენ მას ჩვენი პოლიტიკური პარტიები. ისინი იძულებულნი არიან, ეს დრო მთელი საარჩევნო დროის მანძილზე გადაანაწილონ და ისე გამოიყენონ. შესაბამისად, ერთი სარეკლამო კლიპის, განცხადებისა თუ მოწოდებისთვის ძალზე მცირე დროღა რჩება და უმთავრესად, მშრალ, უინფორმაციო, ლოზუნგური ტიპის, არაეფექტური სარეკლამო პროდუქტია და სხვა არაფერი. შესაბამისად, ბოლოს და ბოლოს, ეს სარეკლამო დრო პოლიტიკურ პარტიებზე უკანასკნელ არჩევნებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით ნაწილდება და „ქართული ოცნება“ აქაც მოგებულია, ყველაზე მეტი უფასო რეკლამა მას შეხვდება ყველა ტელევიზიაში, მათ შორის, „მაესტროზეც“, რადგან ბოლო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში სწორედ ამ კოალიციამ გაიმარჯვა და თანაც დიდი უპირატესობით.

რაც შეეხება ამ გარიგებაში „მაესტროს“ ინტერესებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ „მაესტროს“ იმაზე ნაკლები თანხა შესდის რეკლამიდან, ვიდრე მას „იმედი“ გადაუხდის. სავარაუდოდ, ეს 4 მილიონი დოლარი არ იქნება, რადგან ეს თანხა, გავრცელებული ინფორმაციით, სრული სარეკლამო დროის საფასური უნდა ყოფილიყო, მაგრამ „მაესტრო“ რამდენსაც გაყიდის და რამდენადაც გაყიდის, ეტყობა, ულირს.

> **ამიტომაც გაჩნდა ეჭვები, რომ ეს სავარაუდო გარიგება ორ ტელეკომპანიას შორის ბიძინა ივანიშვილის თხოვნით ხდება. ეტყობა მას სურს, რომ „ქართული ოცნების“ კონკურენტი პოლიტიკური ძალების რეკლამა მაქსიმალურად შეიზღუდოს „მაესტროზე“ წინასაარჩევნოდ, შესაბამისად, უნდა დაიტვირთოს „ქართული ოცნების“ რეკლამით**

## „მოსამართლე არის დონაძისა და მიქაძის მხარეს“ — რობაქიძე მოსამართლის აცილებას ითხოვს



გარდაცვლილ ბუტა რობაქიძის მამა მოსამართლე დავით მგელიაშვილს უნდობლობას უცხადებს და მის აცილებას ითხოვს. რობაქიძე მიიჩნევს, რომ მოსამართლე საქმის განხილვას შეგნებულად აჭიანურებს. გარდაცვლილის მამა ეჭვობს, რომ მოსამართლე მგელიაშვილი საქმეში ბრალდებულების – დონაძისა და მიქაძის მიმართ პირობითი სასჯელის გამოყენებას აპირებს.

– მინდა, რომ უნდობლობა გამოვუცხადო საერთოდ მოსამართლეს. მე ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ აცილება გავუკეთო. აჭიანურებს სასამართლოს. ვადანაშაულებ იმაში, რომ მთლიანად იმ მხარეს არის – დონაძისა და მიქაძის მხარეს. იმათ ასაუბრებს 2 საათი და ამ ხალხს არ ასაუბრებს 15-20 წუთი. პროკურორებს არ აძლევს იმის უფლებას, რისი უფლებაც მათ კანონიერად აქვთ. მე პირადად ორჯერ გამომიშვა დარბაზიდან, რასაც, ალბათ, გავასაჩივრებ. რის გამო, არ ვიცი. ის მხარე ჩვენ გვეუბნება, ბანდიტები ხართო და იმათ არ უშვებს და მე თუ სიმართლე ვთქვი, ჩვენ ეგრევე გვიშვებს და გვაჯარიმებს, – განაცხადა სოსო რობაქიძემ. (პირველი რადიო)

## ეს საქართველოა — ხელფასს თუ მოითხოვთ, სამსახურიდან გაგათავისუფლებენ!



ქუთაისის 1, 13, 15 და 17 ბაღის გამგეები სამსახურიდან დაითხოვეს. ამის შესახებ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორი“ ავრცელებს. როგორც ორგანიზაციის ქუთაისის წარმომადგენელი გიორგი მარდალეიშვილი აცხადებს, მიზეზი ერთდღიანი პროტესტი გახდა, როდესაც ბაღის გამგეებმა ქუთაისის მერიისგან პირობების გაუმჯობესება და ხელფასების მომატება მოითხოვეს.

– იმ ფონზე, როცა ქუთაისის მერიაში იზრდება ხელფასები, დანამატები და პრემიები, პედაგოგებს გროშებზე მუშაობა უწევთ. პლუს ლარის ინფლაცია და მათი ხელფასი უკვე ანეკდოტს დაემსგავსა.

იმის მაგივრად, რომ ეს პრობლემა მოეგვარებინათ, გამგეები საჩვენებლად დასაჯეს. ამით აჩვენეს, რომ ვინც ხმას ამოიღებს, დასჯიან! ეს ყველაფერი სიკეთეს არ მოუტანს არც ქვეყანას და მით უმეტეს არც „ნაოცნებარ“ ხელისუფლებას, – აცხადებს გიორგი მარდალეიშვილი. (პირველი რადიო)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მინდვრის ყვავილი
2. თევზის ჯიში
3. მომღერალი თამარ ...
4. პატარა ტანის ძაღლი
5. სცენაზე დადგმული პიესა
6. მსახიობი დონალდ ...
7. ძიძა
8. ბრაზილიელი ფეხბურთელი
9. ბრტყელი კუთხეების საზომი ერთეული
10. ხმადაბალი საუბარი
11. საფრენი აპარატი
12. ტარზანის მაიმუნი
13. პოლიცია სკოტლენდ ...
14. ძალიან წმინდა საცერი
15. ღრმა ორმო, დილეგი
16. წარწერა ფილმის ბოლო კადრზე
17. სახელმწიფო აფრიკაში
18. მსახიობი ჟან-პოლ ...
19. მხ/ფ „... მზე“
20. კომპიუტ. ფირმა თბილისში
21. ქვიშა
22. გამარჯვების ქალღმერთი
23. ქალაქი აფხაზეთში
24. მით. მედუზა გველის თმებით
25. მსახიობი ჰოლი ...
26. მიწათმოქმედების სპეციალისტი
27. მსახიობი ლეო ...
28. მსახ. ... ფრეინდლიხი
29. მეტეოროლოგიური მდგომარეობა
30. ექს-პრეზიდენტი ბილ ...
31. მწერალი რომენ ...
32. აეროპორტი პარიზში
33. გოგოლის მოთხრობა
34. ძაღლების სპეციალისტი
35. მსახიობი ანდრეი ...
36. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
37. აკა ...
38. პოეტი ... მირცხულავა
39. ათასი მილიარდი
40. ტბა აშშ-ში
41. მომღერალი ... ჯორჯი
42. სატელეფონო სიტყვა
43. მისი დედაქალაქია ვარშავა
44. შინაური ცხოველი
45. ცხენბურთი
46. ... მოგივა დავითაო
47. მუსიკალ. ტემპი
48. მსახიობი ... ბროსნანი
49. ლომების ოჯახი
50. კონტინენტი სამხ. პოლუსზე
51. აღთქმული ქვეყანა პერუს ტერიტორიაზე. ეძებდნენ ოქროს
52. ინდიელების ვარცხნილობა
53. კომპოზიტორი ... პაულსი
54. თეთრი მინერალი სკოლაში
55. მიწის ფართობის ერთეული
56. „... ნახვით შეყვარება“
57. ძაღლის ჯიში
58. ... ხაიამი
59. ბრტყელი თევზი
60. მსახიობი ბარბარა ...
61. აფხაზური ხაჭაპური
62. ინდური ენა
63. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
64. ჭამის სურვილი
65. მწერალი ... კიპლინგი
66. შტატი აშშ-ში
67. ... ფონ ბისმარკი
68. მუსლიმანური მარხვა
69. რეჟისორი ... რიჩი
70. წყლის ტრანსპორტი
71. ... და ობელიქსი
72. ... ფიტცჯერალდი
73. ყვავის ბარტყი
74. ქალაქი აფხაზეთში
75. მხ/ფ „... ბიგვა“
76. ნახ. კუნძული აზერბაიჯანში
77. აღორძინების ეპოქა
78. უქოჩრო თუთიყუში
79. მულტფილმი „... და ზაქრო“
80. მონღოლი დიდებული
81. ომის ღმერთი ბერძ.მით.
82. მსახიობი ... ხაფავა
83. „... ჭკუისაგან“
84. მსახიობი ... პელტროუ
85. მწერალი ალბერტო ...
86. მომღერალი სელინ ...
87. ქალაქი კახეთში
88. მხ/ფ „რიგითი ... გადასარჩენად“
89. დაცლილი ვაზნა
90. ბოსტნეული
91. ჭაობის ბუ
92. პრეზიდენტი ... ალიევი
93. შენობა. ინახავენ ფულს
94. უბედურების სიგნალი
95. მოსამართლის მოსასხამი
96. ეკლიანი ბუჩქი
97. ფეხბურთელი დიდიე ...
98. სახსრების დაავადება: ... ქარი
99. რძის პროდუქტი
100. მისი დედაქალაქია დამასკო
101. იგი წურბელებს აგროვებდა
102. მსახიობი ადრიანო ...
103. „გლახაკი და ... ერბო“
104. მაღაზიის გამყიდველი
105. მდინარე კახეთში
106. მსახიობი ანტონიო ...
107. იაპონური ჭიდაობა
108. კუნძული ინდონეზიაში
109. კურორტი ზუგდიდის რაიონში
110. პურის ჭამა სადილის შემდეგ
111. ... ხაჩატურიანი
112. ქალაქი შიდა ქართლში
113. კრების ჩანაწერი
114. ფალიაშვილის ოპერა
115. ... ბურთი და ... მოედანი
116. „ფიფქია და შვიდი ...“
117. ჯერ შრომა, ... ხტომა
118. ბუდისტი მღვდელი
119. კუნძული ოხოტის ზღვაში
120. ცხენების სადგომი
121. მცენარე: აკეთებენ მწნილს
122. მსახიობი ... კონერი
123. ... შანელი
124. მუხის ნაყოფი
125. მსახ. ... ნიკულინი
126. ჩონჩხის შემადგენელი
127. ქიმიური ჭურჭელი
128. მხ/ფ „... ბროკოვიჩი“
129. მომღერალი ... ვაიკულე
130. მეტყველების ორგანო
131. ბროში ადამიანის პროფილით
132. მწერალი ჟიულ ...
133. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
134. მსახიობი ... აბაშიძე
135. ღრმა, ციცაბო ხეობა
136. მსახიობი მიკი ...
137. მომღერალი ... სუმაკი
138. კონსტ. გამსახურდიას მოთხრობა
139. სამკაციანი ანსამბლი
140. დედამიწის გუმბათი
141. მსახიობი ... დეინსი
142. სახელმწიფო აზიაში

პასუხები: 1. ყაყაჩო; 2. კალმახი; 3. გვერდწითელი; 4. ფინია; 5. სპექტაკლი; 6. საზერლენდი; 7. გადია; 8. გარინჩა; 9. რადიანი; 10. ჩურჩული; 11. დელტაპლანი; 12. ჩიტა; 13. იარდი; 14. მერდინი; 15. ხარო; 16. დასასრული; 17. სენეგალი; 18. ბელმონდო; 19. უძინართა; 20. „ალტა“; 21. სილა; 22. ნიკე; 23. გალი; 24. გორგონა; 25. ბერი; 26. აგრონომი; 27. ანთაძე; 28. ალისა; 29. ქარი; 30. კლინტონი; 31. როლანი; 32. „ორლი“; 33. „ვიი“; 34. კინოლოგი; 35. მირონოვი; 36. ნიკარაგუა; 37. მორჩილაძე; 38. ალიო; 39. ტრილიონი; 40. მიჩიგანი; 41. ბოი; 42. ალო; 43. პოლონეთი; 44. თხა; 45. პოლო; 46. რაც; 47. გრავე; 48. პირს; 49. პრაიდი; 50. ანტარქტიდა; 51. ელდორადო; 52. იროკეზი; 53. რაიმონდ; 54. ცარცი; 55. აკრი; 56. ერთი; 57. დობერმან-პინჩერი; 58. ომარ; 59. კამბალა; 60. ბრილსკა; 61. აჩმა; 62. ჰინდი; 63. ესე; 64. მადა; 65. რედიარდ; 66. ჰავაი; 67. ოტო; 68. რამაზანი; 69. გაი; 70. გემი; 71. ასტერიქსი; 72. ელა; 73. ბახალა; 74. გაგრა; 75. გვადი; 76. აფშერონი; 77. რენესანსი; 78. არა; 79. შაქრო; 80. ნოინი; 81. არესი; 82. ბერტა; 83. ვაი; 84. გვინეტ; 85. მორავია; 88. დიონი; 87. საგარეჯო; 88. რაიანის; 89. მასრა; 90. ნიორი; 91. ბაიყუში; 92. ილჰამ; 93. ბანკი; 94. სოს; 95. მანტია; 96. ნარი; 97. დროგბა; 98. ნიკრისის; 99. დო; 100. სირია; 101. დურემარი; 102. ჩელენტანო; 102. ქილა; 104. ნოქარი; 105. ალაზანი; 106. ბანდერასი; 107. სუმო; 108. იავა; 109. ანაკლია; 110. სამხარი; 111. არამ; 112. მარნეული; 113. ოქმი; 114. „დაისი“; 115. ჰა; 116. ჯუჯა; 117. მერე; 118. ლამა; 119. სახალინი; 120. თავლა; 121. ღანძილი; 122. შონ; 123. კოკო; 124. რკო; 125. იური; 126. ძვალი; 127. კოლბა; 128. ერინ; 129. ლაიმა; 130. ენა; 131. კამეა; 132. ვერნი; 133. ურუგვაი; 134. ლეილა; 135. კანიონი; 136. რურკი; 137. იმა; 138. „ლილ“; 139. ტრიო; 140. ცა; 141. კლერ; 142. ირანი. იკითხება: ყველაზე დიდი საჩუქარი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1.მისი დედაქალაქია მადრიდი
2. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოები
3.ო.მეღვინეთუხუცესი ფილმში „... ადამიანები“
4. მან შესძახა „ევრიკა“
5



6.მისი დედაქალაქია ლისაბონი
7.მისი დედაქალაქია ისლამაბადი
8. მსახიობების შერჩევა
9. მსახიობი ენდი ...
10.მიმართვა საფრანგეთის მეფისადმი
11. ბერიკაობის მონაწილე
12. ხორხის გაგრძელება
13. „იმედზე“: შორენა ...
14. მხ/ფ. „... მეცხვარე“
15.კაპიტან ნემოს წყალქვეშა ნავი
16. მწერი სამზარეულოში
17. ველური ცხენი აშშ-ში
18. მაროკოს დედაქალაქი
19. საშიშროების სიგნალი
20. მოსეს ძმა (ბიბლ.)
21. ფრინველის სამწყვდევი
22.დები იშხნელების ინსტრუმენტი
23. მევახშის დოკუმენტი (ძვ.)
24. მომღერალი ... მეფარიძე
25.გრძელ დისტანციაზე მორბენალი
26.ლ. სანიკიძე. „... ხმლები“
27. მითიური მეომარი ქალი
28. მსახიობი ... შენგელაია
29. ძაღლის ჯიში
30. მსახიობი რობერტ დე ...
31. აწრილი
32. ... ჯაგერი
33.სოფელი ხელვაჩაურის რაიონში
34. ვიოლინოს წინაპარი ინსტრ.
35.თებეს მითიური მეფე, რომელმაც სფინქსის ამოცანა ამოხსნა
36. „... გამოჩნდება არსენ შენი მოხერხება“
37. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში
38.თმის გასაპრიალებელი საცხი
39.ვრცელი ველი ჩრდ. ამერიკაში
40.ფარდობითობის თეორიის ავტორი
41.ჩანჩქერი აშშ-კანადის საზღვარზე
42.ოთახი მთავარი დარბაზის წინ
43. „ფორსაიტების ...“
44.ყვითელი საიუველირო ქვა
45.რას ეძახის „კოსტუმა“ ირაკლი ჩხეიძეს („შუა ქალაქში“)
46.ძვ. სახელმწიფო ახლო აღმოსავლ.
47.პოლიტიკოსი ... ნათელაშვილი
48. ნამცხვარი
49.წინასწარი აზრი რისამე შესახებ
50.ქალაქი ბელგიაში. გამოიყენეს იპრიტი
51.ქალის სამოსი ძვ. საბერძნეთში
52. გასასხლავი მაკრატელი
53.უ. შექსპირის ლექსების ფორმა
54.მრჩეველი (ჰომეროსის „ოდისეის“ მიხედვით)
55.ხაჩიკიანის მშობლიური ქალაქი („მიმინო“)
56



57. ნასუქი ღორი
58. თევზის ჯიში
59. ... კროუფორდი
60. რაიმეს განმარტება
61. ხასიათი
62. მოსამსახურე
63. ქალაქი „ილიადაში“
64. მანქანის საყვირი
65. ნიშნავს ცოცხალ უჯრედს
66.ფილიპინების დედაქალაქი
67. მონეტების შემგროვებელი
68. მადაგასკარული კატა
69. მუშტი, ანუ ...
70. ქალაქი საფრანგეთში
71.ძვ. რომაელი პოლიტიკ. მოღვაწე
72.ავსტრალიის დედაქალაქი
73. მხატვარი ედუარდ ...
74.ქიმიის წინამორბედი მეცნიერება
75. ხის შტო
76.ტყის სული წვეტიანი ყურებით
77.კანის ინფექციური დაავადება
78. ცხენებით რბოლა
79. ღვინით მოვაჭრე (ძვ.)
80. ხელშეკრულება
81.საიუველირო ძვირფასი ლითონი
82. მსახიობი დენიელ ...
83.ღვთისმსახური ძვ. ეგვიპტეში
84. ლეონარდო ... კაპრიო
85. მსახიობი ... ბერნარი
86. კამეჩის ნაშიერი
87.იგივეა, რაც მერკური (ძვ.ქართ.)
88. მსახიობი ტომი ... ჯონსი
89.ავტომობილი „როლს-...“
90. მსახიობი ... ბრინერი
91. ცხენირემი
92. შესასუნთქი თამბაქო
93.მხ/ფ. „ზოგი ... მერის შესახებ“
94. მატლი: აბრეშუმის ...
95.კუ. ჰქონდა ოქროს გასაღები (ზღაპრიდან)
96. იაპონური თეატრი
97. სქესის უქონლობა
98. ქვევრი
99.ციხის გალავნის დაკბილული სვეტი
100. მომღერალი ალანის ...
101. გრძელი თონის პური
102. „მაუგლი“. ავტორი
103. რეჟისორი ... ბრასი
104. ... დე მოპასანი
105. შენობის წინხედი
106. მსხვილი ჯოხი
107.მეცნიერება. გამოიყენება კოლბები
108. ქალაქი კანადაში
109.სპექტაკლის მოქმედების ნაწილი
110. ... გოუნტერი
111.ა. ყაზბეგი. „ხევისბერი ...“
112



113. მწერალი ანტონ ...
114. „... ჩემო ვენახო“
115. სახლი უკრაინულ სოფელში
116.გამწვანებული ადგილი უდაბნოში
117. მდინარე აღმ. საქართვ.
118. მტაცებელი ცხოველი აფრიკაში
119. ჟან ... ტრენტინიანი
120. ძალიან თხელი ფურცელი
121.კონკისტადორი ერნანდო ...
122. შენობა საწნახლით
123.თმის საღებავი
124.ზარის ღილაკი
125. პატარა ტყე
126. თევზი ელექტრ. მუხტით
127.ირლანდიელი მომღერალი ქალი
128. ჭრილი ბილიარდის მაგიდაზე
129. მსახიობი ... როკი
130. ნუშის ლიქიორი
131. ტერმინი. ნიშნავს მრავალს
132.ბულგარული ალკოჰოლ. სასმელი
133. ...-კლარჯეთი
134. ყაიმი
135. რეჟისორი ლიუკ ...
136. შეძახილი თეატრში
137. მომღერალი ... ჯორჯი
138. უბანი თბილისში
139.მსახიობი ... მირიანაშვილი
140.დიდი აგიტაციური ნახატი
141. ანსამბლი „...-75“
142. კავშირებითი სიტყვა
143. ტირიფის ეპითეტი
144. „შენ ... ვენახი“
145. უნივერსიტეტი პარიზში
146. ... კაპონე
147. ... კუპერი
148. მწერალი ალბერტო ...
149.ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
150. პირველი ბალერინა

პასუხები: 1. ესპანეთი; 2. „კუკარაჩა“; 3. კეთილი; 4. არქიმედე; 5. პორტსიგარი; 6. პორტუგალია; 7. პაკისტანი; 8. კასტინგი; 9. გარსია; 10. სირ; 11. ბერიკა; 12. სასულე; 13. ბეგაშვილი; 14. თუში; 15. „ნაუტილუსი“; 16. ტარაკანი; 17. მუსტანგი; 18. რაბათი; 19. განგაში; 20. აარონი; 21. გალია; 22. გიტარა; 23. თამასუქი; 24. აჩი; 25. სტაიერი; 26. უქარქაშო; 27. ამორძალი; 28. არიადნა; 29. ლაიკა; 30. ნირო; 31. აშარი; 32. მიკ; 33. კვარიათი; 34. ვიოლა; 35. ოიდიპოსი; 36. აბანოში; 37. მალტა; 38. ბრიოლინი; 39. პრერია; 40. აინშტაინი; 41. ნიაგარა; 42. ავანზალი; 43. საგა; 44. ქარვა; 45. მუთაქა; 46. ურარტუ; 47. შალვა; 48. შუ; 49. ვარაუდი; 50. იპრი; 51. ქიტონი; 52. სეკატორი; 53. სონეტი; 54. მენტორი; 55. დილიჟანი; 56. მაკნატუნა; 57. ქოსმენი; 58. თართი; 59. სინდი; 60. ანოტაცია; 61. ზნე; 62. ლაქია; 63. ტროა; 64. კლაქსონი; 65. ციტი; 66. მანილა; 67. ნუმიზმატი; 68. ლემური; 69. მჯილი; 70. ნიცა; 71. ციცერონი; 72. კანბერა; 73. მანე; 74. ალქიმია; 75. ტოტი; 76. ელფი; 77. ქეცი; 78. ჯირითი; 79. სირაჯი; 80. კონტრაქტი; 81. ოქრო; 82. კრეიგი; 83. ქურუმი; 84. დი; 85. სარა; 86. ზაქი; 87. ოტარიდი; 88. ლი; 89. როისი; 90. იულ; 91. ლოსი; 92. ბურნუთი; 93. რამ; 94. ჭია; 95. ტორტილა; 96. ნო; 97. აგამია; 98. ჭური; 99. ქონგური; 100. მორისეტი; 101. შოთი; 102. კიპლინგი; 103. ტინტო; 104. გი; 105. ფასადი; 106. კეტი; 107. ქიმია; 108. ვინიპეგი; 109. აქტი; 110. ანი; 111. გოჩა; 112. ჩიბუხი; 113. ჩეხოვი; 114. ვაიმე; 115. ხატა; 116. ოაზისი; 117. ქსანი; 118. აფთარი; 119. ლუი; 120. ფარატინა; 121. კორტესი; 122. მარანი; 123. ინა; 124. კნოპი; 125. კორომი; 126. სკატი; 127. ენია; 128. ლუზა; 129. კრის; 130. „ამარეტო“; 131. მულტი; 132. რაკია; 133. ტაო; 134. ფრე; 135. ბესონი; 136. ბის; 137. ბოი; 138. ვაკე; 139. ბელა; 140. პლაკატი; 141. ვია; 142. რომ; 143. „მტირალა“; 144. ხარ; 145. სორბონი; 146. ალ; 147. ელის; 148. მორავია; 149. არესი; 150. პრიმა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00





1. მწერი, ამზადებს თაფლს
2. „ქაჯანა“ მწერალი
3. ტყავის ტომარა ცხვრის ყველისთვის
4. ინფექციური დაავადება
5. წამლების მაღაზია
6. მისი დედაქალაქია ბუენოს-აირესი
7. მომღერალი ეთერ ...
8. 16კგ, ანუ ... (ძვ.)
9. ნავი, პატარა გლისერი
10. არითმეტიკული სავარჯიშო ციფრებით
11. სამკუთხა საფრენი აპარატი
12. კლუბი, სადაც ცეკვავენ
13. რეჟისორი ... ვან სენტი
14. გადასასვლელი ქედზე
15. მხ/ფ „... ესკიზები“
16. ყურე საფრანგეთთან
17. კუბაზე: ფიდელ ...
18. ბულგარული ყველი
19. თავისუფალი ფორმის ნაწარმოები
20. ნაომი კემპბელი პროფესიით
21. ვაზის გასხლული ტოტები
22. სომხეთის ძველი დედაქალაქი
23. ქალაქი დახრილი კოშკით
24. მტერი, თავდამსხმელი
25. ამფიბია
26. სახელმწიფო აფრიკაში
27. ქალაქი ...-ანჯელესი
28. ბარათი
29. ნიშნავს ქვას
30. საკერავი მანქანის ფირმა
31. მწერალი ლუიჯი ...
32. კვერცხისმდებელი ძუძუმწოვარი
33. „ქეთო და კოტე“ მაკარის პროფესია
34. „მაიმუნი ..., სახე დაუმანჭია, დახტის, დარბის ქაქანებს, საქანელას აქანებს“
35. მომღერალი ბობ ...
36. მსახიობი მეთ ...
37. მსახიობი კეტრინ ...-ჯონსი
38. ტრაგიკულად დაღუპული მსახიობი ... ფენიქსი
39. ერთი ... გული ცხრა ძმამ გაიყოო
40. თვალის ფერადი გარსის ანთება
41. მარჯნის კუნძული
42. მსახიობი კრისტიან ...
43. მომღერალი ... სტიუარტი
44. რეჟისორი გია ...
45. უმუხტო ნაწილაკი ატომის ბირთვში
46. კურორტი თეთრი წყაროს რაიონში
47. მისი დედაქალაქია ტირანა
48. ტრანშეა ფრონტის ხაზზე
49. დონ კიხოტის ცხენი
50. ცხენების სირბილი
51. მსახიობი ... კალანდაძე
52. ამერიკელი მექსიკელისათვის
53. ოქროს ძაფი
54. მათემატიკური უცნობი
55. ყვითელი მგალობელი ფრინველი
56. ჰოლანდიური ყვავილი
57. საყრდენი სვეტი
58. მომღერალი დინ ...
59. კომპოზიტორი ზაქარია ...
60. პარლამენტარი ... წერეთელი
61. ცხარე სანებელი
62. ქორწინების ღმერთი ბერძ. მით-ში
63. „ორერა“ ... ნადირაშვილი
64. კომპოზიტორი ... მორიკონე
65. ნიკო ფიროსმანაშვილი, იგივე ...
66. პოლონეთის ფულის ერთეული
67. ალფაბეტი, ანუ ...
68. პრეზიდენტი ... ალიევი
69. ბრძოლის ხაზი
70. უჯრედშორისი სითხე
71. ფრანგი მწერალი
72. ფეხბურთელის სახელობის ყავა
73. მისი დედაქალაქია ჯაკარტა
74. მსახიობი ... პიტი
75. ქალაქი რაჭაში
76. ...-კლარჯეთი
77. ბიბლიიდან: ... კიბე
78. მომღერალი ზურაბ ...
79. სახელმწიფო აფრიკაში
80. ტყემლის სახელებელი ბალახი
81. აკადემიკოსი ... კეცხოველი
82. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი
83. გამორჩენის გამო მაამებელი
84. შიშველი სხეულის ნახატი
85. რეზო გაბრიაძის „უცხო ...“, რომლის მიხედვითაც გადაიღეს „შერეკილები“
86. მსახიობი ჰარისონ ...
87. დაბა ოზურგეთთან
88. „მე ვხედავ მზეს“. სოსოიას რუსი ... რომანოვი
89. მწერალი ტომას ... რიდი
90. მომღერალი რიკი ...
91. საზ. მოღვაწე ილია ...
92. ... დე მოპასანი
93. მონათა აჯანყების წინამძღოლი
94. პირბადე
95. ისტ. ციხესიმაგრე კახეთში
96. ხმადაბალი ჟღერადობა მუსიკაში
97. ...-ბოქსინგი
98. მხ/ფ „...-ძა-ძა“
99. ... მოროშკინა
100. აზნაურზე მაღალი წოდება
101. ანდაზა: ... ტილს ფეხზე რომ დაისვამ, თავზე აგაცოცდებაო
102. ოპერის თეატრი ... სკალა
103. საქ. ფეხბ. ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად ...
104. მხატვარი ... სულაკაური
105. ისტ. ძეგლების დაზიანება, ანუ ...
106. კუდიანი ვარსკვლავი
107. კუნძული შრი-...
108. გადაბრუნებული ასო დელტა
109. პატარა ჭურჭელი სუნამოსათვის
110. მსახიობი ელიზაბეტ ...
111. მსახიობი ... პაპასი
112. მხ/ფ „... ჰელსინგი“
113. განგსტერი ... კაპონე
114. კომპიუტერული „მსოფლიო ქსელი“
115. ფეხბურთის იტალიელი გულშემატკივარი
116. მხატვარი ოგიუსტ ...
117. მსოფლმხედველობა
118. რისგან შედგება ჩონჩხი
119. პალმა-...-მალიორკა
120. ... და ტირილი მეგობები არიან
121. სინთეზური ქსოვილი
122. ნახევარი დუჟინი, ანუ ...
123. ტელევიზორის კინესკოპი
124. ქეთოს მამის თანამდებობა („იავნანამ რა ჰქმნა“)
125. გამოუსვლელი ადამიანი
126. 100სმ
127. ლუდის მასალა
128. ამოსახველებელი ნაყენი
129. მსახიობი ... დემონჯო
130. წამწამის ძირის ანთება
131. ჟან მარე და ლუი დე ფიუნესი ფილმში
132. პოეტი ... შევჩენკო
133. იეტის ქალიშვილი
134. ... ჟირარდო
135. მოსამსახურე
136. მდინარე პარიზში
137. მტაცებელი ცხოველი ძვირფ. ბეწვით
138. მსახიობი დემი ...
139. ხილი
140. ქართ. ფულის ერთეული
141. თამაშში: არჩევანი და ...
142. გეოლოგიური პერიოდი
143. მსახიობი ... ფლინი
144. ... სუხიშვილი
145. მსახიობი ჟერარ ...
146. საგანგებო დავალება
147. გეომეტრიული ფიგურა

პასუხები: 1. ფუტკარი; 2. ლომოური; 3. გუდა; 4. გრიპი; 5. აფთიაქი; 6. არგენტინა; 7. კაკულია; 8. ფუთი; 9. სკუტერი; 10. მაგალითი; 11. დელტაპლანი; 12. დისკოთეკა; 13. გას; 14. უღელტეხილი; 15. იმერული; 16. ბისკაი; 17. კასტრო; 18. ბრინზა; 19. ესე; 20. მოდელი; 21. წალამი; 22. ანისი; 23. პიზა; 24. აგრესორი; 25. ტრიტონი; 26. სომალი; 27. ლოს; 28. წერილი; 29. ლითი; 30. „ზინგერი“; 31. პირანდელო; 32. იხვნისკარტა; 33. ვაჭარი; 34. მანჭია; 35. მარლი; 36. დეიმონი; 37. ზეტა; 38. რივერ; 39. თხილის; 40. ირიტი; 41. ატოლი; 42. სლეიტერი; 43. როდ; 44. ესაძე; 45. ნეიტრონი; 46. მანგლისი; 47. ალბანეთი; 48. სანგარი; 49. როსინანტი; 50. რბოლა; 51. გოგოლა; 52. გრინგო; 53. სირმა; 54. იგრეკი; 55. იადონი; 56. ტიტა; 57. ბოძი; 58. რიდი; 59. ფალიაშვილი; 60. გიგი; 61. მდოგვი; 62. ჰიმენე; 63. გენო; 64. ენიო; 65. ნიკალა; 66. ზლოტი; 67. ანბანი; 68. ილჰამ; 69. ფრონტი; 70. ლიმფა; 71. დიუმა; 72. პელე; 73. ინდონეზია; 74. ბრედ; 75. ონი; 76. ტაო; 77. იაკობის; 78. სოტკილავა; 79. ანგოლა; 80. ომბალო; 81. ნიკო; 82. გეიმი; 83. მლიქვნელი; 84. ნიუ; 85. ჩიტი; 86. ფორდი; 87. ანასეული; 88. ანატოლი; 89. მაინ; 90. მარტინი; 91. ჭავჭავაძე; 92. გი; 93. სპარტაკი; 94. ვუალი; 95. გრემი; 96. პიანო; 97. კიკ; 98. ქინ; 99. ლალი; 100. თავადი; 101. ღორის; 102. ლა; 103. სიჭინავა; 104. ზაალ; 105. ვანდალიზმი; 106. კომეტა; 107. ლანკა; 108. ნაბლა; 109. ფლაკონი; 110. ტეილორი; 111. ირენ; 112. ვან; 113. ალ; 114. ინტერნეტი; 115. ტიფოზი; 116. რენუარი; 117. კრედო; 118. ძვალი; 119. დე; 120. სიცილი; 121. ნეილონი; 122. ექვსი; 123. ეკრანი; 124. ნაიბი; 125. ტეტია; 126. მეტრი; 127. ალაო; 128. ალთე; 129. მილენ; 130. ჯიბლიბო; 131. „ფანტომასი“; 132. ტარას; 133. მედეა; 134. ანი; 135. ლაქია; 136. სენა; 137. სიასამური; 138. მური; 139. ბალი; 140. ლარი; 141. არადანი; 142. იურა; 143. ეროლ; 144. ილიკო; 145. ფილიპი; 146. მისია; 147. კონუსი. იკითხება: მიწის კურდღელი. ზღვის გოჭი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00







1. ქვეყანა. დედაქალაქია ათენი
2. მსახიობი ... დი კაპრიო
3. მწერალი ასტრიდ ...
4. „ხევისბერი გოჩა". პერსონაჟი
5. კოშკი ბაბილონში
6. გემით მოგზაურობა
7. მსახიობი ... ჩელენტანო
8. მხ/ფ. „... და მისი ძმები"
9. მწყემსის მოსასხამი
10. აღმოსავლ. სიმებიანი საკრავი
11. გემის მზარეული
12. ნიანგი ჩრდ. ამერიკაში
13. ძაღლის ნაშიერი
14. ამ შენობაში წიგნებია
15. მან აღორძინა ოლიმპიური თამაშები
16. შუადღის პურისჭამა
17. შეძახილი თეატრში
18. რისი დეგუსტატორია სომელიე
19. ვაზის ტოტი ორი მტევნით
20. მხ/ფ. „ანჟელიკა ... მარკიზა"
21. მწერალი ... ტვენი
22. ნოხი
23. ხალხური საკრავი ტიკით
24. ნიავი
25. პრეზიდენტი ნიკოლა ...
26. ნ. დუმბაძე. „მზიანი ..."
27. ლიუკ ბესონის ფილმი
28. გემის ფსკერის კოჭი
29. მსახიობი ... ხვიჩია
30. ბოსტნეული
31. ისლანდიელი მომღერალი
32. ტყის „სანიტარი" ფრინველი
33. სახელმწ. სამხრ. ამერიკაში
34. ჩუქურთმა
35. ბულგარული არაყი
36. სამკურნალო მცენარე
37. ჩეხური ავტომობილი
38. იესო ქრისტეს სამოსი
39. ხილის გამაგრილებელი წვენი
40. პოეტი ... მირცხულავა
41. ... ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო
42. სინი
43. ჩირქის გამომწვევი მიკრობი
44. კუნძულ. სახელმწ. წყნარ ოკეანეში
45. ჯეიმს კამერონის ფილმი
46. მსახიობი ... რობინსი
47. ამ ნივთიერების სუნი დამპალი თავის სუნს შეადარეს
48. მხ/ფ. „იმერული ესკიზები". მათხოვარი
49. იანის საპირისპირო
50. „სწავლის ... მწარე არის"
51. მსახიობი ... დე ფიუნესი
52. ვაჟიშვილი
53. ფრინველი ანტარქტიდაზე
54. შვარცენეგერი: რკინის ...
55. შვლის ნაშიერი
56. მხ/ფ. „ფანტომასი". ჟან ...
57. ხის გრძელცხვირა თოჯინა
58. მსახიობი რობერტ დე ...
59. მსახიობი ... ბლუმი
60. მსახიობი ... აბაშიძე
61. თვითმფრინავის საჰაერო ვინტი
62. თაღი
63. შილაფლავის სანელებელი
64. ... ერთობაშია
65. გაუშლელი ყვავილი
66. ისტერიული შიში
67. ქვის სახლის მშენებელი
68. „იყო შაშვი ..."
69. ლუდის მასალა
70. სწრაფად გათამაშებ. საჭადრაკო პარტია
71. ყველაზე რბილი მინერალი
72. აღვირის ნაწილი
73. მისი დეგუსტატორია ფუმელიე
74. სხეულის განადგურება დაწვით
75. მევიოლინე ... ისაკაძე
76. ჰავა
77. ბალახის მოსათიბი იარაღი
78. კომპოზიტორი მიქაელ ...
79. მდინარე ქუთაისში
80. მსახიობი მონიკა ...
81. მ. შოლოხოვი. „წყნარი ..."
82. სიმებიანი საესტრადო ინსტრუმ.
83. ლურჯი ნივთიერება თეთრეულისათვის
84. იტალიური ფულის ერთეული
85. თავაშვებული ღრეობა
86. ხის მოჭრილი ტანი
87. მსახიობი ... გოძიაშვილი
88. ტყავის ზოლი ფეხსაცმლის ირგვლივ
89. კვერცხის მდებელი ქათამი
90. შთაგონების ქალღმერთი (ბერძნ.მით.)
91. სულთნის მრჩეველი
92. ნამარხი სპილო
93. მეფის მხლებლები
94. სასულე საკრავი კათოლიკ. ტაძარში
95. ქალაქი შოტლანდიაში
96. სამშობლოს მონატრება
97. ინდური კაბა
98. ფარული დაცინვა
99. მაღალყელიანი ნაქსოვი სამოსი
100. მსახიობი ... ვლადი
101. მსახიობი ... სტრიპი
102. გრძელკისრიანი ცხოველი
103. ცვარი
104. საპორტო ქალაქი საქართვ.
105. უცხოელი დამპყრობელი, ანუ ...
106. ცეცხლის დასანთები წვირი
107. პოეტი ...-ფშაველა
108. ტაილანდური ენა
109. კავშირებითი სიტყვა
110. ფრინველის სამწყვდევი
111. შვედური ანსამბლი
112. მდინარე ციმბირში
113. რძის პროდუქტი
114. მზესუმზირის ტკბილეული
115. მსახიობი მარლონ ...
116. ხის ჯამი
117. ღორის ნაშიერი
118. იაპონური თეატრი
119. ქვეყნის მატიანე
120. ტკბილი ნივთიერება
121. აქლემების მწკრივი უდაბნოში
122. მსახიობი ... გარდნერი
123. აზოტმჟავა სასუქი
124. ზღვაოსანი ფერნანდო ...
125. ოტო ... ბისმარკი
126. რისი დეგუსტატორია ტიტესტერი
127. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
128. მოჭიდავე
129. პალმა. აქვს კაკლები
130. მსუბუქი, ანუ ...
131. ამერიკული სამგზავრო თვითმფრ.
132. სიტყვა. ნიშნავს ცივს
133. შალეულის მავნებელი პეპელა
134. მომღერალი დაიანა ...
135. მყარი ცხიმი
136. „დათა თუთაშხია". ... სარჩიმელია
137. მხატვარი კამილ ...
138. შინაური ცხოველი
139. გერდას მეგობარი ბიჭუნა (ზღაპრიდან)
140. მსახიობი ... გარსია
141. მსახიობი ... ზელვეგერი
142. ინგლ. ისტორიაში: უინსტონ ...
143. იუპიტერის თანამგზავრი
144. ცეკვა „მულენ რუჟში"
145. ზამბახი
146. მწერალი ... პასტერნაკი
147. ფეხის სახსარი
148. უნგრელი კომპოზიტორი
149. მსახიობი ... რურკი
150. ... შეჯდა მწყერი ხესა
151. ... ჟურჩვენია მამულსა

პასუხები: 1. საბერძნეთი; 2. ლეონარდო; 3. ლინდგრენი; 4. ონისე; 5. გოდოლი; 6. კრუიზი; 7. ადრიანო; 8. როკო; 9. ნაბადი; 10. თარი; 11. კოკი; 12. ალიგატორი; 13. ლეკვი; 14. ბიბლიოთეკა; 15. კუბერტენი; 16. სადილი; 17. ბის; 18. ღვინო; 19. აკიდო; 20. ანგელოზების; 21. მარკ; 22. ფარდაგი; 23. გუდასტვირი; 24. სიო; 25. სარკოზი; 26. ღამე; 27. „ნიკიტა"; 28. კილი; 29. იპოლიტე; 30. სტაფილო; 31. ბიორკი; 32. კოდალა; 33. ბოლივია; 34. ორნამენტი; 35. რაკია; 36. ასკილი; 37. „ტატრა"; 38. კვართი; 39. სიტრო; 40. ალიო; 41. ხარი; 42. ლანგარი; 43. სტაფილოკოკი; 44. სამოა; 45. „ავატარი"; 46. ტიმ; 47. პირიდინი; 48. ოლია; 49. ინი; 50. ძირო; 51. ლუი; 52. ძე; 53. პინგვინი; 54. არნი; 55. ნუკრი; 56. მარე; 57. პინოქიო; 58. ნირო; 59. ორლანდო; 60. დოდო; 61. პროპელერი; 62. არკა; 63. ძირა; 64. ძალა; 65. კოკორი; 66. პანიკა; 67. კალატოზი; 68. მგალობელი; 69. ალაო; 70. ბლიცი; 71. ტალკი; 72. ლაგამი; 73. სიგარა; 74. კრემაცია; 75. ლიანა; 76. კლიმატი; 77. ცელი; 78. ტარივერდიევი; 79. რიონი; 80. ვიტი; 81. დონი; 82. გიტარა; 83. ლილა; 84. ლირა; 85. ორგია; 86. მორი; 87. ვასო; 88. რანტი; 89. დედალი; 90. მუზა; 91. ვეზირი; 92. მამონტი; 93. ამალა; 94. ორგანი; 95. გლაზგო; 96. ნოსტალგია; 97. სარი; 98. ირონია; 99. სვიტერი; 100. მარინა; 101. მერილ; 102. ჟირაფი; 103. ნამი; 104. ფოთი; 105. ბარბაროსი; 106. ასანთი; 107. ვაჟა; 108. ტაი; 109. რომ; 110. გალია; 111. „აბბა"; 112. ირტიში; 113. არაჟანი; 114. ჰალვა; 115. ბრანდო; 116. გობი; 117. გოჭი; 118. ნო; 119. ისტორია; 120. შაქარი; 121. ქარავანი; 122. ავა; 123. ნიტრატი; 124. მაგელანი; 125. ფონ; 126. ჩაი; 127. რაფა; 128. ფალავანი; 129. ქოქოსი; 130. მჩატე; 131. „ბოინგი"; 132. კრიო; 133. ჩრჩილი; 134. როსი; 135. ქონი; 136. რაჟა; 137. კორო; 138. თხა; 139. კაი; 140. ენდი; 141. რენე; 142. ჩერჩილი; 143. იო; 144. „კანკანი"; 145. ირისი; 146. ბორის; 147. მუხლი; 148. ლისტი; 149. მიკი; 150. არა; 151. ის.

## შევარდნაძის ყოფილი რძლის ემოციური პოსტი — „იმედი მაქვს, მოვახერხებ, ჩემი ბიჭები ისე გავზარდო, რომ...“



თათია შარანგია ფართო საზოგადოებამ რამდენიმე წლის წინათ გაიცნო, როდესაც ის ედუარდ შევარდნაძის რძალი გახდა. მოგვიანებით თათია სანდრო შელიას გაჰყვა ცოლად.

თათია პროფესიით პიანისტია და საქართველოში ბევრ საქველმოქმედო ღონისძიებას მართავს. „ფეისბუკზე“ მან პოსტი გამოაქვეყნა, სადაც წერს, რომ სურს, გარშემო უმადური ადამიანები აღარ არსებობდნენ.

– როდესაც ადამიანებზე წარმოდგენა გეკარგება! ყველაზე მტკივნეული ამქვეყნად უსამართლობა მგონია... ყველაზე მდაბიო კი ის ადამიანები, ვისაც მდგომარეობა, სიტუაცია, რაღაც ქაღალდები (რომლითაც ჰგონიათ, ადამიანების კეთილგანწყობასაც იყიდიან) ცვლით, ავიწყდებათ, საიდან მოდიან. ავიწყდებათ, ვინ გაუწოდათ ხელი წამოდგომისას, ან უბრალოდ ავიწყდებათ ადამიანური საქციელი... ვინატრებდი ჩემს გარშემო გაიფილტროს ასეთი ადამიანები, ასეც მოვიქცევი. მე მიყვარს გულწრფელი ადამიანები. თავმდაბალი ადამიანები, რომლისთვისაც მთავარ ღირსებად სიმართლე და ადამიანობა რჩება... „დრონი მეფობენ და არა მეფენი“... იმედი მაქვს, მოვახერხებ, ჩემი ბიჭები ისე გავზარდო რომ მათთვისაც ეს ფასეულობა იყოს უმთავრესი... – წერს თათია. (დაიჯესტი.პია.გე)

## „გაზპრომთან“ ივანიშვილი-კალაძის კურკური საფრთხეში აყენებს მთელი რეგიონის უსაფრთხოებას



„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი გუგავა მიიჩნევს, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები სოციალური თვალსაზრისითაც უარყოფით შედეგს მოიტანს და გაზზე ტარიფის ზრდას გამოიწვევს.

– „გაზპრომთან“ ივანიშვილი-კალაძის კურკური და მოღალატეობრივი შეთანხმებები საფრთხეში აყენებს არამხოლოდ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს, არამედ მთელი რეგიონის უსაფრთხოებას. ამავე დროს, სოციალური თვალსაზრისით, ეს გამოიწვევს გაზზე ტარიფის გაზრდას, – განაცხადა გუგავამ. (news.ge)



ლაურა აბრამია

591 97-67-09

# სომხეთიდან საქართველოსკენ „ღორის გრიპი“ მოიწევს?



სომხური სააგენტოების ინფორმაციით, H1N1 ვირუსით სომხეთში უკვე მეცხრე ადამიანი დაიღუპა. 10 იანვრისთვის ე.წ. ღორის გრიპით გარდაცვლილთა რიცხვი 5-ს შეადგენდა, დღეის მონაცემებით კი უკვე 9-ს მიაღწია. მათგან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა.

სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე? რატომ იღუპება ამდენი ადამიანი? მოსალოდნელია თუ არა საქართველოში ამ ვირუსის გავრცელების საფრთხე მაშინ, როცა სომხეთ-საქართველოს შორის საკმაოდ ინტენსიური მიმოსვლაა?

**„ალიას“ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე ესაუბრა:**

**— ბატონო პაატა, მაინც რა ვირუსთან გვაქვს საქმე, რატომ დაიღუპა ამდენი ადამიანი?**

– მინდა დაგიკონკრეტოთ ერთი რამ, არა მარტო სომხეთში, არამედ მთელ რიგ ქვეყნებში ცირკულირებს ა-გრიპის H1N1 ტიპი, ეს არის ახლა ყველაზე ფართოდ გავრცელებული ვირუსი, თითქმის ნახევარი, რაც კი ევროპაშია, არის ამ ვირუსით გამოწვეული. ეს არის ვირუსი, რომელიც დაახლოებით 5 წელიწადია ცირკულირებს. არაფერი ახალი ამაში არ არის, ზამთარია და ზამთარი გრიპის გარეშე არ არსებობს, ფაქტობრივად. ასი ათასი კაცი რომ დაავადდება ჩვეულებრივი გრიპით, იქ, სამწუხაროდ, ვიღაცას ამოარჩევს, ვინც ექიმთან მისვლა დააგვიანა, ვისაც შედარებით სუსტი ჯანმრთელობა აქვს და ა.შ. თურქეთშიცაა გავრცელებული ეს ვირუსი.

**— არის საფრთხე, რომ სომხეთ-საქართველოს საზღვარზე გახშირებული მიმოსვლის გამო ჩვენთანაც გაიზარდოს დაავადებულთა რაოდენობა?**

– საერთოდ, საზღვრებზე ზომები შეიძლება მიიღო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით. ეს გრიპი, როგორც უკვე გითხარით, არის მთელ მსოფლიოში მოდებული, ყველა ქვეყანაში, ჩვენთან ეპიდემია წელს არ იქნება, ახლა დაბალი ინტენსივობაა, საშუალო ინტენსივობას მიაღწევს თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში.

**— რა ინფორმაციას ფლობთ სომხეთში გრიპის შედეგად გარდაცვლილი ჩვენი მოქალაქის შესახებ?**

– ამაზე დაზუსტებული ინფორმაცია გვაქვს. ამ ადამიანმა, სამწუხაროდ, დაავადებიდან მერვე დღეს მიმართა ექიმს, მისი მდგომარეობა უკვე დამძიმებული იყო და გადარჩენაც ვერ მოხერხდა.

**— რამე განსაკუთრებული სიმპტომები ახასიათებს ამ ვირუსს?**

– მოგეხსენებათ, ავრცელებენ გრიპს მსუბუქი ავადმყოფები, მძიმე ავადმყოფი სახლში წევს, ვერ დადის და მსუბუქად დაავადებული დადის და შესაბამისად, ავრცელებს ვირუსს. დროულად უნდა მიმართონ ექიმს, მახასიათებელი სიმპტომებია: 38-ის ზევით ტემპერატურა რამდენიმე დღე და სუნთქვის გაძნელება, რაც პნევმონიაში გადადის. რომ გითხრათ, არავითარი განსხვავებული სიმპტომი არ ახასიათებს კონკრეტულად ღორის გრიპს, ძირითადად რაზეც ზემოთ გესაუბრეთ, ესენია. მკურნალობას რაც შეეხება, ძირითადად ერთნაირი მეთოდით ხდება. ასევე, ჩვენ ვაკვალიფიცირებთ, რა სახის გრიპთან გვაქვს საქმე, უბრალოდ.

რაც შეეხება ვინ უნდა მიაკითხოს ექიმს, ბავშვებში, ერთი დღეც კი 38-ზე ზევით თუ აქვს სიცხე, აუცილებლად ექიმმა უნდა ნახოს, მოზრდილებში კი, თუ სუნთქვის გაძნელება დაერთვის სიცხეს 3 დღეზე მეტი, და ასევე სისხლიანი ან ჩირქიანი ნახველია, მაგ შემთხვევაში.

5 წლის წინათ, როდესა ჩვენთან ეს ვირუსი დაფიქსირდა, ეს იყო პანდემია და ცნობილი პრეპარატი „ტამიფლუ“ იქნა შემოტანილი, ეს პრეპარატი ახლაც არის ჩვენთან. ეპიდემიური მარაგები იქმნება ხოლმე, როცა პანდემიაა მოსალოდნელი, როცა ჩვეულებრივი სიტუაციაა. გარკვეული რაოდენობით, რა თქმა უნდა, აქვთ საავადმყოფოებს, მაგრამ სპეციალური მარაგები აღარ იქმნება ხოლმე, სანამ ამის საჭიროება არ დადგება. ყველაფერი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით კეთდება, ასეთი რეკომენდაცია, საბედნიეროდ, ჯერ არ მიგვიღია.

სახელმწიფო პროგრამით 12 ათასამდე ადამიანი მაღალი რისკის ჯგუფები ვინც არიან, ჩვილ ბავშვთა სახლები, მოხუცებულთა თავშესაფრები, დიალიზზე მყოფი პაციენტები, დიაბეტიანი ბავშვები, მათ შორის ექიმები, ესენი სახელმწიფო პროგრამით კონტროლდებიან.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოზურგეთში პოლიციელები სამსახურიდან გარბიან — პოლიცია შესაძლოა, თანამშრომლების გარეშე დარჩეს




შსს-ს გურიის დეპარტამენტის ოზურგეთის პოლიციის რამდენიმე ათეულმა თანამშრომელმა შესაძლოა, ხელმძღვანელობას სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე განცხადებით მიმართოს.

ამის შესახებ თავად პოლიციელები აცხადებენ. მათი თქმით, ოზურგეთის პოლიციის სრული შემადგენლობის უმრავლესობა ხელმძღვანელობის პოლიტიკას აპროტესტებს.

როგორც ისინი ამბობენ, უკვე რამდენიმე კვირაა, პირადი შემადგენლობა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ბენზინგასამართ სადგურებს დარაჯობს.

– კარგია, რომ ვიცავთ ბენზინგასამართ სადგურებს, მაგრამ ამისთვის ხომ შესაბამისი სამსახურები არსებობენ. ჩვენ კი ჩვენი მოვალეობა გვაქვს. „ვისოლის“, „ლუკოილის“, „რომპეტროლის“, „სოკარისა“ და „გალფის“ ბენზინგასამართ სადგურებზე ჩვენი გამუდმებული მორიგეობის გამო სხვა ყველაფერი დაუცველი რჩება, ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, მაშინ როცა არც ყაზარმულ მდგომარეობაზე გადავდივართ და 24-საათიანი „ყარაულობა“ გვიწევს, გამოფიტულები ვართ. საერთოდ არ გვძინავს, გახშირდა თავად ჩვენს შორის ავტოსაგზაო შემთხვევები და უამრავი სხვა წვრილმანი პრობლემები, რაც ერთობლიობაში გაუსაძლის პირობებს ქმნის. მოკლედ, ასე თუ გაგრძელდა ყველანი წავალთ, – ამბობენ პოლიციელები, რომლებიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებენ.

მათი თქმით, გაუსაძლის პირობებში მყოფი პოლიციელები, ცენტრალურ ხელმძღვანელობას დახმარებას სთხოვენ. ისინი პრობლემის მიზეზად ადგილობრივი ხელმძღვანელების არაკომპეტენტურობას ასახელებენ.

ცნობისთვის: გურიასა და განსაკუთრებით ოზურგეთში, ბოლო დროს კრიმინოგენური ვითარება დაძაბულია, ყოველდღე იძარცვება პატარ-პატარა მაღაზიები, სწრაფი ჩარიცხვის აპარატები, ადგილი აქვს ჯგუფურ საქმის გარჩევებს, გახშირდა ხულიგნობა და იმატა ყაჩაღობებმა. რაც შეეხება გასულ წელს მომხდარ ბენზინგასამართი სადგურების დაყაჩაღების ფაქტებს, ისინი დღესაც გაუხსნელია. (ნიუპოსტი)

## 87 წლის ქართველი მოხუცი, რომელიც 27 წელია, გარეთ არ გასულა — „გარე სამყარო ენატრება, სად ვიშოვო ეტლი“



„ფეისბუკის“ მომხმარებელი დინა ოგანოვა სოციალურ ქსელში ბებიის შესახებ წერს, რომელიც, დინას თქმით, 27 წელია, სახლიდან არ გასულა, რადგან ფეხების პრობლემა აქვს. 87 წლის მოხუცს არ უნახავს შეცვლილი თბილისი. დიანა საზოგადოებას დახმარებას სთხოვს:

– არ ვიცი, ვის შეიძლება, რომ მივმართო და იქნებ ჩემს სამეგობრო-სანაცნობოში ვინმემ იცოდეს, სად შეიძლება, რომ ერთი დღით ინვალიდის ეტლი ვიშოვო?

საქმე ისაა, რომ...

ჩემი ყველაზე, ყველაზე საყვარელი ადამიანი დედამიწაზე, უზომოდ თბილი, ერთგული მეგობარი და მესაიდუმლე, ბებიაჩემია, რომელიც 87 წლის არის, აქედან 27 წელი საერთოდ არ გასულა გარეთ (ფეხების პრობლემა აქვს და სახლში ძლივს გადაადგილდება) და როდესაც „გარე სამყარო“ ენატრება, აივანზე გადის...

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ ვიცი, ჩვენს უბანში (სევოსტოპოლზე) ამ პერიოდის განმავლობაში არაფერი შეცვლილა და არ უნახავს, როგორი გახდა ჩვენი თბილისი... არა და არ არის ცოტა დრო გასული და ქალაქიც ძალიან შეცვლილია...

სულ მინდოდა, რომ ერთხელ მაინც გაგვესეირნა ქუჩაში ერთად, წამეყვანა ჩემს საყვარელ ადგილებში, რომელიც მხოლოდ ფოტოებზე ჰქონდა ნანახი...

არასდროს გამიგია მისგან, რამე მტკივა ან რამე მაწუხებს, აი, მართლა არასდროს უწუწუნია, ხანდახან მებუტება მართალია, მაგრამ მერე მალე მირიგდება და დღეს ცხოვრებაში პირველად მითხრა:

„დავიღალე...“

უცებ ვიფიქრე, რომ სახლში რაღაც საქმეები გააკეთა და...

„დავიღალე სახლში ჯდომისგან... რა მაგარი ზამთარია წელს, არა? თბილი და მზიანი. რამდენი წელი არ გავსულვარ გარეთ? თბილისი მომენატრა“ და მერე სიჩუმე... ძლივს შევიკავე თავი, რომ არ მეტირა. უზომოდ მეტკინა და სულ მტკივა, მაგრამ დღეს აი, სხვანაირად... – წერს დიანა.

დიანას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ „ფეისბუკში“. (etanews.ge)

## ელისაშვილი შოთაძეს პასუხობს — „მე მათ არ დავუსახელებ ამ პიროვნების ვინაობას“



მთავარი პროკურორის განცხადებას, რომ მას იმედი აქვს ალეკო ელისაშვილი ბოლოს და ბოლოს დაასახელებს პიროვნებას, რომელმაც მას მიაწოდა ინფორმაცია ამნისტიის საქმეში კორუფციული გარიგებების შესახებ, ელისაშვილი პასუხობს და აცხადებს, რომ პიროვნების ვინაობას დაასახელებს იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნება:

– სპეკულანტები და საქმის ჩამფარცხველები თავის პროკურატურაში მოიკითხოს კეზერაშვილის ყოფილმა მაღალჩინოსანმა შოთაძემ. გამოძიება მიდის იქით, რომ ბესელია და კობახიძე როგორმე გამოაძვრინონ. ამდენად, მე მათ არ დავუსახელებ ამ პიროვნების ვინაობას, როდესაც პარლამენტში საგამოძიებო კომისია შეიქმნება, სადაც ცხრაკლიტულში ჩაკეტილ გამომძიებელთან კი არ ვიჯდები საათობით, არამედ იქ საზოგადოებაც იქნება და მედიაც და იმ ადამიანს დავასახელებ და მის დაკითხვასაც მოვითხოვ. ჩემი დაკითხვის დროს ფარული კამერით აშკარად ვიღაცები მიყურებდნენ, შეიძლება ბესელიაც იყო სადმე სავარძელში მოკალათებული და გამომძიებელს „ეჩათავებოდნენ“, აბა ახლა ეს ჰკითხე, ახლა ეს, ასეთ გამოძიებას ამ ადამიანს მე ხელში არ ჩავუგდებ, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა. (პირველი რადიო)

## სააკაშვილი მოსამართლეებს „დაერია“



ოდესის გუბერნატორის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, აუცილებელია სასამართლო რეფორმის გატარება და მოსამართლეების შეცვლა, თუმცა მისივე თქმით, ის უკრაინის ხელისუფლებაში ვერ ხედავს ძალას, რომელიც ამ ყველაფერს განახორციელებს:

„დარწმუნებული ვარ, რომ მოსამართლეები უნდა შეიცვალონ, მაგრამ მე ვერ ვხედავ დღვანდელ პარლამენტში, დღევანდელ ხელისუფლებაში ძალას, რომელიც ამას შეძლებს. ისინი ვინც მოსამართლეების შეცვლაზე საუბრობენ უბრალოდ ლაყბობენ, ეს მხოლოდ საუბრებია. ამ დარბაზში არის ერთი ადამინი ვინც შეძლო მოსამართლეთა 100% შეცვლა და ეს მე ვარ“. – განაცხადა სააკაშვილმა ხარკოვში ჩატარებულ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, მოსამართლეების შეცვლის ერთადერთი გზა საზოგადოების ზეწოლაა. (პირველი რადიო)

## ტყემალაძე: საარჩევნო კამპანიის დაწყება უნდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და არიქა, ატეხილია განგაში



საპარლამენტო უმრავლესობა „გაზპრომთან“ მოლაპარაკებებში საფრთხეებს ვერ ხედავს. დეპუტატი ზურაბ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ „გაზპრომის“ თემას წინასაარჩევნო კამპანიისთვის იყენებს.

– ეს არის სიცრუის ტირაჟირება, საარჩევნო წელია და საარჩევნო კამპანიის დაწყება უნდა „ნაციონალურ მოძრაობას“. დაიწყო და არიქა, ატეხილია განგაში. წავიდნენ დალოცვილიშვილები, ენერგეტიკის სამინისტროში. ღიაა, საიტებზე დევს, ამოიღონ „გაზპრომიდან“ რამდენ გაზს ვიღებდით მთელი ამ 12 წლის განმავლობაში და ნახავენ, როგორი დინამიკაა და მანდ რომ ახალი არაფერი არ არის, მაგასაც ნახავენ, – განაცხადა ტყემალაძემ.

ცნობისთვის, რუსულ კომპანიასთან მოლაპარაკებებთან დაკავშირებით კითხვები აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“. უმცირესობა ენერგეტიკის მინისტრს კახა კალაძეს პარლამენტში იბარებს. (news.ge)

## „ბოლო წლებში მეტ მოცულობას ვყიდულობდით აზერბაიჯანისგან და სულ უფრო ნაკლებს — „გაზპრომიდან“

ახალი პოლიტიკური ცენტრის, „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერის, ზურაბ ჯაფარიძის განცხადებით, წინა ხელისუფლების დროს, მილსადენის გაყიდვაზე საუბარი იყო დაახლოებით 2005 წელს, ჯერ კიდევ, აგვისტოს ომამდე პერიოდში. ზურაბ ჯაფარიძის განმარტებით, მაშინ, გაზის მომწოდებელი საქართველოსთვის მხოლოდ რუსეთი იყო.



– არ იყო აუცილებელი, რომ მილსადენი მაინცდამაინც რუსებზე გაყიდულიყო. შემდეგ იყო 2006 წლის იანვარი, ძალიან მძიმე და ცივი ზამთარი, როდესაც რუსეთმა გადაწყვიტა, გაზის მიწოდება გამოეყენებინა როგორც პოლიტიკური იარაღი საქართველოს წინააღმდეგ. შეგვიწყვიტა ბუნებრივი აირით მომარაგება. ამის შემდეგ, თუ ნახავთ, რა ხდებოდა, მათ შორის, წინა ხელისუფლების დროს, ცალსახად ჩანს, რომ წლების განმავლობაში, მართალია, „გაზპრომიდან“ შემოდიოდა საქართველოში რაღაც რაოდენობის ბუნებრივი აირი, მაგრამ ეს მოცულობა მუდმივად კლებადი იყო, – განაცხადა ჯაფარიძემ.

მისივე თქმით, უკვე ბოლო წლებში, სულ უფრო და უფრო მეტ მოცულობას საქართველო ყიდულობდა აზერბაიჯანისგან და სულ უფრო ნაკლებს – „გაზპრომისგან“.

– ბოლო წლებშიც, „გაზპრომიდან“ რაღაც დამატებებიც შემოდიოდა – ძალიან უმნიშვნელო, ძირითადი ნაწილი კი – აზერბაიჯანიდან. ტენდენცია და კურსი იყო აღებული იმისკენ, რომ ჩვენ აღარ ვყოფილიყავით დამოკიდებული რუსეთზე, იმიტომ, რომ აღარ ვენდობოდით მას და მომარაგება გვქონოდა უფრო სანდო სტრატეგიული პარტნიორისგან, აზერბაიჯანისგან, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

ცნობისთვის, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის დეკან გიგა ბედინეიშვილის განცხადებით, წინა ხელისუფლების დროს, მართალია, მილსადენის „გაზპრომზე“ მიყიდვაზე იყო საუბარი, მაგრამ ეს გაცილებით ნაკლებ რისკებს ქმნის, ვიდრე „გაზპრომის“ გაზზე „შეჯდომა“, რადგან ეს პუტინის ხელში არსებული პოლიტიკური იარაღია. (pia.ge)

## „საშიშ სტუდენტებად“ ჩათვლილი ერაყელი სტუდენტები დახმარებას ითხოვენ



საქართველოსთვის „საშიშ სტუდენტებად“ ჩათვლილი და ბინადრობის უფლებაშეჩერებული ერაყელები დახმარებას ითხოვენ.

ქუთაისში მცხოვრებ 8 ერაყელ სტუდენტს, საქართველოში ცხოვრების უფლებას აღარ აძლევენ და შესაბამისად, მათ სტუდენტის სტატუსიც ჩამოერთმევათ.

ერაყელი ახალგაზრდები, ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე 3 წელია სწავლობენ.

მათ აქცია გამართეს სახელწოდებით „ჩვენ არ ვართ საშიში“.

როგორც ისინი აცხადებენ, ქუთაისში 3 წელია, სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობენ. გაირკვა ისიც, რომ იმ შემთხვევაში, თუ მათ ბინადრობის უფლება არ გაუგრძელდებათ, 3-წლიანი სწავლაც ბათილად იქნება ცნობილი და ვერც ერთ სხვა უნივერსიტეტში ველარ შეძლებენ სწავლის გაგრძელებას.

– 3 წელია ქუთაისში ვსწავლობთ სამედიცინო ფაკულტეტზე. წელიწადში 4500 დოლარს ვიხდით და საცხოვრებლითაც კი არ ვართ უზრუნველყოფილი. ახლა იუსტიციის სახლში გვეუბნებიან, რომ ბინადრობის უფლებას არ გაგვიგრძელებენ, რადგან საქართველოსთვის საშიშროებას წარმოვადგენთ, – აცხადებს ერთ-ერთი ერაყელი სტუდენტი.

როგორც უნივერსიტეტში განმარტავენ, სასწავლო დაწესებულება ყველაფერს აკეთებს, რომ მათ სტუდენტის სტატუსი არ შეუჩერდეთ და 3 წელი არ დაეკარგოთ. თუმცა, ბინადრობის უფლების მოპოვება უნივერსიტეტის კომპეტენციას სცდება.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს პოზიციას, გარდა იმ განმარტებისა, რომელიც სტუდენტებმა ქუთაისის იუსტიციის სახლში მიიღეს, დამატებით კომენტარი არ კეთდება.

ქუთაისში მცხოვრები ერაყელი სტუდენტების საქმით საქართველოს „სახალხო დამცველის აპარატიც“ დაინტერესდა, თუმცა, რა შედეგი დადგება, ჯერჯერობით გაურკვეველია.

იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემულ საბუთში აღნიშნულია, რომ სტუდენტებს გადაწყვეტილების გასაჩივრება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში შეუძლიათ. (ipress.ge)

## ლაშა კილაძე: საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას თუ შემომთავაზებენ, დავფიქრდები



ინტელექტკლუბ „რა? სად? როდის?“ ვიცე-პრეზიდენტ ლაშა კილაძეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შეთავაზება ჯერ არ მიუღია, თუმცა, როგორც კილაძე აცხადებს, თუ ამ შეთავაზებას მიიღებს, დაფიქრდება.

– ჯერჯერობით არავის არაფერი შემოუთავაზებია. არ მიფიქრია ამ საკითხზე. თუ შემომთავაზებენ, დავფიქრდები. გააჩნია, რომელი პარტია შემომთავაზებს, რას შემომთავაზებს და რამდენად იქნება თანხვედრაში ეს შემოთავაზება ჩემს მსოფლმხედველობასთან და ღირებულებებთან.

ამ ეტაპზე მე ვმუშაობ ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრის გენერალურ დირექტორად. ვფიქრობ, რომ სახელმწიფო სამსახურში ვარ. საერთოდ, სახელმწიფო სამსახურში ვარ ძალიან დიდი ხანია, რაც საქმიანობას შევუდექი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ამ წუთშიც ვახორციელებ მნიშვნელოვან საქმიანობას ჩემი სახელმწიფოსთვის. ამდენად, ნამდვილად არ მაქვს ის ცდუნება, რომ სახელმწიფო პოლიტიკაში მონაწილეობის თემამ რაღაცები შეცვალოს, – აღნიშნა ლაშა კილაძემ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განაცხადა, რომ პარლამენტში რაც უფრო მეტი ინტელექტუალი იქნება, უკეთესია.

ლაშა კილაძემ კობახიძის ამ განცხადებას ასე უპასუხა:

– ვეთანხმები ქალბატონ მანანას, მაგრამ ნამდვილად ჯერ არავის არაფერი არ შემოუთავაზებია. (ipress.ge)

## ცოტნე გამსახურდია: „ეფექტური“ მთავრობა გვყავს ამ ღატაკ ქვეყანაში, არა?



ცოტნე გამსახურდია „ფეისბუკში“ სტატუსს აქვეყნებს:

– „ეფექტური“ მთავრობა გვყავს ამ ღატაკ ქვეყანაში, არა?

როცა ანალიზს გააკეთებთ, თმა ყალყზე დაგიდგებათ: ერთ გაკვეთილზე მასწავლებლის ანაზღაურება 16 თეთრი გამოდის, საშუალო თვიური ხელფასი კი 355 ლარია. ამ დროს რა სიტუაციაა სამინისტროში? – სანიკიძის შენახვა სახელმწიფოს დღეში 600-666 ლარი უჯდება. გამოვითხოვეთ ინფორმაცია მისი სატელეფონო საუბრების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ეს ქალი თვეში 813 ლარისას ლაპარაკობს. თანხის კოლოსალურობას რომ თავი დავანებოთ, იცით, რა გამოდის? – ეს ქალი რვასაათიან სამუშაო დღეში ექვსი საათი ტელეფონზე ლაპარაკობს, საქმეს როდისღა აკეთებს? რაც შეეხება მის პრემიებს, როცა პირველად ვამხილე, აღმოჩნდა, რომ თვეში 16 ათას ლარამდე გამოსდიოდა ანაზღაურება. მას მერე საეჭვოდ გაიზარდა არასაშტატო თანამშრომელთა რიცხოვნობა. საეჭვოდ მეჩვენება ის ფაქტიც, რომ გაიზარდა არასაშტატო მოსამსახურეების პრემირებაც. რადგან იურისტი არ ვარ, ვსვამ შეკითხვას და ვერავინ მპასუხობს: არასაშტატო თანამშრომლებზე პრემიების გაცემა შეიძლება? სახელმწიფო აუდიტმა ისიც თქვა, რომ არც ერთი პრემია და დანამატი დასაბუთებული არაა. ამავდროულად, სანიკიძეს მოუწესრიგებელი აქვს ნორმატიული აქტები პედაგოგთა დანამატების შესახებ და მათთვის ერთი თეთრი პრემიაც კი არ ემეტებათ. (news.ge)

## აზერბაიჯანელი ბანკირების სოლიდარობა მოსახლეობისადმი — ის, რაც ქართველი ბანკირებისთვის უცხოა




როგორ უნდა მოექცნენ ბანკები მომხმარებლებს, რომლებიც ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამო დაზარალდნენ – ამის მაგალითია „ვითიბი ბანკი აზერბაიჯანის“ ნაბიჯები, რომელიც ბანკმა ქვეყანაში შექმნილი სავალუტო კრიზისის პირობებში, მსესხებლების დასახმარებლად გადადგა.

ქართულ საბანკო სისტემას გაუჭირდება იმ შავი ლაქების მოცილება, რომლებიც მას აგვისტოს ომიდან მოჰყვება, როდესაც, რუსული ოკუპაციისგან დაზარალებულ მოსახლეობას დამატებით საფრთხედ მოევლინნენ საბანკო ოფიცრები, რომლებიც მათგან კრედიტების დროულ დაფარვას მოითხოვდნენ. სხვა ფაქტების არარსებობის შემთხვევაში, მხოლოდ ერთი ფაქტი იქნებოდა საკმარისი ქართველი ბანკირების დამოკიდებულების დახასიათებისთვის: აგვისტოს ომის დროს დაღუპული ზვიად რაზმაძის ძმამ, რომლის ფოტომაც მთელი მსოფლიო მოიარა, ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ვეღარ ისტუმრებდა ვალს, რომელიც მან და მისმა დაღუპულმა ძმამ ერთად აიღეს მცირე საქმის წამოსაწყებად.

– 1500 ლარი დამრჩა. ვალი ვალია. თუ ვერ გადავიხდი, რაც ჩავდე, იმას ბანკი გამიყიდის. ეს „ბიზნესი“ მაქვს ჩადებული. იმ ხალხს რას ვერჩი – ჩემნაირი რამდენი ჰყავთ და არავინ რომ არ გადაუხადოს, ხომ დაიღუპებიან... ვეღარაფერს ვაკეთებ, ეკონომიკური კრიზისია, თუ რაც არის, ფული არ აქვს ხალხს და აღარაფერი იყიდება, – ამბობდა ზაზა რაზმაძე, რომელიც რამდენიმე ხანში უბედური შემთხვევის შედეგად თავადაც დაიღუპა.

სოციალურ პასუხისმგებლობაზე გულისამაჩუყებლად მოსაუბრე ქართველმა ბანკირებმა ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე პერიოდში უარი თქვეს მოსახლეობისთვის საკრედიტო ტვირთის შემსუბუქებაზე.

არავინ დაობს, რომ ბიზნესში ვერც სახელმწიფო ჩაერევა და არც სხვა რაიმე სახის პასუხისმგებლობა არსებობს, რომელიც დაავალდებულებს ბანკირს, მსესხებელს სესხის პროცენტი ან ყოველთვიური შენატანი შეუმციროს – ეს მისი კეთილი ნებაა. ქართველმა ბანკირებმა კი ღიად დააფიქსირეს, რომ მათ ასეთი კეთილი ნება არ გააჩნიათ.

თუკი ქართველი ბანკირების საქციელი არის მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა იქცეოდეს პასუხისმგებლიანი ბიზნესი ქვეყანაში შექმნილი კრიზისული სიტუაციების დროს, „ვითიბი აზერბაიჯანის“ მენეჯმენტის გადაწყვეტილება არის მაგალითი, როგორ უნდა იქცეოდეს ბანკი ასეთ დროს.

დეტალურად გთავაზობთ იმ პირობებს, რომლებიც „ვითიბი ბანკი აზერბაიჯანმა“ მანათის გაუფასურების პირობებში შესთავაზა თავის მსესხებლებს:

ბანკის ინფორმაციით, მან შექმნა სპეციალური პროგრამა კლიენტებისთვის, რომლებიც საკრედიტო დავალიანების გადახდის დროს პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. ბანკი კლიენტებს სთავაზობს ვალის დაფარვის სამ ვარიანტს, რაც ითვალისწინებს როგორც ყოველთვიური შენატანის, ისე საპროცენტო განაკვეთის შემცირებას.

საშეღავათო პროგრამის პირველი პუნქტი გათვლილია კლიენტებზე, რომლებმაც სამუშაო ან შემოსავლის ძირითადი წყარო დაკარგეს. „ვითიბი – აზერბაიჯანში“ მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ასეთი კლიენტების მხარდაჭერა რთულ სიტუაციაში. ამ მიზნით გათვალისწინებულია ყოველთვიური შენატანის მნიშვნელოვანი შემცირება 6 თვის განმავლობაში.

საშეღავათო პერიოდის განმავლობაში მსესხებლებს, რომლებსაც აქვთ ავტოკრედიტი და გირაოთი უზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხი, ყოველთვიური შენატანის მხოლოდ 10 პროცენტის გადახდა მოუწევთ.

გარდა ამისა, კლიენტებს შესთავაზებენ კრედიტების გადახდის ვადის გახანგრძლივებას 84 თვემდე, როდესაც საქმე ეხება გირაოთი უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხებს და 60 თვემდე დანარჩენი სესხების შემთხვევაში. თუ კლიენტი თავის დროზე დაფარავს მინიმალურ თანხას, ბანკი მას დამატებით შეღავათებს შესთავაზებს, თუკი კლიენტი 6 თვის შემდეგ ვერ შეძლებს სამუშაოს შოვნას, შესაძლოა, საშეღავათო პერიოდი კიდევ გაუხანგრძლივდეს.

მეორე შეთავაზებას ჰქვია „გადაიხადე ნაკლები, ვიდრე დევალვაციამდე“ და ის ეხება კლიენტებს, რომლებსაც კრედიტები დოლარებში აქვთ. ასეთ მომხმარებელს სთავაზობენ ყოველთვიური შენატანის შემცირებას 12 თვის განმავლობაში.

ასეთ შემთხვევაში, შემოსავლისა და საკრედიტო დავალიანების გათვალისწინებით, ყოველთვიური შენატანი შესაძლოა, განახევრდეს. იგივე შეთავაზების ფარგლებში, ბანკმა ასეთ კლიენტებს კრედიტის დაფარვის ვადა შესაძლოა 60-დან 84 თვემდე გაუხანგრძლივოს

ბანკი მზადაა, საპროცენტო განაკვეთი 25 პროცენტით შეუმციროს იმ კლიენტებს, რომლებიც საშეღავათო პერიოდში კრედიტებს დროულად დაფარავენ.

ასევე, შემუშავდა საშეღავათო პირობები იმ მსესხებლებისთვის, რომლებსაც კრედიტები მანათსა და რუბლში აქვთ გამოტანილი. შემოსავლისა და დავალიანების ტვირთის გათვალისწინებით, ასეთ კლიენტებს ყოველთვიური შენატანი 30 პროცენტით შეუმცირდებათ პირველი 12 თვის განმავლობაში და შესაძლოა, ინდივიდუალური გრაფიკიც შეეთავაზოთ. კლიენტთა ეს კატეგორია, ასევე, ისარგებლებს სესხის გახანგრძლივებით.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანში სავალუტო კრიზისია - ერთ დღეში მანათის თითქმის 50-პროცენტიანი გაუფასურების შედეგად ქვეყანაში ვალუტის შეძენა შეიზღუდა. (commersant.ge)

## ნავთობის ფასის ვარდნის გამო BP 4 000 დასაქმებულის დათხოვნას აპირებს

ნავთობის ფასის ვარდნის გამო უმსხვილესი ბრიტანული ნავთობკომპანია BP 4 000 დასაქმებულის დათხოვნას გეგმავს. ამის შემდეგ გამოცემა „ბლუმბერგი“ წერს.

შეგახსენებთ, ნავთობის ფასმა ვარდნა გასული წლის სექტემბერში დაიწყო. 13 იანვრის მდგომარეობით კი ერთი ბარელი ნედლი ნავთობის ღირებულება 31 აშშ დოლარს ჩამოსცდა, ერთი წლის წინ მისი ღირებულება 53 აშშ დოლარს შეადგენდა.

რაც შეეხება BP-ს, კომპანიას პრობლემები 2010 წელს მექსიკის ყურეში ნავთობმომპოვებელ პლატფორმაზე მომხდარი ავარიის შემდეგ შეექმნა. მაშინ კომპანიის 11 მუშა დაიღუპა, გარემოს კი რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარის ღირებულების ზარალი მიადგა. ზარალის ასანაზღაურებლად კომპანიამ 40 მილიარდის ღირებულების აქტივები გაყიდა. BP-იმ ჩრდილოეთის ზღვაში ახალი ნავთობპლატფორმების მშენებლობის პროექტები დროებით შეაჩერა და იქ დასაქმებული 600 ადამიანიც გაათავისუფლა.

## 27 წლის ნუკრი ბოკუჩავას ოჯახის წევრები მესამე დღეა, ეძებენ



27 წლის აბაშელ ნუკრი ბოკუჩავას ოჯახის წევრები უკვე მესამე დღეა, ეძებენ. როგორც დაკარგულის ახლობლები აცხადებენ, ის სამი დღის წინ, წყნეთიდან გავიდა, მას შემდეგ კი ნუკრი ბოკუჩავასთან დაკავშირება ვერ ხერხდება.

– უკვე მესამე დღეა, უშედეგოდ ვეძებთ. წყნეთში იყო და აბაშაში წამოვიდა. ბავშვები ჰყავდა ავად, რომლებიც ქუთაისის საავადმყოფოში არიან მოთავსებული და იქ უნდა ჩასულიყო. ღამით, 21:00 საათისთვის გამოვიდა წყნეთიდან. ამის შემდეგ მის შესახებ არაფერი ვიცით. მივმართეთ პოლიციას და არავინ ყურადღებას არ გვაქცევს. უკვე არ ვიცით, რა გავაკეთოთ, – განაცხადა დაკარგულის ოჯახის წევრმა ქეთევან კაჭარავამ. (ინტერპრესნიუსი)

## ნავთობის ფასი შესაძლოა, რამდენიმე ამერიკული კომპანიის გაკოტრების მიზეზი გახდეს

ნავთობის ფასის დაცემა ამერიკული ნავთობმომპოვებელი კომპანიების გაკოტრების რისკს ზრდის. The Wall Street Journal-ის ინფორმაციით, თუ ერთი ბარელი ნავთობი 30 აშშ დოლარი ეღირება, 2017 წლისთვის ამერიკული ნავთობკორპორაციების დაახლოებით ერთი-მესამედი გაკოტრდება. თუმცა, ანალიტიკოსები აქვე აღნიშნავენ, რომ ამ უკიდურესად უარყოფითი სცენარის აცილება იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ნავთობის ფასი 50 აშშ დოლარამდე გაიზრდება.

აშშ-ის სამი უმსხვილესი საინვესტიციო ბანკი – Morgan Stanley, Goldman Sachs და Citigroup პროგნოზირებენ, რომ 1 ბარელი ნავთობის ფასი მალე 30 აშშ დოლარზე ქვევით დაეცემა.

12 იანვარს „შავი ოქროს" ფასი 12-წლიან მინიმუმს გაუთანაბრდა და „ბრენტის" მარკის ნავთობის ფასი 30 დოლარამდე დაეცა. თუმცა, 13 იანვარს ფასი მცირედით გაიზარდა ბარელზე 31,05 აშშ დოლარი შეადგინა.

ამერიკული იურიდიული ფირმის, Haynes & Boone-ის მონაცემებით, ნავთობის ფასის დაცემის გამო უკვე გაკოტრდა 30-ზე მეტი მცირე ამერიკული კომპანია. მათი ჯამური დავალიანება 13 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. ამერიკული საკონსალტინგო ფირმის Cowen & Co.,-ს პროგნოზით, ნავთობის ბაზარზე შექმნილი ვითარების გამო ამერიკულ კომპანიებს 2014 წელთან შედარებით ბიუჯეტის შემცირება 51 პროცენტით, 89,6 მილიარდ აშშ დოლარამდე მოუწევთ, რაც დარგში 1980-იანი წლების შემდეგ ხარჯების ყველაზე მასშტაბური შემცირებაა. დაბალი ფასების მიუხედავად, ნავთობკომპანიები შავი ოქროს მოპოვების მოცულობას არ ამცირებენ. აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, 2016 წლის პირველ კვირას აშშ-ში დღეში ნავთობის 9,2 მილიონ ბარელს მოიპოვებდნენ, რაც 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1 პროცენტით მეტია. (bpn.ge)

მარიკა არღვლიანი
551 81-55-88



# ვინ არის ბერი ნიკოლოზი, რომლის შესახებაც საპატრიარქო მრევლს აფრთხილებს?



საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ბერი ნიკოლოზის (მაქარაშვილი) ფოტოების გავრცელების ფაქტს საქართველოს საპატრიარქო განცხადებით გამოეხმაურა:

– საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში, განსაკუთრებით კი სამკურნალო დაწესებულებებში ეკლესიის სახელით ვრცელდება ბერი ნიკოლოზის (მაქარაშვილი) ფოტოები ასეთი ტექსტებით: „მხსნელი", „გადამრჩენელი" და ა.შ.

გვინდა განვმარტოთ, რომ ბერ ნიკოლოზს თითქმის 20 წელია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული მიზეზების გამო შეჩერებული აქვს მღვდელმსახურება, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

**ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ბერი ნიკოლოზი წმინდა მამა გაბრიელის სულიერ შვილად, მემკვიდრედ და მისი საქმის გამგრძელებლად მოიხსენიება. აქედან გამომდინარე, „ალიამ" საპატრიარქოსგან დამატებითი კომენტარის მოპოვება სცადა, თუმცა დაკავშირება ვერ მოხერხდა. კომენტარზე უარი გვითხრა რამდენიმე სასულიერო პირმაც, რის შემდეგაც სქემმონაზონ ილია ვაშაკიძეს დავუკავშირდით, რომელსაც საპატრიარქომ მღვდელმსახურება რამდენიმე კვირის წინ შეუჩერა:**

– ბერი ნიკოლოზის სწავლება წლების წინათ ვამხილეთ. არქიმანდრიტმა იერომიელმა (ფილიშვილი) გამოსცა ბროშურა და მეც ვმონაწილეობდი ამ ბროშურის შედგენაში.

— **ბერი ნიკოლოზის ცრუ სწავლება რაში გამოიხატებოდა?**

– იმაში გამოიხატებოდა, რომ ვითომ მდუმარებდა და ეკლესიაში რომ უნდა ევლო ხალხს, მოსწყვიტა ეკლესიას და მაგასთან დადიოდა ხალხი. ავრცელებდა საკუთარ ხელნაწერებს, რომელიც იყო სისულელე და მცდარი. ამ ბროშურის გამოცემის აუცილებლობა დავინახეთ, რადგან ვატყობდით, რომ ბერი მაქარაშვილისა და მისი მიმდევრების მიერ წამოწყებული ეს პროცესი შეუქცევად სახეს მიიღებდა რელიგიური გაუკუღმართების თვალსაზრისით.

— **საპატრიარქო არ გამოხმაურებია მაშინ ამ ფაქტს?**

– არა, არანაირი გამოხმაურება არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ სინოდის თითოეულ წევრს დავურიგეთ ეს ბროშურები, მაგრამ რატომღაც მათ ეს განცხადება მხოლოდ ახლა გაავრცელეს.

— **მამა ილია, უკვე დიდი ხანია ბერი ნიკოლოზის შესახებ იცის საზოგადოებამ და მას იცნობს, როგორც ბერი გაბრიელის სულიერ შვილსა და გზის გამგრძელებელს. მამა გაბრიელის ნათქვამი არ არის ის, რომ „ნიკოლოზი ჩემი გზის გამგრძელებელია, მისი თავმდაბლობა ღმერთამდე მივაო"?**

– მამა გაბრიელი წმინდანია და ხდება მისი სახელით სპეკულაცია. ბერი ნიკოლოზი მას შემდეგ გაიცნო საზოგადოებამ, რაც მან თავი გამოაცხადა მამა გაბრიელის ერთადერთ სულიერ შვილად. ამის შესახებ პირადად დამიდასტურა დედა პარასკევამ, როცა ვნახე.

— **რა დაგიდასტურათ?**

– ის, რომ ბერი ნიკოლოზი არასდროს ყოფილა წმინდა გაბრიელის სულიერი შვილი და მეტიც, მამა გაბრიელს უთქვამს კიდეც, დედა პარასკევასთვის და არამარტო მისთვის, „ნიკოლოზმა გააფრინაო"...

— **ეს დედა პარასკევასგან იცით?**

– დიახ, მისგან ვიცი სწორედაც!

— **მამა გაბრიელის შესახებ გამოცემულ წიგნებში წამიკითხავს: „ბერებს შორის დირექტორი მე ვარ, ხოლო ჩემს მერე ნიკოლოზი იქნება", „ასეთი ბერი არ ეყოლება საქართველოს, მისი სიმდაბლე უფლის ტახტამდე ავიდა...", „ეს უდიდესი ბერია საქართველოსი, მის ლოცვას უდიდესი ძალა აქვს, ის შემოუძღვება ივერიის ღვთისმშობელს საქართველოში", „ნიკოლოზს „ტრუბაში" გააძვრენენ, ყველაფერს გამოივლის და მერე ყველას მკურნალი იქნება..." ეს ვისი სიტყვებია, თუ არა მამა გაბრიელის?! არსებობს ფოტოსურათებიც, სადაც მამა გაბრიელი და მამა ნიკოლოზი ერთად არიან აღბეჭდილი...**

– ასე სურათი მეც მაქვს გადაღებული ბიბი კინგთან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჯაზმენი ვარ! მამა გაბრიელის სიცოცხლეში არ ყოფილა ეს სიტყვები გავრცელებული. ხომ გეუბნებით, თვითონ მამა გაბრიელს აქვს ნათქვამი, ნიკოლოზი გადაირიაო. სამწუხარო ამბავსაც გეტყვით – მისი ცრუ სწავლებების გამო, წაღვერში, ბერი ნიკოლოზის საკუთარ სახლთან ახლოს 22 წლის გოგომ ჩამოიხრჩო თავი. ამას მთელი წაღვერი დაადასტურებს! თუ წმინდანია, როგორ შეიძლებოდა თვითმკვლელობა მომხდარიყო მის საცხოვრებელ სახლთან ახლოს?

— **როდის მოხდა ეს ამბავი და რატომ მოიკლა თავი ახალგაზრდამ?**

– დაახლოებით 10 წლის წინათ. არადა ეს გოგო დადიოდა ტიმოთესუბნის მონასტერში, წირვა-ლოცვას ესწრებოდა და ეზიარებოდა. შემდეგ მოექცა ბერი ნიკოლოზის გავლენის ქვეშ, რომელმაც გზა-კვალი რელიგიურად აურია და მოხდა ეს ამბავი.

— **როგორ ფიქრობთ, რატომ მდუმარებს ბერი ნიკოლოზი? საზოგადოებას გაუჩნდა კითხვები მასთან დაკავშირებით და ხომ შეიძლება, გვიპასუხოს?**

– რომ ალაპარაკდეს, რაზე უნდა ისაუბროს? რა უნდა განუმარტოს ხალხს, როცა სალაპარაკო არაფერი აქვს? მისი მიმდევრები კი რეკლამას უკეთებენ მის მდუმარებას. ბოლო დროს სალოსები აღარ იქნებიანო, წმინდა მამები ამბობენ. სალოსობა არის სულიერების უმაღლესი საფეხური და სულიერების უმაღლეს საფეხურზე რომ იყოს ბერი ნიკოლოზი, ის სამწუხარო ამბავი არ მოხდებოდა წაღვერში... არც მინდოდა ამ ამბის გახმაურება...

— **ხომ არ იცით, ვინ აღკვეცა ნიკოლოზ მაქარაშვილი ბერად?**

– არ ვიცი, ბერად ვინ აღკვეცა, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ წმინდა ბერი გაბრიელის აღკვეცილი არ არის. შეიძლება აღსარება ჰქონდა მამა გაბრიელთან ჩაბარებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ერთადერთი სულიერი შვილი იყო.

— **მაშინ ვინ გაავრცელა ის ფრაზები, რომელსაც თითქოს მამა გაბრიელი ამბობს ბერ ნიკოლოზზე?**

– ვინ და არიან პიროვნებები, რომლებმაც შექმნეს მაქარაშვილზე მითები და დაიწყეს ამით მამა გაბრიელის შესახებ წიგნის ბიზნესი.

— **ინტერნეტსივრცეში ასეთი ფრაზაა გავრცელებული, რომელსაც ბერ ნიკოლოზს მიაწერენ, რომ წმინდანს ყველაფრის თქმის უფლება აქვს და ასევე, წმინდანთან გატარებული ერთი საათი 40 წირვა-ლოცვაზე დასწრებას უდრისო... ამას ხალხი კითხულობს და იქნებ ამიტომაცაა, რომ მათ ურჩევნიათ ბერს მისდიონ, ვიდრე წირვა-ლოცვაზე იარონ? მე რამდენჯერაც ვნახე, სულ ახლავს 20-30 ადამიანი...**

– როგორ შეიძლება ეს სიმართლე იყოს, როგორ უდრის წმინდანთან გატარებული ერთი საათი 40 წირვა-ლოცვაზე დასწრებას, როცა წირვის შემდეგ ჩვენ ვეზიარებით ქრისტეს ჭეშმარიტ სისხლსა და ხორცს?! როგორ შეიძლება საერთოდ ვინმესთან გატარებული ერთი საათი უდრიდეს ჩვენი მაცხოვრის სისხლსა და ხორცს?!

— **ბერ ნიკოლოზს სულ ახლავს ხალხი... ეს როგორ აიხსნება? მას თუ არ სურს, რომ ხალხი დასდევდეს, ხომ შეიძლება მიმართოს წერილობითი სახით? იმიტომ, რომ ბერი გაბრიელი, როცა მის გამო შეკრებილ ხალხს ხედავდა, თავს მოიგიჟიანებდა და ამით აფრთხობდა...**

– ერთ-ერთი კეთილმსახური არქიმანდრიტი ცხოვრობდა რუსეთში, რომ მიდიოდნენ, ხალხს გაურბოდა. ეუბნებოდა, ხუცესი კი არა, მოხუცებული ვარ, დამანებეთ თავიო...

— **ბერ ნიკოლოზს განუკურნავს ვინმე? ახდენს სასწაულებს? რატომ მიიჩნევს ხალხი მას წმინდანად?**

– არა, არ გამიგია არაფერი, რადგან არც ყოფილა ასეთი.

— **საპატრიარქომ თქვენი ბროშურების გამოცემისთანავე რატომ არ გააკეთა მსგავსი განცხადება, რომელიც გასულ დღეებში ვიხილეთ?**

– იმიტომ, რომ ბერ ნიკოლოზ მაქარაშვილს უკვე ბევრი მიმდევარი გაუჩნდა და ამით შეეხო საპატრიარქოს ჯიბეს. ამიტომ გააკეთეს ახლა ეს განცხადება და არა მაშინ, როცა ჩვენ მიერ გამოცემული ბროშურები საეკლესიო მაღაზიების სარდაფების თაროებზე იმტვერებოდა...

## აზერბაიჯანში საპროტესტო აქცია დაარბიეს



აზერბაიჯანში გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეების წინააღმდეგ სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს.

„კავკაზსკი უზელი" წერს, რომ შეტაკებები მას შემდეგ დაიწყო, რაც ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ სიაზანიში ფასების მატებისა და უმუშევრობის გასაპროტესტებლად აქცია გაიმართა.

ადგილობრივი ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოცემის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადეს, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების შენობასთან 400-მდე ადამიანი 12 იანვარსაც შეიკრიბა. ისინი სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასების მატებას აპროტესტებდნენ. საღამოს საათებში კი, ქალაქში დაკავებების სერია დაიწყო. 13 იანვარს, დილით, აღმასრულებელი ხელისუფლების შენობასთან აქცია კვლავ გაიმართა, სადაც 500-დან 1000 ადამიანამდე მივიდა. მოგვიანებით, პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენა, ადგილზე მობილიზებული იყო შსს-ს სწრაფი რეაგირების ძალები. დაკავებულია 30-40 ადამიანი. (ინტერპრესნიუსი)

## უძილაური რურუაზე: „ეს არის ქვეყანაში ცნობილი ავაზაკი!"



ჟურნალისტი გიორგი უძილაური საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრის, ნიკა რურუას განცხადებას სოციალური ქსელით ეხმიანება, რომელიც ვიცე-პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის გადადგომას ითხოვს.

– ნიკა რურუა კალაძის გადადგომას ითხოვს: „ეს არის ადამიანი აღრეული ღირებულებებით, სპორტსმენი, რომელსაც ენერგეტიკის მინისტრობასთან მიახლოებული განათლება არ აქვს, ამიტომ არის დაბნეული, ილანძღება და აცეცებს თვალებს ლობიოსავით".

და ვინ არის ნიკა რურუა?

ეს არის ქვეყანაში ცნობილი ავაზაკი, რომელიც სააკაშვილმა დანიშნა კულტურის მინისტრად. ადამიანი, რომელიც დიდი სიამოვნებით დააბრუნებდა საქართველოს სისხლიან 90-იანებში ოლონდ „ნაცების" დაბრუნების შანსი ჰქონდეს,...– წერს უძილაური. (marshalpress.ge)

# მისტიკა ცნობილი ადამიანების ცხოვრებაში

ერთხელ მაინც გავმხდარვართ აუხსნელი ფაქტის მომსწრე ან აღმოვჩენილვართ ისეთ სიტუაციაში, რომელიც რეალობას არ შეესაბამება. ეს მისტიკაა. ირეალური სამყარო, რომელსაც ვერაფერს ვუგებთ, მაგრამ ჩვენს ცხოვრებაზე გავლენას ახდენს.

დღეს ცნობილი ადამიანების ცხოვრების მისტიკურ დეტალებზე ვისაუბრებთ.

მისტიკა ცნობილი ადამიანების ცხოვრებაში სხვადასხვანაირად ვლინდება. ზოგი მომავალს წინასწარმეტყველებს, ზოგი გარდაცვლილ სულებს ესაუბრება, ზოგს პირადი ექსტრასენსი ჰყავს და მას უკავშირდება. ზოგიერთ მათგანს უხილავი ძალები იცავენ. ზოგჯერ მისტიკას ცრურწმენასა და უცნაური რიტუალების ჩატარებამდეც მიჰყავს ვარსკვლავები.





– მაგალითად, ბრიტნი სპირსი ჟურნალისტებმა თოჯინა ვუდით ხელში შენიშნეს, რომელთან ერთადაც დიდ დროს ატარებდა და რაღაცას გაურკვევლად ებუტბუტებოდა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, ბრიტნი თოჯინას ძველი დიდების დაბრუნებას სთხოვდა.

მსგავს ნივთებს პენელოპა კრუსიც იყენებს. უცნობია, მოუტანს თუ არა მსახიობს ნივთები უფრო მეტ წარმატებას, ან იქნებ, რაიმე განსაკუთრებული რიტუალებიც აქვს შესწავლილი, რაც წარმატების გარანტიას აძლევს.

– მიცვალებულებთან ურთიერთობით განსაკუთრებით მომღერალი კაილი მინოუგი გამოირჩევა. მომღერალი ამბობს, რომ რეგულარულად კონტაქტობს გარდაცვლილი ბოიფრენდის სულთან. ამასთანავე, ძალიან ცრუმორწმუნეა – ყოველ დილით წყლის ადუღებისას ჩაიდანს სამჯერ საათის ისრის მიმართულებით და ერთხელ საწინააღმდეგო მიმართულებით ატრიალებს. თუ რამე ცუდი მოხდა, მარცხენა მხრის იქით მარილს ყრის.

– ჯესიკა ალბა კი ამბობს, რომ ნათელმხილველის როლის შესრულების შემდეგ, უკვე მის ცხოვრებაშიც ხდება აუხსნელი მოვლენები და მოჩვენებებსაც კი ხედავს.

– ვაინონა რაიდერი თავისი წინათგრძნობითა და წინასწარმეტყველური სიზმრებითაა ცნობილი. ერთხელ თავისი სიზმრით ერთ-ერთი ცნობილი რეჟისორის გადარჩენა შეძლო. უთხრა, რომ თვითმფრინავი, რომელშიც რეჟისორი ჯდება, მის სიზმარში ჩამოვარდა და გაფრენა უნდა გადაედო.

– ბრედ პიტი არც ისე დიდი ხნის წინ სპირიტიზმით დაინტერესდა. მისი მეუღლე ანჯელინა ჯოლი, რომელიც ცნობილია მაგიისკენ მიდრეკილებით, ქმრის ახალ გატაცებას არ იწონებს.

– მისტიკის კიდევ ერთი სახეობაა ტელეპატია, რომლითაც განსაკუთრებით ლეონარდო დიკაპრიო და ჯონ ტრავოლტა გამოირჩევიან. დიკაპრიომ მზერის მეშვეობით აღელვებული ფანატის დამშვიდება შეძლო. ტრავოლტამ კი გადაღებების დროს გაშმაგებული ლომები დააოკა. ჯონ ტრავოლტას აქვს ასევე ერთი განსაკუთრებული რიტუალი – კიბოთი გარდაცვლილი მეუღლის სულს უკავშირდება. ყოველღამე 7 საათიდან 8 საათამდე მსახიობი მასთან დაკავშირებას დროს უთმობს. მისი ამჟამინდელი ცოლის წყენა და ეჭვიანობაც კი ვერ უშლის ხელს, რომ უარი თქვას ამ რიტუალზე.

– მისტიკასთან განსაკუთრებული მშიშარა დამოკიდებულებით ლამაზმანი კეტრინ ზეტა-ჯონსი გამოირჩევა. არავის აძლევს უფლებას, რომ საგრიმიოროში დაუსტვინოს, ან იღიღინოს. თუ ასეთი რამ მაინც მოხდება, მარცხენა მხარს იქით აფურთხებს. არავითარ შემთხვევაში არ მოგაწოდებთ სუფრასთან მარილს, განსაკუთრებით თუ მარილის მსურველი მისი მეუღლეა. მიიჩნევს, რომ გარდაუვალ კონფლიქტს გამოიწვევს.

– ორლანდო ბლუმმა კი ერთ მშვენიერ ღამით სიზმრად მამაკაცი ნახა, რომელიც შექსპირად გაეცნო და დაჰპირდა, რომ მის ნიჭს უბოძებდა (თითქოს, ორლანდოს ნიჭში ეჭვი შეეპარაო). მას შემდეგ მსახიობს პიესის სცენარი ესიზმრება, რომელსაც გამოღვიძების შემდეგ იწერს.

– ჯონი დეპმა კი დრაკულას როლის პირველი შემსრულებელი, ბელ ლუგოში თავის მფარველ ანგელოზად გამოაცხადა. თითქმის ყოველღამე რომ დაგესიზმრება და თანაც ისევ ცოცხალი და უვნებელი დარჩები ანგელოზი გეგონება, აბა, მის სიკეთეში ეჭვი როგორ უნდა შეიტანო.

*raut.ru*



## რატომ არ ღირს თვითმფრინავში ყავის დალევა და კიდევ რამდენიმე მოულოდნელი ავიასაიდუმლოება



ინტერნეტი – ინფორმაციის ყველაზე დიდი წყარო და ამასთანავე, ყველაზე დიდი „ჩამშვები“. მისი მეშვეობით შეგვიძლია ისეთ ინფორმაციებზე წვდომა, რომელიც თითქოს ყველასთვის ტაბუდადებული, ან უბრალოდ უცნობია.

ამჯერად გთავაზობთ უცნობ დეტალებს თვითმფრინავით მგზავრობაზე, რომელიც ანონიმური სოციალური ქსელის მეშვეობით ჟურნალისტებს აეროპორტის თანამშრომელმა მიაწოდა.

**ნუ ისარგებლებთ გამოყენებული ყურსასმენებით**

შეფუთული და დალუქული არ ნიშნავს ერთჯერადს. ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ყურსასმენს წმენდენ და ისევ ფუთავენ. ასე რომ, იცოდეთ, რომ თქვენამდე ყურსასმენი ვიღაცამ გამოიყენა და თუ თქვენ სისუფთავეზე განსაკუთრებული „წიკი“ გაქვთ, საკუთარი ყურსასმენით ისარგებლეთ.

**უარი თქვით შემოთავაზებულ ყავაზე**

ყავის ნამდვილი შემფასებელ-დამფასებელი ორთვალათი მორთმეულ ყავაზე უარს იტყვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ წყალწყალა და უგემურია, არამედ იმიტომ, რომ გაურეცხავ ჭურჭელშია მომზადებული. არ რეცხავენ პირველ რიგში იმიტომ, რომ თანამშრომლებს ძალიან ცოტას უხდიან. თანაც არ არსებობს არანაირი სპეციალური საშუალებები კონტეინერის გასარეცხად.

**ტუალეტის კარი**

შიგნიდან ჩაკეტილი კარი შეიძლება მარტივად შემოგიღონ. დაფის უკან, სადაც „საპირფარეშო“ წერია დამონტაჟებულია საიდუმლო მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება მოულოდნელად ტუალეტში სტიუარდესა შემოგესტუმროთ.

**ჟანგბადი მხოლოდ 12 წუთი ჰყოფნის**

ყველამ იცის, რომ ჟანგბადის ბალონი არსებობს იმ შემთხვევისთვის, თუ სალონში ჟანგბადმა იკლო. ცოტამ თუ იცის, რომ სიტყვები, რომელიც დედამიწაზე ჟღერს, როგორც – „მხოლოდ 12 წუთი“, თვითმფრინავში სულ სხვა მნიშვნელობა აქვს და ასე გამოითქმის – „მთელი 12 წუთი“. ეს დრო საკმარისია იმისთვის, თვითმფრინავი 3000 მეტრის სიმაღლიდან უსაფრთხო ზონამდე დაეშვას.

**ჩემოდნის საკეტები**

თქვენგან საგულდაგულოდ ჩაკეტილი ელვა შესაკრავის გახსნა მარტივად შეიძლება ჩვეულებრივი საწერი კალმით. შემდეგ კი ისევ ჩაკეტვა. სწორედ ასე იქცევიან აეროპორტში უიარლიყო ბარგის შემოწმებისას.

*anews.com*



# როგორ ვატაროთ ადამიანები ჩვენს ჭკუაზე? 10 ფსიქოლოგიური ხერხი, რომელიც სასურველია, იცოდე!

**1. მიმართეთ სახელით. საკუთარი სახელით მიმართვა ძალიან სასიამოვნოდ აღიქმება.**

სახელი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მისი ამ ქვეყნად არსებობის ფაქტის ერთ-ერთი დამადასტურებელია. ამას გარდა, დამტკიცებულია ისიც, რომ ტიტულის, სტატუსის, წოდების გამოყენება მიმართვის დროს, ადრესატში დადებით ემოციებს იწვევს. თუ რაიმე გსურთ მოსაუბრისგან, საჭიროა, მიმართოთ მას შესაბამისად. მაგალითად, თუ გსურთ მასთან მეგობრობა ან კარგი ურთიერთობა, უწოდეთ მას მეგობარი; ხოლო თუ მისი ხელქვეითობა გსურთ, მოიხსენიეთ „უფროსად“.

**2. უსმინეთ.**

მნიშვნელოვანია, ყურადღებით მოუსმინოთ ადამიანს, მაშინაც კი, თუ ცდება. მაშინვე ნუ ეტყვით ამის შესახებ, შეიძლება რაიმეში დაეთანხმოთ და იპოვოთ საერთო ინტერესები. მოგვიანებით კი შეეცადეთ, აუხსნათ მას თქვენი აზრი და მოსაუბრეც უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდება თქვენს ნათქვამს.

**3. თავი დაუქნიეთ თანხმობის ნიშნად.**

ჩვენს საზოგადოებაში თავის დაქნევა თანხმობის ნიშნად აღიქმება. აქედან გამომდინარე, როცა ადამიანს ვესაუბრებით და თან თავს ვაქნევთ, ამით ერთგვარად ვუბიძგებთ, დაიჯეროს ჩვენი სიმართლე. ამგვარი საუბრის შემდეგ მეტი შანსია იმისა, რომ ის დაეთანხმოს ჩვენს არგუმენტებს და არ შეგვეწინააღმდეგოს.

**4. გაიმეორეთ თანამოსაუბრის გამონათქვამები.**

ამ ხერხს ფსიქოლოგები იყენებენ. ისინი ჯერ ყურადღებით უსმენენ ადამიანს, შემდეგ კი მისი მონათხრობის პერიფრაზირებას აკეთებენ. ამგვარად იბმება ერთგვარი კავშირი მათ შორის. შეეცადეთ, ეს ტექნიკა მეგობრებთანაც გამოიყენოთ და ისინი თქვენთან გაცილებით კომფორტულად იგრძნობენ თავს.

**5. ეპირფერეთ.**

პირფერობა დროულია მხოლოდ თვითკმაყოფილ ადამიანებთან საუბრისას. მათ თავად იციან საკუთარი თავის ფასი და როცა აქებთ, ამით, უბრალოდ, ამტკიცებთ იმას, რაც უკვე თავადაც იციან. მაგრამ თუ ადამიანი საკუთარ თავში არ არის დარწმუნებული, თქვენი პირფერობა მის აზრთან წინააღმდეგობაში მოვა. ეს კი თქვენ მიმართ კეთილგანწყობის მაგივრად, სიბრაზეს გამოიწვევს...



**6. გაიმეორეთ მოქმედებები.**

ოპონენტის მოქმედებების გამეორება, ისევე, როგორც გამონათქვამების, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანებს შორის ურთიერთგაგებაში. ბევრი ამ ხერხს ავტომატურადაც იყენებს. ადამიანის ბუნებაში დევს, რომ უკეთ მოეპყროს იმას, რომელიც რაღაცით მაინც ჰგავს. მისი ჟესტების გამეორებით, თითქოს კიდევ ერთხელ ადასტურებთ ადამიანის მნიშვნელობას და ისიც უფრო კომფორტულად გრძნობს თქვენთან თავს.

**7. შესთავაზეთ ის, რაზეც უარის თქმა გაუჭირდება.**

ეს ხერხი ეფუძნება ადამიანში მოვალეობის გრძნობას. ჯერ სთხოვეთ რაიმე მარტივის გაკეთება, რამდენიმე დღის შემდეგ კი, თხოვნა გაართულეთ. როგორც წესი, ადამიანი ასეთ თხოვნასა თუ დავალებას უფრო მეტი სიამოვნებით ასრულებს.

**8. თანამოსაუბრის დაღლილობა თქვენი კოზირია.**

დაღლილი ადამიანისგან უფრო ადვილია თხოვნაზე დადებითი პასუხის მიღება. რადგან მისი ფსიქიკური ენერგიის დონე იკლებს. ნუ ელით თქვენი თხოვნის პირდაპირ იმ წუთში შესრულებას, უფრო სავარაუდოა, რომ მას ხვალ, დასვენების შემდეგ შეგისრულებენ.

**9. ითხოვეთ დახმარება.**

ნუ შეგრცხვებათ დახმარების თხოვნა თუნდაც მათგან, ვინც თქვენი ახლო მეგობარი არ არის. ხშირ შემთხვევაში ადამიანები დახმარებაზე უარს არ ამობენ იმ მიზეზით, რომ ფიქრობენ, ერთ დღესაც შეიძლება თავადაც დასჭირდეთ მისი თხოვნა.

**10. სთხოვეთ განუხორციელებელი.**

სთხოვეთ ადამიანს უაზრო და განუხორციელებელი რამ. რა თქმა უნდა, იგი უარს გეტყვით. გარკვეული დროის შემდეგ კი თამამად შეგიძლიათ, გაახმოვანოთ თქვენი ნამდვილი თხოვნა. ოპონენტი თქვენს წინა თხოვნაზე უარის გამო უხერხულად იგრძნობს თავს და ამ თხოვნას აუცილებლად შეგისრულებთ.

*daijesti.pia.ge*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ნიდერლანდელმა პოლიციას შესჩივლა, 2400 აბი ექსტაზი მომპარესო



როგორ ჩანს, მართალი ყოფილა, რომ ამბობდნენ, კოლექციონერებს მეორე სართულზე ყველაფერი დალაგებული ვერ აქვთო. აბა, რად გინდა 2400 აბი ნარკოტიკი, თუ არც მომხმარებელი ხარ და არც გამსაღებელი. მე შენ გეტყვი და ესთეტიკური სიამოვნების მიღება შეიძლება აბების ცქერით.

კოლექციონერი, ალბათ, პოლიციაში არც განაცხადებდა გაქურდვის შესახებ 2400 აბიდან 40 შხამიანი და სიცოცხლისთვის საშიში რომ არ ყოფილიყო.

ნარკოტიკების მფლობელი თურმე 20 წლის განმავლობაში აგროვებდა ძვირფას კოლექციას და თითოეულ აბს მონეტისთვის განკუთვნილ ყუთში დებდა.

მამაკაცი აცხადებს, რომ არც მომხმარებელია და არც გამსაღებელი. კაცის გულწრფელობით შეფიქრიანებული პროკურატურა ფიქრობს, წაუყენოს თუ არა ნარკოტიკული ნივთიერების შენახვაზე ბრალი.

„იმის გამო, რომ აბები დაიკარგა და ნივთმტკიცება აღარ გვაქვს, შეუძლებელია შენახვაზე ბრალის წაყენება“, – ამბობს პოლიციის თანამშრომელი ნებერი და იქვე ამატებს, რომ პირადად მას სჯერა უიღბლო კოლექციონერის ნაამბობი.

როგორც აღმოჩნდა, შავ ბაზარზე დაკარგული ქონების საერთო ფასი 11 ათას ევროს შეადგენს.

აბა, შე დალოცვილო, რომელ 11 ათასი ევროს პატრონს უძინია მშვიდად, რომ შენ შეგრგებოდა.

*smoking-room.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ორსულობის დადგენა უკვე სმარტფონ-ტესტის საშუალებით შეიძლება



სპეციალისტებმა სპეციალური აპლიკაცია შექმნეს, რომლის გადმოწერის შემთხვევაშიც ქალბატონები ორსულობის დადგენას შეძლებენ.

პ რ ო გ რ ა მ ა Bბლუეტოოტჰ-სთან ერთად მუშაობს და სმარტფონთან სინქრონიზაციით ორსულობის ადრეულ სტადიასაც ადგენს.

გარდა ამისა, აპლიკაციას აქვს სპეციალური კითხვარი, რომელიც ადგენს, სასურველია თუ არა ქალისთვის ორსულობა. შედეგის პასუხი სწორედ ამ კითხვაზეა დამოკიდებული. პასუხის მისაღებად მომხმარებელს 3 წუთი დაცდა მოუწევს. იმისთვის, რომ მოლოდინი არ იყოს დამღლელი, აპლიკაციაში ჩატვირთულია სხვადასხვა მელოდიები მედიტაციისთვის და სახალისო ვიდეოები. აქვე პროგრამას აქვს უსაფრთხოების კოდი, რომლის შეყვანის შემდეგ ის რჩება სმარტფონში.

*fortuna.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ოჰაიოში სასადილო სვირინგიან სტუმრებს ფასდაკლებას სთავაზობს



ბიზნესს განათლება არა, კეთება სჭირდებაო, – ბრძანა უცნობმა ბრძენმა და როგორც აღმოჩნდა, მართალიც ყოფილა.

ოჰაიოს შტატის ქალაქ ლეიკვუდში არის პატარა სასადილო, რომელიც სხვა სასადილოებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ერთ მშვენიერ დღეს საკვები პუნქტის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და საჭირო იყო სასადილოს პოპულარობის გაზრდაზე ზრუნვა.

ვინმე იფიქრებს, რომ ფლაერები დაბეჭდეს, ან პრომოგოგონები დააყენეს და მათთან არსებული კვების პლუსებზე ალაპარაკეს. არა, ფასდაკლება შემოიღეს, მაგრამ არა უსასყიდლო. ვისაც სურს, სასადილოს 25-პროცენტიანი ფასდაკლებით ისარგებლოს, მათი საფირმო სენდვიჩი უნდა ამოისვირინგოს და ნაკლებ ფასად კვება სიცოცხლის ბოლომდე გარანტირებული ექნება.

ადგილზე მისულ სტუმრებს, რომლებისთვისაც სიახლე ჯერ უცნობი იქნება, რომ არ დაიბნენ და მშიერი არ დარჩნენ, იქვე ტატუ სალონი ემსახურება. ეს ტატუ სალონი, თავის მხრივ, ფასდაკლებას სთავაზობს სენდვიჩის ამოსვირინგების მსურველებს.

ჰოდა, არიან ასე ჰარმონიულ-საქმიან ურთიერთობაში სასადილო და ტატუ სალონი და სტუმარიც კმაყოფილია იაფი კვებით.

*smoking-room.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ვენაში უსახლკაროებს გიდებად დაასაქმებენ



ვენაში მცხოვრებ უსახლკაროებს საშუალება ეძლევათ, რომ გიდად იმუშაონ.

უსახლკაროებს სპეციალურად მოამზადებენ იმისთვის, რომ ექსკურსიას გაუძღვნენ და მსურველებს აჩვენონ, როგორ ცხოვრობს ქუჩაში ხალხი.

ავსტრიის 12 ათას უსახლკაროთა შორის 7 ათასი ვენაში ცხოვრობს. მეწარმე პერინ შობერი პროექტ ფერების ტურის ავტორია, რომელმაც იზრუნა, რომ მისი პროექტი შრომის ბაზარზე გართულებების გარეშე დაშვებულიყო.

ექსკურსიის ხანგრძლივობა ორ საათ-ნახევარი იქნება და ამ დროის განმავლობაში ტურისტები ნახავენ ადგილს, სადაც უსახლკაროები ღამეს ათევენ, სამზარეულოს, სადაც მათთვის წვნიანი მზადდება და სოციალური დახმარების პუნქტს. 10-კაციანი ჯგუფისთვის ტურის ღირებულება 150 ევრო იქნება, რაც პროექტის თითქმის ერთადერთი შემოსავალია.

მთავარი სამიზნე აუდიტორია სკოლა, უნივერსიტეტი და საეკლესიო ჯგუფები იქნება.

შობერის თქმით, პროგრამის მიზანია, აჩვენოს, რას ნიშნავს ქუჩაში ცხოვრება. საჭიროა, რომ ხალხში აღარ იყოს შიში და უნდობლობა. ამასთანავე, გამოიძებნოს გზები, როგორ შეუძლია ქალაქს და მის მცხოვრებლებს უსახლკაროების დახმარება.

„გიდის პირადი ისტორია არ გასაჯაროვდება, რადგან ეს მის მიმართ არაკეთილსინდისიერი საქციელი იქნებოდა“, – აღნიშნა პერინ შობერმა.

დღეისთვის უკვე ოთხმა ადამიანმა გაიარა მომზადება.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ინდოეთში 15 ადგილას სელფის გადაღება აიკრძალა



ინდოეთის პოლიციამ მუმბაიში 15 ადგილას სელფის გადაღება აკრძალა, ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

აკრძალვა ტურისტებისთვის ყველაზე პოპულარულ ადგილებსაც შეეხო.

გადაწყვეტილება მას შემდეგ მიღეს, რაც რამდენიმე დღის წინ სელფის გადაღებისას ზღვაში 18 წლის გოგო დაიხრჩო.

გასულ წელს ინდური ფესტივალის მიმდინარეობისას სელფისთვის აკრძალული ზონები ხელისუფლებამ ასევე უსაფრთხოებისთვის დააწესა. ყველა ასეთ ადგილას საგანგებო ამკრძალავი ნიშანი დგას.

მუმბაის პოლიციის წარმომადგენელი დჰანანჯაი კულკარნი ამბობს, რომ ადგილები, სადაც სურათების გადაღება აკრძალულია, ტურისტებს შორის ყველაზე პოპულარულია.

გასულ კვირას სამი გოგო ბანდრაში ზღვასთან ახლოს სურათის გადაღებას ცდილობდა, რა დროსაც ისინი წყალში გადაცვივდნენ. ორი მათგანის გადარჩენა მოხერხდა, ერთი კი – დაიხრჩო.

*fortuna.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ქორწილი კუბოსთან — ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილ შეყვარებულზე დაქორწინდა



ტაილანდში გოგონა თავის შეყვარებულზე დაკრძალვის დროს დაქორწინდა. უცნაური ქორწინება მხოლოდ სიძის სიკვდილის შემდეგ შედგა. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა მამაკაცი გულის შეტევით უეცრად გარდაიცვალა. მისმა საცოლემ კი ქორწილის გაუქმება არ ისურვა.

„მე ვოცნებობდი ჩვენს ქორწილზე. მე ჩვენს თავს ვხედავდი ხელიხელჩაკიდებულს. მე შენ მიყვარხარ. იცოდე, რომ ჩვენი ოცნება ახდა“, – დაწერა პატარძალმა „ფეისბუკზე“.

*newposts.ge*



მოსამართლე:

– იმედი მაქვს, იცით, რა გელით, თუ სასამართლოს ცრუ ჩვენებას მისცემთ!

მოწმე:

– დიახ, ვიცი – „მერსედესს“ დამპირდნენ...

*****

– რა კავშირია საქართველოს ეკონომიკურ ზრდასა და პლანეტა ნეპტუნს შორის?

– არც ერთი არ უნახავს არავის, მტკიცებულებები კი ურთულესი დაანგარიშებებით მოჰყავთ!..

*****



ქერა ავიაკომპანიაში რეკავს, უნდა, რომ ბილეთი დაჯავშნოს.

ოპერატორი:

– რამდენი ადამიანი გაფრინდება თქვენთან ერთად?

– აბა, მე რა ჯანდაბა ვიცი? თვითმფრინავი თქვენია და...

*****

– საშინელ და საზიზღარ დროში გვიწევს ცხოვრება!

– რატომ?!

– იმიტომ, რომ გვეშინია „აიფონის“ დაკაწვრის, მაგრამ ფეხებზე გვკიდია ადამიანისთვის სულში ჩაფურთხების!

*****

ბანკი, საკრედიტო განყოფილება:

– კრედიტი მჭირდება სასწრაფოდ!

– რა გეგმები გაქვთ?

– გეიკლუბის გახსნას ვაპირებ.

– და ვინ ივლის მერე იმ თქვენს გეიკლუბში?

– რა ვიცი, ათასნაირი პიდარასტი – კოტიკო მოვა, გივიკო მოვა, ისინი მოვლენ, ვინც ლიფტში ღილაკებზე კევს აწებებენ, მოსამართლეები მოვლენ, პოლიტიკოსები...

– უკაცრავად, მაგრამ, სამწუხაროდ, კრედიტზე უარი უნდა გითხრათ...

– ოოო, მაშინ თქვენც აუცილებლად უნდა მობრძანდეთ!..

*****



მოხუცი ქალი „კალიასკაში“ ჩაიხედავს:

– უი, როგორი საყვარელი ტყუპები არიან! ორივე ბიჭია?

– არა, ბიჭი ისაა, მარჯვნივ რომ წევს, მარცხნივ რომაა, ეგ ნესვია!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*დავით ახობაძის ნახატი*

CIAN MAGENTA YALLOW BLACK




**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


## ინგლისელებმა ფეხებმომტვრეულ კატას პროთეზებით უშველეს



ზღაპრული პერსონაჟი – ჩექმებიანი კატა ბრიტანეთში გაცოცხლდა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ის არა ჩექმებიანი, არამედ პროთეზებიანი კატა გახლავთ, რომელსაც მომტვრეული კიდურების ნაცვლად, ბიონიკური იმპლანტანტები დაუყენეს.

როგორც ირკვევა, კატას სახელად ოსკარი ჰქვია, მისი უბედურება კი მას შემდეგ დაიწყო, რაც კომბაინმა ორივე უკანა კიდური მოჰკვეთა - უბედური შემთხვევა გასული წლის ოქტომბერში მოხდა და მას დღემდე ცხოველი მოძრაობას, ფაქტობრივად, ვერ ახერხებდა.

საბოლოო ჯამში, როგორც ეს ევროპელებს სჩვევიათ ხოლმე, კატას გულჩვილი მილიონერი პატრონი გამოუჩნდა, რომელმაც ოსკარის ოპერაცია 4 ათასი ფუნტი სტერლინგით დააფინანსა.

დღეს უკვე 2 წლის ოსკარი მოძრაობას თითქმის ჩვეულებრივად ახერხებს და ამასთან ერთად, გახლავთ მსოფლიოში პირველი კატა და შეიძლება – ცხოველიც, რომელიც პროთეზებით დადის.

***factroom.ru***

## ბედნიერი ცოლ-ქმარი გრიპით არ ავადდება?



– ბედნიერი ქორწინება გრიპის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა, – სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანეს ბრიტანელმა მეცნიერებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ვირუსით, ძირითადად, ის ადამიანები ავადდებიან, რომლებიც ცოტა ხნის წინ რჩეულების გარეშე დარჩნენ.

როგორც ირკვევა, კვლევის მონაწილეებმა სისხლი ვაქცინაციამდე და ვაქცინაციის შემდეგ ჩააბარეს. მათ, ასევე, მოუხდათ ანკეტის შევსება, სადაც უნდა ეპასუხათ კითხვებზე, რომლებიც პირად ცხოვრებაში სტრესის გადატანას უკავშირდებოდა.

მიღებული შედეგების დახმარებით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში განცდილი უსიამოვნებები ნეგატიურ გავლენას ახდენს იმუნიტეტზე, სისხლში იკლებს ანტისხეულების დონე და შესაბამისად, ვირუსს მოქმედებისთვის გაცილებით ხელსაყრელი პირობები ექმნება.

ბრიტანელი სპეციალისტების განმარტებით, აღნიშნულ სფეროში მუშაობა კიდევ დიდხანს ვერ დასრულდება, რადგან დასადგენია, როგორ მუშაობს ადამიანის ტვინი ორგანიზმთან ერთად კონკრეტული დაავადებების დამარცხების საქმეში.

***medkarta.com***

## მამაკაცებმა ცხელი აბაზანები არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთო



თურმე, მამაკაცებისთვის კატეგორიულად არ არის რეკომენდებული ცხელი აბაზანების მიღება, ან ცხელი ჯაკუზის ბუყბუყით გართობა, რადგან ეს მათ პოტენციაზე და ასევე, რეპროდუქტიულ უნარებზე უარყოფითად მოქმედებს.

სწორედ ამაზე მიუთითებს კალიფორნიის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

აღმოჩნდა, რომ ცხელი წყალი, ფაქტობრივად, ანადგურებს ლიბიდოს. გარდა ამისა, მაღალი ტემპერატურა ნებისმიერი ფორმით ხელს უშლის სპერმის გამომუშავებას და სპერმატოზოიდების მოძრაობას ზღუდავს.

უნდა ითქვას, რომ კვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 3 წლის მანძილზე მიმდინარეობდა და გამოტანილი დასკვნა სპეციალისტებმა მხოლოდ კარგად შესწავლა-გაანალიზების შემდეგ გამოაქვეყნეს.

***dr20.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**14 იანვარი:** პრობლემა, რომელიც დიდი ხნის მოგვარებული გეგონათ, თავს არცთუ სასიამოვნოდ შეგახსენებთ. შეეცადეთ, ეს საკითხი საბოლოოდ მოაგვაროთ.

**კურო 22.04-21.05**

**14 იანვარი:** სპონტანურ მოქმედებებს მოერიდეთ, ისინი უსიამოვნების მეტს არაფერს მოგიტანთ. უმჯობესია, გაუბედავ ადამიანად ჩაგთვალონ, ვიდრე სულელად.

**ტყუპები 22.05-21.06**

**14 იანვარი:** შეიძლება ბევრი მოულოდნელი დამთხვევა მოხდეს. სინამდვილეში ასეთია თუ არა ისინი, ამაზე თავის მტვრევა არ ღირს. მათში მონაწილეობას არ მიიღებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**14 იანვარი:** დღეს არ უნდა დაიტვირთოთ, არც ფიზიკურად, არც გონებრივად. უმჯობესია, მშვიდ გარემოში იმაზე იფიქროთ, რა როგორ გამოასწოროთ თქვენს ცხოვრებაში.

**ლომი 23.07-22.08**

**14 იანვარი:** პირველ შთაბეჭდილებას მიენდეთ და თავში მოსული პირველივე გადაწყვეტილება სამოქმედო სქემად მიიღეთ. ორივე იდეალურ ვარიანტთან მიახლოებული იქნება.

**ქალწული 23.08-22.09**

**14 იანვარი:** არეული გრძნობების ტყვეობაში შეიძლება მოექცეთ. სიხარული და სევდა ერთმანეთში აგერევათ. ნებისყოფა მოიკრიბეთ და ემოციებს არ აჰყვეთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**14 იანვარი:** მხოლოდ იმ საქმეებს მიხედეთ, რომლებიც თქვენთვის კარგად ნაცნობია და თითქმის ავტომატურად აკეთებთ. ახლის გამოგონება არ ღირს.

**მორიელი 23.10-21.11**

**14 იანვარი:** შესაძლოა, აღმოაჩინოთ, რომ რაც თქვენს პირად საიდუმლოდ მიგაჩნდათ, საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობია. აწი ზედმეტებს აღარ ილაპარაკებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**14 იანვარი:** შეიძლება დღეს რაიმე ტრადიციული რიტუალის შესრულება მოგიწიოთ. ამას ზედმეტად სერიოზულად ნუ მიუდგებით, ყველაფერი მოჩვენებითია.

**თხის რქა 22.12-19.01**

**14 იანვარი:** შესაძლოა, მცირე მაგრამ უსიამოვნო პრობლემებმა შეგაწუხოთ. მათზე ენერგიას ნუ დახარჯავთ, ყველაფერი თავისით მოგვარდება.

**მერწყული 20.01-18.02**

**14 იანვარი:** თქვენთვის ყველა კარი ღია იქნება, საიდუმლოებები – ხელმისაწვდომი. შეეცადეთ, ნდობა გაამართლოთ და ეს შესაძლებლობა ბოროტად არ გამოიყენოთ.

**თევზები 19.02-20.03**

**14 იანვარი:** შეიძლება დღეს იდეალური მყიდველი გახდეთ. ძალიან ფრთხილად და წინდახედულად მოიქეცით, ფული ტყუილად არ გაფლანგოთ.


**გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი **თამაზ ბესტავაშვილი**

(15 საათიდან)

**ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.**


## ღარიბებს 10 ათას ევროზე ძვირიანი ავტომობილების შეძენა აეკრძალებათ



ჭორიკანა მეზობლებმა იციან ხოლმე ღვარძლიანად ჩალაპარაკება: „რომ ჰკითხო, ფული არ აქვს და ნახე, რა მანქანით დაბრძანდებაო“...

არა, მაინც, ვისი რა საქმეა, ვინ როგორი მანქანით დადის?!

ეს კითხვა გერმანიის ხელისუფლებას რომ დაუსვათ, გიპასუხებენ:

– ადამიანებს, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ უზრუნველყოფას იღებენ, აღარ ექნებათ უფლება 10 ათას ევროზე ძვირიანი ავტომობილი შეიძინონ. ეს, დიახაც, რომ ჩვენი საქმეა!..

სწორედ გერმანიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, მოქალაქეები, რომლებიც სახელმწიფოსგან გარკვეულ სოციალურ დახმარებას იღებენ, ვალდებულები იქნებიან, ისე იცხოვრონ, როგორც ნამდვილ ღარიბებს შეეფერებათ.

ამ დრომდე ღარიბ გერმანელებს მაქსიმუმ 14,5-ათასევროიანი ავტომობილის შეძენის უფლება ჰქონდათ, თუმცა ამიერიდან მათ აღნიშნული ნიშა შეუმცირდათ.

ისე, ქართველ ღარიბებსაც რომ შეეძლოთ 10 ან 14-ათასევროიანი მანქანების შეძენა, მათ ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა, ალბათ...

***vesti.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



გამომთვრალი და დაბოლილი მამაკაცი პოლიციაში რეკავს:

– ალო, უფროსო, მანქანა გამიქურდეს!!!

– დამშვიდდით და ამიხსენით, რა მოხდა და რა მოგპარეს?

– ყველაფერი – მაგნიტოფონი, საჭე, პედლებიც კი!!!

– ახლავე გამოვა მორიგე პატრული, ადგილზე იყავით...

5 წუთის შემდეგ იგივე მამაკაცი ისევ რეკავს:

– ალო, უფროსო, შემეშალა, ბოდიშს გიხდით - არავის გავუქურდივარ, თურმე, უკანა სავარძელზე ვიჯექი და...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

»21135945 7

გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი** (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე** 599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე** (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი **ილია ჭაჭვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი **ლევან ბანეთიშვილი**



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**

☎ 2-333-170

**577-444-442**

მიხეილ სახვაძე

221 21 80

(შიდა ნომერი 108)

E-mail: reklama@alia.ge

®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008

9 772298 000000

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.05